# სარჩევი

**აღმასრულებელი დირექტორის სიტყვა .....4**
**I. ორგანიზაციის შესახებ .....12**
**II. ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა .....20**
**III. ანგარიშის პარამეტრები .....24**
**IV. პროგრამული საქმიანობის ანგარიში .....27**
- პროგრამა -სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება .....31

*თემის განვითარების ქვეპროგრამა .....31*
*საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სკოლების განვითარების ქვეპროგრამა .....44*
- პროგრამა -კარგი მმართველობის ხელშეწყობა .....60

*თვითმმართველობის განვითარების ქვეპროგრამა .....60*
*კვლევები და რეფორმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა .....70*
- პროგრამა -კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა .....78

**V. საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები .....84**
**VI. საქმიანობის გარემოსდაცვითი მაჩვენებლები .....93**
**VII. საქმიანობის სოციალური მაჩვენებლები .....100**
**GRI შესაბამისობის დონეების ცხრილი .....114**
**GRI საძიებელი .....116**

დანართი 1 . 2010 წლის პროექტები .....124
დანართი 2 . დონორები და პარტნიორები .....125
დანართი 3. 2010 წელს შესრულებული მიკროპორექტები .....126
დანართი 4. 2010 წელს ჩატარებული ტრენინგები და კონსულტაციები .....138
დანართი 5. 2010 წლის გამოცემები .....143
დანართი 6 . 2010 წლის ფინანსური ანგარიში/ აუდიტორის დასკვნა.....144

დანართები

# CONTENTS

**Statement from the Executive Director** ........ **4**
**I. About the Organisation** ........ **12**
**II. Governance Structure and Stakeholder Engagement** ........ **20**
**III. Report Parameters** ........ **24**
**IV. Program Report on Our Activity** ........ **27**
- Program – Strengthening the Civil Society Institutions ........ 31

*Community Development* ........ 31
*Development of Civil Society Organizations and Public Schools* ........ 44
- Program - Promoting Good Governance ........ 60

*The local government development* ........ 60
*Research and promotion of reforms* ........ 70
- Program - Promoting Development of Corporate Social Responsibility ........ 78

**V. Our Economic Performance** ........ **84**
**VI. Our Environmental Performance** ........ **93**
**VII. Our Social Performance** ........ **100**
**GRI Application Level Table** ........ **114**
**GRI Content Index** ........ **116**

ANNEXES

Annex 1. Projects implemented in 2010 ........ 124
Annex 2. Donors and Partners ........ 125
Annex 3. Micro-projects Accomplished in 2010 ........ 126
Annex 4. Trainings and Seminars Conducted in 2010 ........ 138
Annex 5. Centre Publications in 2010 ........ 143
Annex 6. Financial Report for 2010 / Auditor's Report 2010 ........ 144

# ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

# STATEMENT FROM THE DIRECTOR

სიამოვნებით წარმოგიდგენთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის 2010 წლის საქმიანობის ანგარიშს. უკვე მეორე წელია ორგანიზაცია წლიურ ანგარიშს ამზადებს „ანგარიშგების გლობალური ინციატივის“ (GRI) საერთაშორისოდ აღიარებული ფორმატის მიხედვით.

2010 წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, მდგრადი განვითარების საკითხები ჩვენი საქმიანობისა და სტრატეგიული მიზნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. კვლავ ვცდილობთ ჩვენი სოციო-ეკონომიკური და ეკოლოგიური ზეგავლენების მართვასა და გაუმჯობესებას და წვლილის შეტანას მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების მიღწევაში. ამასთანავე, როგორც გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივას მიერთებული ორგანიზაცია, ჩვენს საქმიანობაში ვითვალისწინებთ გლობალური შეთანხმების ათ უნივერსალურ პრინციპს გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებებისა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროებში და ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად, ხელი შევუწყოთ მათ დანერგვას ჩვენი საქმიანობის სხვადასხვა დონეებზე.

2010 წელს ორგანიზაციამ საზოგადოებრივ სექტორში წარმატებული საქმიანობის 15 წელი შეასრულა. და რა გინდ ამბიციურადაც არ უნდა ჟღერდეს, ვფიქრობთ, „ცენტრმა“ დაიმკვიდრა ძლიერი კვლევითი და ექსპერტული ორგანიზაციის, ასევე სანდო და პროფესიონალი პარტნიორის

It is my pleasure to present the 2010 activity report of Center for Strategic Research and Development of Georgia. For the second consecutive year our organization has been preparing its annual reports by recognized internationally Global Reporting Initiative (GRI) format.

In 2010, similar to the previous years, sustainable development issues were an inseparable part of our activities and strategic objectives. We are still trying to manage and improve our socio-economic and environmental impacts and to make our contribution in the accomplishment of the national goals of sustainable development. At the same time, as an organization which is joined to UN Global Compact Initiative, we consider Global Compact's ten universal principles in our activity in the areas regarding environment protection, human rights, labour rights and combatting corruption, and, to the best of our possibilities, we try to promote their introduction on various levels of our activity.

In 2010 our organization completed 15 years of successful activity in the public sector, and, even if this might sound ambitious, we believe that CSRDG has established itself as a strong research and think-tank organization, as well as a reliable and professional partner. Currently we offer the public a whole variety of consulting and training services, and carry out our activities in such important







სახელი. დღეს ჩვენ საკმაოდ მრავალფეროვან საკონსულტაციო თუ ტრენინგ მომსახურებას ვთავაზობთ საზოგადოებას, ვსაქმიანობთ ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ისეთ სფეროებში როგორიცაა: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა, გარემოს დაცვა, დეცენტრალიზაცია, მომხმარებელთა უფლებები, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური მეწარმეობა.

2010 წელს „ცენტრმა“ წარმატებით დაასრულა 3-წლიანი პროგრამა (2008-2010 წლები). პროგრამის ეფექტურობა და ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე მისი ზეგავლენა დადებითად შეფასდა მოწვეული ექსპერტების მიერ. პროგრამის მიერ მიღებულ გამოცდილებასა და ექსპერტების რეკომენდაციებზე დაყრდნობით შემუშავდა ახალი სამწლიანი პროგრამის სტრატეგია.

გასულ წელს დასრულდა მუშაობა ფუნდამენტურ გამოკვლევაზე „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სახელმწიფო სექტორის როლი.“ ვფიქრობ, ნაშრომში წარმოდგენილი ანალიტიკური ინფორმაცია, საქართველოს მთავრობისათვის კორპორაციული პასუხისმგებლობის ხელშეწყობისაკენ მიმართული შესაძლო სამთავრობო ინიციატივების შესახებ შეთავაზებული კონკრეტუ-

areas as: civil society development, country economy and social policy, environment protection, decentralization, customer rights, corporate social responsibility, and social enterprising.

In 2010, CSRDG successfully completed its Three Year Program (2008-2010 years). The program effectiveness and its impacts on the national and local levels were evaluated positively by the invited experts. A strategy for the new Three Year Program has been developed based on the accumulated experience and the experts' recommendations.

Last year, work was completed on a fundamental research - Corporate Social Responsibility and the Role of the State Sector. I think, that analytical information presented in

THE GLOBAL COMPACT
WE SUPPORT

ლი რეკომენდაციები, საინტერესო იქნება როგორც სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებისათვის, ასევე ბიზნესისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის.

საზოგადოებისთვის ასევე საინტერესო იქნება სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით ჩატარებული კვლევებიც: ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების დინამიკისა და ტენდენციების სოციოლოგიური კვლევა; დასავლეთის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის გამოცდილების მიმოხილვა და ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი.

2010 წელს „ცენტრი" აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავებაში, კერძოდ, „ცენტრის" ექსპერტების უშუალო მონაწილეობით შემუშავდა: 2006-2010 წლებისათვის გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება; ქვეყნის გარემოსდაცვითი ეროვნული სამოქმედო გეგმის დოკუმენტი; ასევე ქვეყანაში ქიმიკატების მართვისათვის საჭირო მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

„ცენტრმა" წარმატებით განახორციელა სოციალური მეწარმეობის განვითარების პილოტური პროექტი და ამ მიმართულებით საკმაოდ კარგი გამოცდილება დააგროვა სამომავლო საქმიანობის გასაგრძელებლად.

the paper, and specific recommendations to the Georgian government regarding possible government initiatives to promote corporate social responsibility, will be interesting for representatives of the State sector, as well as for business corporations, civil society organizations, scientific-research institutions and international organizations.

Studies conducted in the area of the development of civil society organizations will also be interesting to the public: a nationwide sociological research on the dynamics and trends of the development of civil society organizations; review of social enterprising experience in Western countries, and the analysis of the Georgian legislation with this respect.

In 2010, CSRDG was actively involved in working on the environmental legislation of the country. In particular, the following documents have been developed with direct participation of CSRDG experts: the National Environmental Report for 2006-2010; a document for Georgia's national action plan on environment protection; as well as important documents on the management of chemicals in the country.

CSRDG has successfully implemented a pilot project on development of social enterprising and has accumulated quite good experience in this area for the future work.

Last year, CSRDG established partner relationships with civil society and State organizations from Poland, Ukraine and Moldova. Several joint projects were successfully implemented in cooperation with those organizations, and implementation of new ones have been planned.

გასულ წელს ორგანიზაციამ დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები პოლონეთის, უკრაინის და მოლდოვის საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან. მათთან თანამშრომლობით წარმატებით განხორციელდა რამდენიმე ერთობლივი პროექტი და დაიგეგმა ახლის განხორციელებაც.

ცენტრის ექსპერტულ-საკონსულტაციო მომსახურებას კიდევ რამდენიმე ახალი, საინტერესო სერვისი დაემატა: ბიზნესის მენეჯმენტის სპეციალობის სტუდენტებისათვის მომზადდა სასწავლო კურსი - „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“; ადგილობრივი საჯარო მოხელეებისთვის შემუშავდა სხვადასხვა ტრენინგ-მოდულები, როგორიცაა: მუნიციპალური ქონების ფორმირება და განკარგვა, ადგილობრივი ბიუჯეტირება და მონიტორინგი, მუნიციპალური მომსახურება და მოქალაქეთა თანამონაწილეობა ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღებაში.  ასევე აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა სოციალური მეწარმეობის განვითარების თემატიკაზე გამოცხადებულმა ღია ტრენინგ-კურსებმაც.

და ბოლოს, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა პირსა და ორგანიზაციას, ვინც 2010 წელს ჩვენთან თანამშრომლობდა და განსაკუთრებული მადლობა კი დაგავუხადო ცენტრის ყველა თანამშრომელს, ვინც მრავალი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურება ორგანიზაციის მიზნების მიღწევასა და პროგრამების წარმატებას.

Several new interesting services were added to CSRDG's expert-consulting services, such as: a learning course "Corporate Social Responsibility" has been developed for business administration students; various training modules - municipal property formation and management; local budgeting and monitoring; municipal services and citizens co-participation in making local decisions - were developed for local public servants. It should also be noted that an open training course dedicated to the topic of development of social enterprising was carried out particularly successfully.

And finally, I would like to express my deepest gratitude to all individuals and organizations that were cooperating with us in 2010, and express my very special gratefulness to all employees of CSRDG that over many years have been serving the organization to achieve its goals and ensure success of our programs.





# 15 წელი ჩვენთან ერთად

„დიდი ხანია ვიცნობ და ვთანამშრომლობ „ცენტრთან“. განვლილი წლების მანძილზე ორგანიზაცია საქართველოსა და რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებული მოსაზრებების გასაზიარებელ ერთგვარ ფორუმად ჩამოყალიბდა. ვისურვებდი, რომ საქართველოში იმატოს ასეთმა ორგანიზაციებმა.“

ნათია თურნავა - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

„ჩემი თანამშრომლობა „ცენტრთან“, მაძლევს სრულ უფლებას გამოვყო სამი ძირითადი პრინციპი, რომელთა ერთგულია ორგანიზაცია თავის საქმიანობაში: პროფესიონალიზმი, ობიექტურობა და ღრმა დაინტერესება ჩვენი სამშობლოს გლობალური კეთილდღეობით. განსაკუთრებული სითბოთი მინდა მოვიხსენიო „ცენტრის“ კოლექტივი, რომელიც უფრო მეტად მეგობრულ და ყურადღებიან ოჯახს მაგონებს.“

გიორგი ძნელაძე – პროფესორი, “ცენტრის” ექსპერტი

„ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა გვაკავშირებს „ცენტრთან“. ეს თანამშრომლობა იყო მრავალწლიანი და ნაყოფიერი, თანამშრომლობის პერიოდში იქნა მიღწეული რამდენიმე მნიშვნელოვანი სისტემური ცვლილება, მათ შორის: მოსახლეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა კვლევის ტრადიციად ჩამოყალიბება, სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობა, ბიუჯეტირების პროცესში სათემო ცენტრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის დამკვიდრება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებმაც ხელი შეუწყო ხარისხიანი და ეფექტური მუნიციპალური სერვისების მიწოდებას.“

გიორგი გოზალიშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

„ჩემი ასაკი, ცხოვრებისეული და შრომითი გამოცდილება მაძლევს უფლებას, ვთქვა - მე მეამაყება, რომ ამ კოლექტივის წევრი ვარ დღიდან დაარსებისა.
ორგანიზაცია დაარსდა 1995 წელს. მას არ გააჩნდა არანაირი საკუთრება. ნაქირავებ ფართში, ენთუზიაზმისა და საკუთარი ძალების რწმენით, თავდაუზოგავი შრომით, ახალგაზრდების ჯგუფმა მოიპოვა საიმედო პარტნიორისა და კეთილსინდისიერი შემსრულებლის სახელი. დღეს ეს კოლექტივი ნამდვილად მისაბაძია მსგავსი ორგანიზაციების კოლექტივებისათვის.“

ელისო ღარიბაშვილი - საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი

„როდესაც საუბარი გიწევს „ცენტრზე“, ძნელია, მოკლედ შეაფასო ის ღირებულებები, რაც ამ ორგანიზაციასთან გაკავშირებს. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ასეთი ურთიერთკავშირი ათეულ წელზე მეტ ხანს ითვლის.
რა არის ის რაც განაპირობებს „ცენტრთან“ ასეთი ურთიერთობების არსებობას? ამას, ჩვენი მოსაზრებით, ოთხი ძირითადი ფაქტორი ასაზრდოებს: ერთი - საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაძლიერება, მეორე - არსებული რესურსებით დასახული მიზნების განხორციელება, მესამე - მიზანზე ორიენტირებული შედეგების პროგნოზი და თვითშეფასების უნარი და ბოლოს, მეოთხე - უბრალო ადამიანური მხარდაჭერა და ერთგული მეგობრული ურთიერთობები.
ალბათ ეს არის ის ნაზავი, რომელიც გიზიდავს და სიამოვნებას განიჭებს პროფესიულ ცხოვრებასა და პირად დამოკიდებულებებში.“

ლევან ხინთიბიძე - საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი (ოზურგეთი)

“ცენტრმა დაარსებიდან დღემდე ასეულობით საზოგადოებრივი გაერთიანების და აქტიური ჯგუფის განვითრებას შეუწყო ხელი, რაც, თავისთავად, ფასდაუდებელი საქმეა საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის მშენებლობისათვის.“

გიორგი ბოკერია - საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (ქ. ლაგოდეხი)

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრთან, რომლის თანამშრომლებთან კონტაქტი ჩემთვის ყოველთვის ნიშნავდა მუშაობის საუკეთესო შედეგებს, სიამოვნებას, ხალისს, აღფრთოვანებას და მეგობრობის დაუვიწყარ მომენტებს. ცენტრის საქმიანობა ყოველთვის დინამიური და ინოვაციური იყო. წლების შემდეგ, განმეორებითი ვიზიტის დროს, იმავე ადამიანებთან შეხვედრა იწვევდა შეგრძნებას, რომ ის იყო ახალი ორგანიზაცია - მეტად განვი-





თარებული და ამაღლებული პროფესიონალიზმით. ჩატარებულ ტრენინგებზე ხშირად განიხილებოდა დახვეწილი ე.წ. „სამაგალითო ორგანიზაციების“ ფუნქციონირების პრინციპები. სწორედ ამ პრინციპების საილუსტრაციო შესანიშნავ მაგალითად, ბუნებრივად, ყოველთვის სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი მახსენდება. ჩემთვის ეს ორგანიზაცია „დასავლური ღირებულებების მატარებელია“, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს ქართული სულისთვის დამახასიათებელ მიმზიდველობასაც. სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს ვუსურვებდი, სამომავლოდაც ამ გზით ევლოს.“

დუშან ონდრუშეკი, პარტნიორები დემოკრატიული  ცვლილებებისთვის (სლოვაკეთი)

„დაახლოებით ათწლეულია, რაც ოქსფამ-ნოვიბი მხარს უჭერს საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის საქმიანობას.

ჩვენს მეხსიერებაში სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი იქნება ინოვაციური პარტნიორი, რომელიც ინარჩუნებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ სამოქალაქო საზოგადოების გავლენიანი მოთამაშის როლს.“

მატილდა ნაჰაბედიანი, ოქსფამ-ნოვიბი

„გასული ათი წლის განმავლობაში რამდენჯერმე მომიწია თანამშრომლობა „ბირმინგემის უნივერსიტეტის კოლეგებთან ერთად მიმდინარე საქმიანობების ფარგლებში თერთმეტწლიანი რეგულარული თანამშრომლობა მაკავშირებს საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრთან. განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელი არის არა მხოლოდ ორგანიზაციის მოღვაწეობა სოციალური სამართლიანობისთვის, არამედ მისი კვლევისა და თემის განვითარების საკითხების კომბინაცია და ადგილობრივი ხელისუფლების დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესების ზედმიწევნითი თვალყურის დევნება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში. ეს ორგანიზაცია წარმოადგენს შთაგონების წყაროს დიდ ბრიტანეთში სათემო ჯგუფებთან მომუშავე ჩვენნაირი ადამიანებისთვის.“

ანგუს მაკკეიბი,<br>
მესამე სექტორის კვლევის ცენტრი, ბირმინგემის უნივერსიტეტი

„ეკლესიის განვითარების სააგენტოს (EED) გრძელვადიანი პარტნიორობა აკავშირებს საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევის ცენტრთან. 2005 წლიდან იგი აფინანსებს მთელ რიგ პროექტებს სხვადასხვა სფეროში. ამ თავდადებული ადამიანების გუნდის მიერ ყოველდღიურ საქმიანობაში დაგროვილ გამოცდილებას ხშირად მივყავართ საქართველოში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ახალ  ინოვაციურ პროექტებამდე.

საყურადღებოა, რომ ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე ცენტრის პარტნიორების მიერ გაზიარებულია ორგანიზაციის სტრატეგიული მიდგომები, რომელთა დამკვიდრების პროცესი ეფუძნება ორმხრივი სწავლებისა და გამოცდილების გაზიარების უნიკალურ მიდგომებს. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უნარების გაძლიერება, მათი დამოუკიდებლობისა და საქმიანობის მდგრადობის მიღწევის მიზნით, თემის მობილიზაციის მიმართულებით ცენტრის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ეკლესიის განვითარების სააგენტოს სურს, მადლობა გადაუხადოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს წლების განმავლობაში ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობისა და საქართველოს განვითარების პროცესში შეტანილი წვლილისთვის.“

ილონკა ბოლთზე, ეკლესიის განვითარების სააგენტო

“მიმაჩნია, რომ ძირითადი, რითაც ეს ორგანიზაცია წლების განმავლობაში ინარჩუნებს თავის უნიკალურ ადგილს საკმაოდ მრავალფეროვან სამოქალაქო სექტორში, არის სწორედაც მოვლენების, დროის და სივრცის ადეკვატური შეფასებისა და მასზე შესაბამისი რეაგირების უნარი. და კიდევ, რასაც ძალიან ვაფასებ, არის ის, რომ მთელი ამ 15 წლის განმავლობაში ცენტრი არ აჰყოლია ცდუნებას მოეპოვებინა იაფფასიანი პოპულარობა, ფაქტების ძირფესვიანი ანალიზის და შეფასების გარეშე აეტეხა „ხმაური“ მოდური თემების ირგვლივ. ადამიანები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში მუშაობენ, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან, მათ იციან რა და როგორ უნდა აკეთონ, მათთვის თანამშრომლობის გზით შედეგის მიღწევა კონფრონტაციასა და საკუთარი თავის წარმოჩენაზე უფრო მნიშვნელოვანია, მათთვის ის უფრო ღირებულია, რომ რამდენიმე სოფლისთვის, ან თუნდაც რამდენიმე ადამიანისთვის ცხოვრება რეალურად უკეთესი გახადონ, ვიდრე ის, რომ მთელი ქვეყნის წინაშე იკეკლუცონ იდეალური, მაგრამ არარეალიზებადი კონცეფციებით.”

ეკა ბადრიძე - საქართველოს სტრატეგიული კვლევების და<br>
განვითარების ცენტრის დამფუძნებელი












# 15 *Years with us*

“I have known and have been cooperating with Center for a long time. Over the past years, CSRDG has become sort of a recognized forum to discuss views about ongoing economic processes in Georgia and the whole region. I would like to wish to have more such organizations in Georgia”.

**Natia Turnava - Head of the Board of Directors of the Georgian Industrial Group**

“My cooperation with Center gives me a full right to point out three main principles to which the Center is loyal in its activity: professionalism, objectivity and a deep interest in the global well-being of our mother country. I would like to express special warmth to CSRDG’s staff which rather reminds me of a friendly and careful family.”

**Giorgi Dzneladze – Professor, Center’s expert**

“We have an intensive cooperation with Center. The cooperation has been long-term and fruitful. Several important system changes have been achieved during those years, including: establishing a tradition of studying the public’s most important needs, carrying out programs promoting civil initiatives, establishing practices of involvement of community centres and non-governmental organisations in budgetary processes, and other important issues that have helped to provide quality and effective municipal services.”

**Giorgi Gozalishvili - The head of Lagodekhi municipality Sakrebulo**

“My age, and life and work experience give me the right to say the following: I am proud to be a member of this organisation from the very first day of its establishment.

The organisation was founded in 1995. It did not own any assets. In a rented place, owing to enthusiasm and the belief in their abilities, by an extremely hard work, a group of young people quickly made the name of a trustworthy partner and honest worker. At present, this staff is really a role model for employees of other similar organisations.”

**Eliso Gharibashvili - Center for Strategic Research and Development of Georgia**

“When talking about Center, it is difficult to briefly evaluate those values that connect one with this organisation. Especially when such relations have a history of longer than a decade.

What is it that makes such special relations with CSRDG? In our opinion, this is fed by four main factores: first - strengthening the belief in your own abilities, second - accomplishment of the targeted objectives by means of available resources, third - forecasting goal-oriented results and the ability of self-evaluation, and finally, fourth - simple humane support and friendly relationships. Probably, this is the blend that attracts you and gives you a pleasure in professional life and personal relationships.”

**Levan Khintibidze - Georgian Democratic Development Union (Ozurgeti)**

“ I had the chance to collaborate with CSRDG few times repeatedly during last ten years, and everytime it ment for me: excellent working outcomes, pleasure, fun, mutual admiration and flashing moments of friendship. In CSRDG I had the opportunity to observe the huge, dynamic and innovative organizational body in motion. Sometimes I had the feeling that during the repeated visit after few years I am meeting the same people , but at the same time, I am facing new organization- even more elaborated and even more professional than it seemed to be the previous visit... I am quite often providing the training where we are looking for functioning principles of the highly sofisticated so called “Learning organizations”. If I need an excellent example to illustrate



thesepriciples- CSRDG comes into my mind, naturally. For me, CSRDG became the very professional "western-like" institution that possesses also the very tasty flavors of the Georgian traits. I wish CSRDG to sustain like that forever."

**Dushan Ondrusek – Partners for Democracy Changes (Slovakia)**

"Oxfam Novib has been supporting CSRDG for about a decennium.

Oxfam Novib will remember CSRDG as an innovative partner who will remain an influential civil society actor in Georgia and beyond. "

**Matilda Nahabedian - Oxfam Novib**

"I, along with Colleagues at the University of Birmingham, have worked with CSRDG for eleven years. What is particularly inspiring about the organisation is not only its commitment to social justice but its combination of research, community development and the scrutiny of local government planning and finance which is playing a significant role in building civil society in Georgia and is an inspiration for those of us working with community groups in the UK".

**Angus McCabe - Third Sector Research Centre,University of Birmingham**

"EED has a long history of partnership with the Center of Strategic Research and Development of Georgia. Since 2005 EED has been funding partner for a variety of projects in different fields. The experience that the devoted team collects in their daily work often leads to new projects which are innovative and very much needed for the changing environment of Georgia.

At the same time CSRDG convinces their counterparts with strategic action starting from grassroot up to regional and central level in which they show conflict sensitiveness and a unique approach allowing mutual learning experiences. Empowerment of the poor without creating dependency is taken as a serious task in their community mobilisation work and is an important factor for the sustainability of their work.

EED wishes to thank CRDSG for such a fruitful cooperation throughout all the years and for all their efforts for the future development of Georgia."

**Ilonka Boltze - Church Development Service (EED)**

"From the day of its foundation CSRDG has assisted the development of hundreds of civil society organizations and CBOs, which is an invaluable contribution to the building of Georgia."

**George Bokeria - Georgian Civil Development Association (Lagodekhi)**

"I believe that the reason why this organization over the years maintains its unique place in the quite diverse civil sector is its ability to adequately evaluate events, time and space, and react respectively. And, also, what I value very highly, is that over these 15 years CSRDG has not fallen to the temptation to gain cheap popularity, create "noise" around fashionable topics without having sound facts and performing adequate analysis. People working in this organization are real professionals in their fields. They know what to do and how to do that. For them, achieving results through cooperation is more important than confrontation and making themselves more popular. For them, true value is to bring real improvement in the lives of at least several villages, or even several individuals, rather than just show off with idealistic but unfulfillable concepts."

**Eka Badridze - Founder of CSRDG**





# 1 ორგანიზაციის შესახებ

# ABOUT THE ORGANISATION

„საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი" არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1995 წელს და გააჩნია სამოქალაქო სექტორში წარმატებული მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება. ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი არის - ფონდი.

ჩვენი საქმიანობა საქართველოს ფარგლებს ფარავს. ორგანიზაციის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო წარმომადგენლობითი ოფისი - თელავში.

ჩვენი დაფინანსების ძირითადი წყაროებია საერთაშორისო ფონდებიდან გრანტების სახით მოძიებული თანხები. ჩვენი შემოსავლების მცირე ნაწილს შეადგენს აგრეთვე ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურებიდან (ტრენინგები და კონსულტაციები) შემოსული თანხები (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ფინანსური ანგარიში, დანართი 6).

## მისია, ხედვა და ფასეულობები

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" მისიაა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის ხელშეწყობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვითა და მათი ინტერესების დაცვით, ასევე სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარების გზით.

ამრიგად, ცენტრის მისია არის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობა მთავრობასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი დიალოგის ხელშეწყობის გზით.

## საქმიანობის სფერო

მისიის შესასრულებლად „ცენტრს" დასახული აქვს სამი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი ქვეყნის მოსახლეობასთან, მთავრობასა და კერძო სექტორთან მიმართებით:

Founded in 1995, Centre for Strategic Research and Development of Georgia is a civil society organisation with 15 years of successful work experience in the civil sector. The organisation's legal status is Foundation. Our activity area is the country of Georgia. Centre's head office is in Tbilisi and a branch office in Telavi.

Our main financing sources are grants received from international foundations and development agencies, while a small share of our budget comes from services (such as training and consultations) provided by our organisation. (More details are presented in Financial Report, see Annex 6 ).

## OUR MISSION

The Centre for Strategic Research and Development of Georgia seeks to promote the development of civil society in Georgia by raising the awareness of the population, stimulating the active involvement of citizens in decision making processes, advocating the interests of various civic groups, supporting civic initiatives, and conducting applicable practical research.

In short: the mission of the organisation is to build up civil society in Georgia by promoting mutual dialogue between the Government and citizens.

## THE MAIN SPHERES OF OUR ACTIVITIES

To fulfil its mission, the Centre has three long-term strategic objectives in relation to the country's population, Government and private sector:

- CSRDG actively works with the public for awareness raising, promoting the involve-

- მოსახლეობასთან ცენტრი აქტიურად მუშაობს ცნობიერების ამაღლების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვის, მოსახლეობის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით;
- მთავრობასთან მიმართებით ცენტრის მიზანია კონსტრუქციული კრიტიკისა და საექსპერტო დახმარების გზით, ხელი შეუწყოს მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით მთავრობის მიერ სტრუქტურული რეფორმების ეფექტურ ფორმულირებას და განხორციელებას;
- კერძო სექტორთან მიმართებით ცენტრი ხელს უწყობს ბიზნესის აქტიურ ჩართვას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში პასუხისმგებელი ბიზნესის კონცეფციისა და პრაქტიკის დამკვიდრებისა და მულტისექტორული პარტნიორობის განვითარების გზით.

ჩვენი აზრით, სამივე მიზანი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და მათ ერთობლიობას წვლილი შეაქვს ქვეყნის მდგრად განვითარებაში, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და დემოკრატიის მშენებლობაში.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების ფარგლებში ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- სამოქალაქო განვითარება;
- თემის/სოფლის განვითარება;
- ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა
- გარემოს დაცვა;
- ხელისუფლების დეცენტრალიზაცია;
- მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა;
- საბიუჯეტო პროცესები;
- მომხმარებელთა უფლებები;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა;
- სოციალური მეწარმეობა.

ცენტრის საქმიანობისას გამოყენებული ძირითადი მიდგომები და სტრატეგიებია:

- კვლევითი საქმიანობა „ცენტრის“ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროში (როგორც ცენტრის ექსპერტების მიერ, ასევე „ცენტრთან“ არსებული

ment of stakeholders in decision-making processes, and helping the public to protect their interests.

- In relation to the Government, CSRDG's objective is to promote effective designing and implementation of structural reforms by the Government, with the active participation of the population.
- In relation to the private sector, CSRDG promotes the active involvement of the business in achieving sustainable development objectives by introducing the concept and practice of responsible business and developing multi-sectoral partnerships.

In our opinion, all three objectives are strongly interrelated and their conglomeration makes a serious contribution to the country's sustainable development, raising the quality of life and building democracy.

The main spheres of the Centre's activities under the strategic objectives are:

- Civic development;
- Community / rural development;
- Economy and social policy;
- Environment protection;
- Government decentralisation;
- Increasing the municipalities' accountability and effectiveness;
- Budgetary processes;
- Consumer rights;
- Corporate Social Responsibility;
- Social enterprise.

For working in the above listed areas we apply various approaches and strategies, such as:

- Research in various areas related to CSRDG's activities (carried out by CSRDG's experts, as well as with the assistance of the experts' network formed at the Centre);
- Campaigns for awareness raising and advocacy

ექსპერტთა ქსელის დახმარებით);
- ცნობიერების ამაღლება და ინტერესთა დაცვის კამპანიები;
- ცენტრალური და ადგილობრივი დონის სახელისუფლებო უწყებების საქმიანობის მონიტორინგი;
- საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილე-ბების შემუშავება;
- საექსპერტო მხარდაჭერა (ტრენინგები, კონსულტაციები საზოგადოებრივი ორ-განიზაციების, სამოქალაქო ჯგუფების, ადგილობრივი მმართველობისა და თვით-მმართველობის, სკოლების, ბიზნეს კომ-პანიებისათვის);
- სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერ-ება (თბილისისა და საქართველოს რე-გიონების საზოგადოებრივი ორგანიზა-ციებისა და სოფლის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფებისა);
- მიკროგრანტების გაცემა სოფლის საინი-ციატივო ჯგუფებისათვის ადგილობრივი პრობლემების მოგვარების მიზნით;
- პარტნიორული და კოალიციური მუშაო-ბის ხელშეწყობა როგორც სამოქალაქო სექტორის შიგნით, ასევე სხვადასხვა სექ-ტორს შორის.

## საქმიანობის გეოგრაფიული არეალი

ქვეყანაში არსებული პრობლემების გად-აჭრას „ცენტრი" კომპლექსურად უდგება და საქმიანობს როგორც ადგილობრივ (სოფე-ლი, რაიონი), ასევე ეროვნულ დონეზე. კერ-ძოდ, ცენტრის საქმიანობის არეალი მოი-ცავს საქართველოს დედაქალაქს - თბილისს, ასევე ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტებს აღმოსავ-ლეთ საქართველოში, ოზურგეთისა და ჩოხ-ატაურის მუნიციპალიტეტებს დასავლეთ საქართველოში.

## სამიზნე ჯგუფები

**ადგილობრივ დონეზე:**
- სოფლის სათემო ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები;
- რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზა-ციები;
- საჯარო სკოლები;
- ადგილობრივი თვითმმართველობები (მუ-ნიციპალიტეტები).

- Monitoring of Government activities on both the national and local levels;
- Revealing legislative shortcomings and development of respective legislative amendments;
- Expert assistance (training and consultations for civil organisations, civic groups, local governments and self-governments, public schools, and business companies);
- Strengthening of civil organisations (for civil organisations in Tbilisi and other regions of Georgia, and rural youth initiative groups);
- Provision of micro-grants for village initiative groups in order to solve local problems;
- Promotion of partner and coalition work within the civil sector, as well as on the inter-sectoral level.

## GEOGRAPHIC COVERAGE OF OUR ACTIVITIES

CSRDG has a complex approach to solving problems facing the country, and carries out its activities on the local (village, district) as well as the national level. In particular, our activity area covers Tbilisi - the capital of Georgia; Lagodekhi, Sighnaghi and Telavi municipalities in Eastern Georgia; and Ozurgeti and Chokhatauri municipalities in Western Georgia.

## OUR TARGET GROUPS:

**On the local level:**

- Grassroots organisations (CBO and village initiative groups);
- Non-governmental organisations;
- Public Schools;
- Local governments (Municipalities).

**On the national level:**

- Government and State agencies;
- Research institutions and collages/universities;
- Public schools;

### ეროვნულ დონეზე:

- სახელისუფლებო სტრუქტურები და სახელმწიფო უწყებები;
- კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტები;
- საჯარო სკოლები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- მსხვილი და საშუალო ბიზნეს კომპანიები;
- სხვადასხვა სფეროს ექსპერტები;
- მას-მედიის საშუალებები.

- Non-governmental organisations;
- Large and medium business companies;
- Experts in various spheres;
- The Media.

## 2010 წელი - ფაქტები და ციფრები

თანამშრომლები: 2010 წლის დასასრულს ორგანიზაციის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა იყო 28 (აქედან 25 თბილისის ოფისის თანამშრომელია და 3 - თელავის ოფისის).

## 2010 - FACTS AND FIGURES

Employees: At the end of 2010, the total number of the organisation's employees was 28 (of these, 25 were employees of the Tbilisi office and 3 of the Telavi office).

**ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ლარებში**
**Core financial indicators in CEL**

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის მთლიანი კაპიტალი 2010 წლის ბოლოსათვის (31.12.2010)<br>The organisations total capital the end of 2010 (31.12. 2010) | 483 729 |
| საკუთარი კაპიტალი<br>Own capital | 202 683 |
| ნასესხები კაპიტალი<br>Borrowed capital | 281 046 |

| მთლიანი შემოსავლები (წლების მიხედვით) ლარებში<br>Total income (by years) in GEL | |
|---|---|
| 2006 | 717618 |
| 2007 | 836494 |
| 2008 | 750353.1 |
| 2009 | 1185659 |
| 2010 | 1 386 585 |

| მთლიანი შემოსავლები ძირითადი კატეგორიების მიხედვით<br>Breakdown of the sources of income by major categories | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
| ინდივიდუალური, შემომწირველებისგან მიღებული თანხები<br>From individual contributions | 6495 | 3153 | 3000 | 13 316 |
| გაწეული სერვისებისგან მიღებული შემოსავალი<br>Income from services provided | 63536 | 127092.4 | 88034 | 128 864 |
| დონორებისგან მიღებული თანხები<br>Funding from donnors | 756661 | 611360.8 | 1088742 | 1244405 |
| სხვა შემოსავლები<br>Other income | 9802 | 8746.928 | 5883 | - |
| სულ შემოსავლები<br>TOTAL INCOME | 836494 | 750353.1 | 1185659 | 1386585 |

***ჩვენი დონორები.*** 2010 წელს ჩვენი დონორები იყვნენ:

- ოქსფამ-ნოვიბი;
- ეკლესიის განვითარების სააგენტო;
- აპროდევი;
- ფრიდრიხ ებერტის ფონდი;
- ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო";
- ინსტიტუტი „ღია საზოგადოება";
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
- ნიეპოლომიცეს მუნიციპალიტეტი/პოლონეთი;
- ბირმინგემის უნივერსიტეტი.

***ჩვენი საქმიანობა (ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლები):***

- 2010 წელს ვმუშაობდით თბილისსა და 6 მუნიციპალიტეტში (თელავის, სიღნაღის, ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში - აღმოსავლეთ საქართველოში, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში - დასავლეთ საქართველოში), ხოლო ზოგიერთი პროგრამის ფარგლებში - საქართველოს ყველა რეგიონში;
- ვახორციელებდით 11 საგრანტო პროექტს და 36 სერვის-კონტრაქტს;
- გამოვეცით 13 პუბლიკაცია (2 ბიულეტენი, 9 ბროშურა, 1 სოციოლოგიური კვლევა, 2009 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში);

***Our donors:*** In 2010 our donors were:

- Oxfam - NOVIB ;
- Church Development Service (EED);
- APRODEV;
- Friedrich Ebbert foundation;
- Open Society – Georgia Foundation;
- Open Society Institute;
- Delegation of the European Union to Georgia;
- Niepolomitse Municipality/Poland;
- Birmingham University.

***Our activities in 2010 (core quantitative indicators):***

- In 2010 we were working in Tbilisi and six municipalities (Telavi, Sighnaghi, Kvareli and Lagodekhi in the Eastern Georgia, Chokhatauri and Ozurgeti in the Western Georgia). At the same time, we also had some nationwide programs;
- We were implementing 11 grant programs and 36 service contracts;
- 13 publications (2 bulletins, 9 brochures, 1 sociological research, and a 2009 sustainability report) were published by us.
- Conducted 109 trainings independently or in cooperation with other invited experts.

- დამოუკიდებლად ან სხვა ორგანიზაციებთან და მოწვეულ ექსპერტებთან თანამშრომლობით ჩავატარეთ 109 ტრენინგი.

*კერძოდ, ტრენინგები ჩაუტარდა:*

- 69 თვითმმართველობას საქართველოს 9 რეგიონიდან;
- 180 საჯარო სკოლის (აქედან - თბილისის 64 და რეგიონების 116 - ქ. ქუთაისი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ოზურგეთი - სკოლა) დირექტორებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს;
- 110 საზოგადოებრივ ორგანიზაციას (თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან)
- 24 სოფლის საინიციატივო ჯგუფების წევრებს საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში.

- კონსულტაცია გავუწიეთ 43 ორგანიზაციას (5 მუნიციპალიტეტსა და 38 საზოგადოებრივ ორგანიზაციას);
- სამოქალაქო მონიტორინგის ქსელმა, რომელსაც წარმართავს ჩვენი ორგანიზაცია, საქართველოს 5 მუნიციპალიტეტს მიაწოდა მრავალრიცხოვანი რეკომენდაციები საბიუჯეტო პროცესებისა და გამჭვირვალობის საკითხებზე, რომელთაგან 22 გათვალისწინებულია;
- ჩვენი პროგრამის ფარგლებში 19 სოფელში განხორციელდა სოფლის განვითარებისკენ მიმართული 54 მიკროპროექტი;
- 59288 ლარის ოდენობის მიკროგრანტი გავეცით 15 საინიციატივო ჯგუფზე და 4 არასამთავრობო ორგანიზაციაზე;
- ჩავატარეთ სხვადასხვა აქტუალური საკითხის 3 საჯარო განხილვა;
- საქართველოს რეგიონული ქსელის პარტნიორებთან ერთად მონიტორინგს ვუტარებდით 6 მუნიციპალურ ბიუჯეტს.

### ძირითადი მიღწევები 2010 წელს

- „ცენტრმა" წარმატებით დაასრულა ორგანიზაციის სამწლიანი პროგრამის (2008-2010 წ.წ.) განხორციელება. პროგრამის ეფექტურობა დადებითად შეფასდა მოწვეული ექსპერტების მიერ;
- „ცენტრმა" დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები პოლონეთის, უკრაინის და მოლდოვის საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან. მათთან თანამშრომლობით განხორციელდა ერთი ერ-

*In particular, trainings were conducted for:*

- 69 local governments from nine regions of Georgia;
- school directors and school board members of 180 public schools (out of those - 64 schools in Tbilisi and 116 public schools throughout regions, in the cities of Kutaisi, Gori, Telavi, Rustavi, and Ozurgeti);
- 110 civil society organisations (from Tbilisi and various regions of Georgia)
- Members of 24 village initiative groups in 10 Georgian municipalities.

- Provided consultations for 43 organisations (five municipalities and 38 non-governmental organisations);
- The Civil Monitoring Network, which is led by our organisation, provided numerous recommendations to five Georgian municipalities regarding budgetary processes and transparency issues. 22 of the recommendations were taken into account;
- Within the frameworks of our program, 54 rural development micro-projects were implemented in 19 villages;
- 59288 GEL worth micro-grants were awarded to 15 initiative groups and 4 non-governmental organisations;
- Organised 3 public hearing sessions on various important issues;
- Together with partners from the Georgian regional network, monitored six municipal budgets.

### Our main accomplishments in 2010

- CSRDG successfully completed implementation of a three year (2008-2010) programme. Invited external experts evaluated its effectiveness to be positive;
- CSRDG established partnership relations with civil society the invited experts and state organisations from Poland, Ukraine and Moldova. One joint project was implemented in cooperation with them, and another one was planned;

თობლივი პროექტი და დაიგეგმა ახალი;

- ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციამ „ცენტრის" ლიდერობით მოამზადა 2010 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ალტერნატიული ანგარიში;
- „ცენტრის" ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთაგან დაკომპლექტებული ჯგუფის მუშაობაში, რომელმაც ქართული ბიზნეს კომპანიებისათვის მოამზადა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო - „სამართლიანად გამარჯვება";
- „ცენტრის" ექსპერტებმა დაასრულეს მუშაობა ფუნდამენტურ გამოკვლევაზე - „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სახელმწიფო სექტორის როლი (ანალიტიკური მიმოხილვა და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას)";
- „ცენტრმა" გააფორმა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი კავკასიის უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც მომზადდა სასწავლო კურსი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა" ბიზნესის მენეჯმენტის სპეციალობის სტუდენტებისათვის (კურსს წაიკითხავენ „ცენტრის" ექსპერტები 2011 წლიდან);
- „ცენტრმა" გამოაქვეყნა 2009 წლის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული ანგარიში, რომელიც „გლობალური ანგარიშგების ინიციატივის" (GRI) საერთაშორისო ფორმატით იყო მომზადებული.[1];
- „ცენტრმა" წარმატებით განახორციელა სოციალური მეწარმეობის განვითარების პილოტური პროექტი და ამ მიმართულებით საკმაოდ კარგი გამოცდილება დააგროვა სამომავლო საქმიანობის გასაგრძელებლად;
- აღნიშნული პროექტის ფარგლებში, „ცენტრის" ექსპერტების დახმარებით საფუძველი ჩაეყარა 6 სოციალური მეწარმის ბიზნეს- საქმიანობას.
- წარმატებით ჩაიარა სოციალური მეწარმეობის განვითარების თემაზე გამოცხადებულმა ღია ტრენინგ-კურსებმა;
- „ცენტრის" ექსპერტებმა განახორციელეს რამდენიმე საინტერესო კვლევა, რომელიც შეეხებოდა სამოქალაქო ორგანიზა-

- Within the frameworks of European Neighbourhood Policy, a Civil Society Coalition, lead by CSRDG, prepared an alternative report on the completion of 2010 Action Plan;
- CSRDG's expert was actively involved in the work of a group of several stakeholders, which prepared Corporate Social Responsibility handbook for Georgian business companies "Winning with Integrity";
- CSRDG's experts completed work on a fundamental research "Corporate Social Responsibility and the Role of the State Sector" (analytical review and recommendations to the Georgian Government);
- CSRDG signed a Memorandum of Understanding with the Caucasian University, and a course on Corporate Social Responsibility was prepared within the frameworks of the Memorandum for business sector students (the course will be taught by CSRDG experts starting from 2011);
- CSRDG published the 2009 integrated sustainability report prepared in line with the Global Reporting Initiative (GRI) international format; [1]
- CSRDG successfully implemented a pilot project on the development of social enterprising, and accumulated quite positive results in this area to continue work in the future;
- Under the mentioned project, six social enterprises were established with the assistance from our experts;
- The announced open training courses on the development of social enterprising were held successfully;
- CSRDG's experts carried out several interesting research projects related to development of civil society organisations, in particular:
  - A review of experience of Western countries in social enterprising and analysis

[1] http://csrdg.ge/index.php?module=text&link_id=152&lang=eng&lang=eng

ციების განვითარებას, კერძოდ:

- მომზადდა დასავლეთის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის გამოცდილების მიმოხილვა და საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ამ კუთხით; [2]
- მომზადდა კვლევა „სამოქალაქო ორგანიზაციები საქართველოში – დინამიკა და განვითარების მიმართულებები“[3]

- „ცენტრის“ ექსპერტები ჩართული იყვნენ პროექტში „მიგრანტი მუშაკების დაცვა რუსეთის ფედერაციაში  და მიგრაციის თანამდევი განვითარების ეფექტის გაძლიერება სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში“. პროექტი მიმდინარეობდა „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (ILO) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში „ცენტრის“ ექსპერტებმა მოამზადეს გამოკვლევა, რომელიც შეეხებოდა მიგრაციის პროცესებს საქართველოში;.
- „ცენტრი“ აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავებაში, კერძოდ:

- „ცენტრის“ ექსპერტმა კოორდინირება გაუწია გარემოს დაცვის სამინისტროს სამუშაო ჯგუფს, რომელმაც შეიმუშავა „ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ 2006-2010 წლებისათვის“;
- ქვეყნის გარემოსდაცვითი ეროვნული სამოქმედო გეგმის დოკუმენტის ორი თავი - ნარჩენების მართვა და ჰაერის დაცვა - დამუშავდა ცენტრის ექსპერტის მიერ;
- „ცენტრის“ ექსპერტმა მოამზადა ეროვნული სამოქმედო გეგმის განახლებული ვარიანტი საქართველოს მიერ „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ“ სტოკჰოლმის 20011 წლის კონვენციის მოთხოვნათა შესასრულებლად და მონაწილეობა მიიღო გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) პროექტის მომზადებაში, რაც მიზანდ ისახავს სამოქმედო გეგმის ზოგიერთი პუნქტის განხორციელებას.

- „ცენტრის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად ჩვენი სამიზნე მუნიციპალიტეტების საქმიანობის სტანდარტები მიუახლოვდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალ-

of Georgian legislation with this regards were prepared; [2]

- A study “Civil Society Organizations in Georgia – Dynamics and Trends of Development”was conducted. [3]

- CSRDG’s experts were involved in a project`Increasing the Protection of Migrant Workers and Enhancing the Development Impact of Migration in Armenia, Azerbaijan and Georgia”. The project was financially supported by the International Labour Organisation (ILO). A study related to migration processes in Georgia was carried out within the mentioned project;
- CSRDG was actively involved in developing environmental legislation in Georgia, particularly:
  - CSRDG’s expert coordinated a working group of the Ministry of Environment Protection, which developed a State of Environment Report of Georgia for 2006-2010;
  - Two chapters - waste management and air protection - of Georgia’s National Environmental Action Plan were prepared by our expert;
  - CSRDG’s expert prepared an updated version of the National Plan for Implementation of the Stockholm Convention on Persistent Organic pollutants in Georgia and assisted in development of a Global Environmental Facility  (GEF) project for implementation of number of the activities envisaged in the Plan.
- As a result of implementing CSRDG’s program activities, our target municipalities’ activity standards have converged with transparency and accountability requirements of the Georgian legislation.

---

2 http://csrdg.ge/index.php?; http://cse.ge/wp-content/uploads/2010/12/Socialuri-mecarmeoba_Kveknebi.pdf; http://cse.ge/wp-content/uploads/2010/12/Social_Mec-Regulireba.pdf;

3 http://www.csrdg.ge/index.php?module=publications&page=detals&grant_id=3&id=89&lang=geo

# 2 ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

# GOVERNANCE STRUCTURE AND STAKEHOLDER ENGAGEMENT

ისწინებულ მოთხოვნებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ.

„ცენტრის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი იმგვარად არის აწყობილი, რომ უზრუნველყოს ფუნქციათა და პასუხისმგებლობათა ცალსახა გადანაწილება და ყველა თანამშრომლის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ასპექტების განხილვა და მართვა ისევე ხდება, როგორც ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი საკითხისა.

## ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა

საქმიანობის ყველა კომპონენტში, ასევე ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებით ჩვენი წარმმართველია ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და თანამონაწილეობის პრინციპები.

ყველა თანამშრომლის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაციაში შექმნილია და ფუნქციონირებს კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მექანიზმები, როგორიცაა თანამშრომელთა ყოველთვიური კრება, პროგრამის მენეჯერისა და პროგრამის თანამშრომელთა რეგულარული შეხვედრები, შუალედური მენეჯერული რგოლის ყოველთვიური შეხვედრები, გამგეობის გეგმიური შეხვედრები, პროგრამის ქსელის (ანუ ჩვენი ორგანიზაციისა და 2 პარტნიორი ორგანიზაციის) საკოორდინაციო შეხვედრები და ა.შ.

The organisational and management structure of CSRDG is designed to ensure a clear assignment of functions and responsibilities, and the inclusion of all employees in decision making processes.

Sustainability issues are treated in the same way as any other important strategic issue at CSRDG; this aspect is fully integrated into the overall governance of the organisation.

## GOVERNANCE STRUCTURE

Our leading principles in organisation management, as in every component of our activity, are: accountability, transparency and inclusiveness.

In order to ensure participation of all staff members in the decision making processes, CSRDG has developed and applied horizontal and vertical mechanisms of information exchange, such as monthly general staff meetings, regular meetings between program managers and program staff, monthly meetings of the mid level managers, planned Board meetings, the program network's (our organisation and two partner organisations) coordination meetings, etc.

More details about the organisation's management structure, as well as about the mechanisms implemented to ensure the staff's involvement in the decision making, are available in the 2009 Annual Report, pp. 38-42, on our website www.csrdg.ge


კურატორიუმი
CURATORIUM
გამგეობა
BOARD
აღმასრულებელი დირექტორი
EXECUTIVE DIRECTOR
პროგრამა
საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება
PROGRAM
EMPOWERING CIVIL ORGANIZATIONS
კოორდინატორი
COORDINATOR
წევრები
MEMBERS
პროგრამა
კარგი მმართველობის ხელშეწყობა
PROGRAM
PROMOTING GOOD GOVERNANCE
კოორდინატორი
COORDINATOR
წევრები
MEMBERS
დირექტორატი
პროგრამა
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა
PROGRAM
PROMOTING CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY
კოორდინატორი
COORDINATOR
წევრები
MEMBERS
ადმინისტრაცია
ADMINISTRATION
ოფისის მენეჯერი
სისტემური ადმინისტრატორი
მომმარაგებელი
ბუღალტერი
მდივანი
მძღოლი
დამლაგებელი
დარაჯი
Office manager
System Administrator
Office-Supplier
Accountant
Secretary
Driver
Housekeeper
Guard

უფრო დაწვრილებით, ორგანიზაციის მმართველობითი სტრუქტურის შესახებ, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამშრომელთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილი მექანიზმების შესახებ იხ. 2009 წლის ანგარიში, გვ. 38-42 www.csrdg.ge

## დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

"ცენტრისთვის", როგორც სამოქალაქო ორგანიზაციისთვის, რომელსაც, ძირითადად, საზოგადოებრივი მიზნები ამოძრავებს, საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს სწორედ ჩვენს მრავალრიცხოვან დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაცია წარმოადგენს. ყოველი ახალი პროგრამის ფარგლებში ან საქმიანობის ახალი ეტაპის დასაწყისში, როგორც წესი, ხდება სამიზნე ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და იგეგმება მათთან კომუნიკაციისა და უკუკავშირის მიღების პროცესი.

ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა და პრიორიტეტიზაცია თანამშრომელთა საერთო შეხვედრაზე ხდება.

***ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი დაინტერესებული მხარეებია:***

- ორგანიზაციის თანამშრომლები;
- დონორები;
- სამოქალაქო ორგანიზაციები (თბილისისა და რეგიონების პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები, სოფლის საინიციატივო ჯგუფები);
- ჩვენი სამიზნე მუნიციპალიტეტები;
- ცენტრალური მთავრობის ცალკეული სამინისტროები, რომლებთანაც ორგანიზაციას აქვს ურთიერთობა საქმიანობის პროცესში;
- „გლობალური შეთანხმების" ქართული ქსელის წევრი ბიზნეს კომპანიები;
- ჩვენი პუბლიკაციების ადრესატები - კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, აგრეთვე სხვადასხვა სფეროს ექსპერტები;
- ორგანიზაციის ექსპერტთა ქსელის წევრები;
- ჩვენს მიერ ჩატარებული ტრენინგების ბენეფიციარი ორგანიზაციები;
- მას-მედიის საშუალებები.

## STAKEHOLDER ENGAGEMENT

Being a civil organisation and driven primarily by social goals, CSRDG considers communication with our numerous stakeholders to be one of the main components of our activities. As a rule, within every new program, or prior to starting a new stage in an existing one, our target groups and stakeholders are identified and the communication and feedback processes planned.

The organisation's stakeholders are identified and prioritised at the general staff meeting.

***Our main stakeholders are:***

- Organisation's employees;
- Donors;
- Civil organisations (partner non-governmental organisations from Tbilisi and other regions, village initiative groups);
- Our target municipalities;
- Some of the ministries, with which the organisation interacts during our activities
- Business companies that are members of the Regional Georgian network of UN Global Compact;
- Addressees of our publications - research institutes and colleges/universities, as well as experts from various spheres;
- Members of the CSRDG's network of experts
- Beneficiary organisations of the trainings held by us;
- Media sources.

Our communication with the stakeholders is not limited only to including them in the report preparation. As already mentioned above, our organisation constantly stays in touch with numerous groups of its stakeholders, in order to identify their expectations and needs, as well as to evaluate their level of satisfaction with the organisation's activity. A variety of communication methods is applied for different stakeholder groups, including the following: distribution

დაინტერესებულ მხარეებთან ჩვენი კომუნიკაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ანგარიშის მომზადებაში მათი ჩართულობით. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩვენს ორგანიზაციას მუდმივად აქვს კავშირი საკუთარი დაინტერესებული მხარეების მრავალრიცხოვან ჯგუფებთან მათი მოლოდინებისა და მოთხოვნების გამოსავლენად, აგრეთვე ორგანიზაციის საქმიანობით კმაყოფილების დონის შესაფასებლად. თითოეულ ჯგუფთან სხვადასხვა მეთოდით ხდება კომუნიკაცია. ეს მეთოდებია: თანამშრომლებისათვის რეგულარული დაიჯესტების დაგზავნა, პერსონალის ერთიანი შეხვედრები, პროგრამული და ფინანსური ანგარიშები დონორთათვის, საკოორდინაციო და საკონსულტაციო შეხვედრები სამიზნე თუ პარტნიორ სამოქალაქო ორგანიზაციებთან, ჩვენი სერვისების (ტრენინგებისა და კონსულტაციების) ბენეფიციარების რეგულარული გამოკითხვები, პრეს-რელიზები და პრეს-კონფერენციები მედია-საშუალებებისათვის და ა. შ.

უფრო დაწვრილებით დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ იხ. 2009 წლის ანგარიში, გვ. 32-36 www.csrdg.ge

of regular digests to the employees; joint staff meetings; program and financial reports for the donors; coordination and consultation meetings with target or partner civil society organisations; regular surveys of our service (training and consultation) beneficiaries; press-releases and press-conferences for the Media; etc.

More details about stakeholder inclusion mechanisms are available in the 2009 Annual Report, pp. 32-36, on our web-site: www.csrdg.ge

# 3 ანგარიშის პარამეტრები

# REPORT PARAMETERS

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ინტეგრირებულ ანგარიშს. ის მოიცავს წლიურ ანგარიშს ჩვენი ორგანიზაციის პროგრამული საქმიანობის შესახებ და მენეჯმენტის მიდგომების შესახებ; აგრეთვე მდგრადი განვითარების ანგარიშს, რაც ეფუძნება „ანგარიშგების გლობალური ინციატივის“ მიერ შემუშავებულ ანგარიშგების ფორმატს (GRI G3). ეს არის ჩვენი ორგანიზაციის მიერ GRI ფორმატის მიხედვით მომზადებული მეორე მდგრადი განვითარების ანგარიში. პირველად აღნიშნული ფორმატით ანგარიში 2009 წელს მოვამზადეთ (იხ. 2009 წლის ანგარიში, www.csrdg.ge ).

GRI ფორმატთან შესაბამისობის დონეების სისტემის მიხედვით, წინამდებარე ანგარიში აკმაყოფილებს GRI G3 ანგარიშგების ფორმატის C დონის მოთხოვნებს. GRI ინსტრუქციის თანახმად, „შესაბამისობის დონე“ თავად ჩვენმა ორგანიზაციამ განსაზღვრა (ე.წ. თვითდეკლარირება) და ჩვენი თხოვნით გადაამოწმა და დაადასტურა GRI წარმომადგენელმა. ჩვენ არ მიგვიმართავს ანგარიშის გარე შეფასებისათვის.

ანგარიში აგრეთვე აკმაყოფილებს გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ხელმომწერი ორგანიზაციების წლიური ანგარიშგების (COP) მოთხოვნებს. (ჩვენი ორგანიზაცია „გლობალური შეთანხმების“ ინციატივას 2007 წელს შეუერთდა).

**საანგარიშო პერიოდი** - ანგარიში მოიცავს ერთ სრულ კალენდარულ წელს - 2010 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე (რაც ემთხვევა ფინანსურ წელს). ცალკეულ შემთხვევებში მოგვყავს გასული წლების მონაცემებიც, რათა უკეთ წარმოვაჩინოთ განვითარების დინამიკა და მიღწეული შედეგები.

## ანგარიშის დაფარვის სფერო და ფარგლები

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების უმრავლესობა სრულად მოიცავს ორგანი-

The report integrates an annual report on our program activities and a sustainability report, which conforms to the Global Reporting Initiative's (GRI) Sustainability Reporting Guidelines, version 3.0 (GRI G3). Consequently, it should be read as a totality.

The present paper is the second sustainability report prepared by our organisation in GRI format. The first such report was prepared in 2009 (please, see 2009 Annual Report, www.csrdg.ge).

In terms of extent of disclosure, we have self-declared this report to GRI Application level C, acknowledging that it has not been externally assessed. At our request, the application level had been checked by GRI representative.

The report also meets the basic compliance as a "Communication on Progress" for the UN Global Compact (UNGC.). Our organisation joined the UN Global Compact Initiative in 2007.

**Reporting period:**

This present report covers the period January 1 to December 31 2010 (which matches with our fiscal year). In some instances, in order to provide the context and illustrate trends, we present the available data and discuss certain programs from the previous year.

## SCOPE AND BOUNDARY OF THE REPORT

Most of the data presented in the report cover the operations of the Tbilisi head office as well as the Telavi bureau. For some indicators the data is only presented for the Tbilisi office, because reliable systems for their measurement

ზაციის საქმიანობას როგორც თბილისის ცენტრალური ოფისის, ისე თელავის ბიუროსი. ცალკეული ინდიკატორებისათვის მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ თბილისის ოფისისათვის, რადგანაც თელავის ბიუროში ჯერჯერობით არ არის დანერგილი შესაბამისი აღრიცხვის სისტემები. ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ საგანგებოდ არის მითითებული შესაბამისი მონაცემების წარმოდგენისას.

## ანგარიშის შინაარსის განსაზღვრა

ანგარიშის შინაარსის განსაზღვრის პროცესში ჩართული იყვნენ ორგანიზაციის ყველა დონის თანამშრომლები და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფები.

2009 წელს, მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადებისას, ორგანიზაციამ ჩაატარა დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფების გამოკითხვა, რათა გამოგვევლინა მათთვის პრიორიტეტული საკითხები, ანუ ორგანიზაციის საქმიანობის ასპექტები, რომელთა შესახებ მათ სურდათ ინფორმაციის მიღება ანგარიშის მეშვეობით (იხ. 2009 წლის ანგარიში, გვ. 27-30, www.csrdg.ge).

რადგანაც 2009 წლის შემდეგ ორგანიზაციას არ შეუცვლია საქმიანობის სპეციფიკა და სფეროები, გეოგრაფიული არეალი და სამიზნე ჯგუფები, შესაბამისად, ორგანიზაციის ზეგავლენის ძირითადი სფეროებიც იგივე დარჩა.

მენეჯმენტისა და თანამშრომელთა საერთო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 2010 წლისათვის დავეყრდნობოდით დაინტერესებულ მხარეთა 2009 წლის გამოკითხვის შედეგებს და ამ გამოკითხვის ფარგლებში გამოვლენილი ასპექტების მიხედვით შევარჩევდით ინდიკატორებს.

მენეჯმენტისა და თანამშრომელთა საერთო შეხვედრაზე მოხდა საკითხთა პრიორიტეტიზაცია და ერთობლივად განისაზღვრა ის ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც ინფორმაცია უნდა შეგვეტანა ჩვენს წლევანდელ მდგრადი განვითარების ანგარიშში. განისაზღვრა აგრეთვე ანგარიშის ფარგლები და დაფარვის სფერო.

ინდიკატორების საბოლოო შერჩევისა და

have not yet been introduced in the Telavi bureau. (There is a clear indication for every such case.)

## DETERMINING THE REPORT CONTENT

CSRDG's employees of all levels and various groups of our stakeholders were involved in determining the report content.

For preparing the 2009 sustainability report CSRDG conducted a survey among various stakeholder groups, aimed at identifying priority those issues and aspects of our activity that they were would like to be addressed in the report (see 2009 Annual Report, pp. 27-30, www.csrdg.ge).

CSRDG has not changed its activity field, coverage area and target groups since 2009. Hence, the main areas of the organisation's impact have remained unchanged.

CSRDG management and staff held a general staff meeting, during which a decision was made to again rely on the results of the 2009 stakeholder survey for identifying and selecting the indicators for the 2010 annual report.

During the same general staff meeting, the identified issues were ranked by priority and the indicators on which the current sustainability report was to focus were jointly selected. The limits and coverage area of the report were also identified.

In finalising the identification and prioritisation of the indicators, we were guided by GRI's principles for determining report contents, which include: Materiality; Stakeholder inclusiveness; Sustainability context; and Completeness.[4]

Thus, the final list of the indicators to be included in our 2010 annual report was determined (in other words, the report content was identified).

This report presents information by 19 GRI indicators. Out of which: 3 are from the economic area, 6 - from the environmental, and 10

[4] More details about reporting principles see in: GRY Sustainability Reporting Guidelines (http://www.globalreporting.org).

პრიორიტეტიზაციისას ვეყრდნობოდით GRI-ის მიერ შემუშავებულ „ანგარიშის შინაარსის განმსაზღვრელ პრინციპებს“. ესენია: არსებითობის პრინციპი, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, მდგრადი განვითარების კონტექსტი და სისრულე. [4]

ამგვარად დადგინდა იმ ინდიკატორების საბოლოო ნუსხა, რომლებიც შევიდა 2010 წლის ანგარიშში (ანუ განისაზღვრა ანგარიშის შინაარსი).

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია GRI 19 ძირითადი და დამატებითი ინდიკატორის მიხედვით. მათგან: 3 ინდიკატორი ეკონომიკური სფეროდანაა, 6 - გარემოსდაცვითი და 10 - სოციალური სფეროდან).

რამდენიმე ინდიკატორის შესახებ, რომლებიც არსებითად მივიჩნიეთ ჩვენი ორგანიზაციისათვის, წელს ვერ მოხერხდა ინფორმაციის შეგროვება და ანგარიშში შეტანა ან მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა, რადგანაც ხელთ არ გვქონდა შესაბამისი მონაცემები.

ანგარიშს ბოლოს ერთვის GRI საძიებელი, სადაც მითითებულია, ანგარიშის რომელ თავში და რომელ გვერდზეა წარმოდგენილი ინფორმაცია GRI ფორმატის თითოეული ინდიკატორისა თუ სტანდარტული კომპონენტის შესახებ.

***საკონტაქტო პირი ანგარიშთან დაკავშირებით შეკითხვების გაჩენის შემთხვევაში:***

ნ. ქარსელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ელ-ფოსტა: nkarseladze@csrdg.ge
ტელ.: (+99532) 2 399018/19
საქართველო, ქ. თბილისი, დელისის I შესახვევი, 5 ა.

from the social area.

Several indicators we considered significant for our organisation could not be addressed in the report, or only partly addressed, due to the unavailability of the necessary data.

A GRI content index is provided at the end of the report for cross-reference. It identifies where each standard disclosure and performance indicator can be found in the report.

***If you have any questions about this report, please contact:***

Nana Karseladze
Public Relations Manager
E-mail: nkarseladze@csrdg.ge
Tel.: (+99532) 2 399018/19
Delisi 1st lane 5A, Tbilisi, Georgia

[4] უფრო დაწვრილებით ამ პრინციპების შესახებ იხილეთ GRI ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებები (ქართული ვერსიის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდებზე: www.csrdg.ge; http://www.globalreporting.org/, ხოლო ინგლისური ვერსია განთავსებულია veb-gverdze: http://www.globalreporting.org/.

# 4 პროგრამული საქმიანობის ანგარიში

# PROGRAM REPORT ON OUR ACTIVITY

## ცენტრის სამწლიანი პროგრამა (2008-2010წ.წ.)

ორგანიზაციის მისიის მიღწევას ემსახურება ცენტრის სამწლიანი პროგრამა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სამთავრობო, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორების ერთობლივ ეფექტურ მონაწილეობას საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესებში და სამივე სექტორის სოციალური პარტნიორობის ჩამოყალიბების გზით ქვეყნის სოციალურად დაუცველი ფენების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ პროგრამული მიზნის მისაღწევად ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა სტრატეგიები:

- ინტერესთა დაცვის კამპანიები სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხებზე;
- გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/საკითხების მიტანა;
- კოალიციური და ქსელური მუშაობის სტიმულირებით საქმიანობის ეფექტურობის ზრდის ხელშეწყობა;
- სამთავრობო პროგრამების და რეფორმების განხორციელების მონიტორინგი;
- მუნიციპალიტეტების საქმიანობის მონიტორინგი და ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობა;
- თემის/სოფლის განვითარება;
- ეროვნული და ადგილობრივი დონის არასამთავრობო ორგანიზაციების და საჯარო სკოლების ტექნიკური დახმარება (კონსულტაციები და ტრენინგები);
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით;
- ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაცია და მისი განვითარებისთვის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.

## CSRDG'S THREE YEAR (2008 – 2010) PROGRAM

CSRDG's Three Year Program is aimed at accomplishing the organization's mission. The goal of the Program is to promote an effective joint participation of the Governmental, public and business sectors in the processes of Georgia's democratic development, and, by establishing social partnership among the three groups, promote the improvement of the quality of life of socially unprotected groups in the country.

To achieve the Program's goals, the organization has developed various activity implementation strategies:

- Advocacy campaigns on priority issues of the State policy;
- Informing decision-makers on problems/issues relevant to the public;
- Assistance to increase the effectiveness of the activities by stimulating coalition and network forms of working;
- Monitoring of the implementation of Government Programs and reforms;
- Monitoring the activities of the target municipalities and promoting increased accountability;
- Community/rural development;
- Provision of technical assistance (consultations and training) to non-governmental organizations and public schools at the national and local level;
- Promotion of civil society development by creating a favourable environment;
- Popularisation of business's social responsibility and participation in creating a favour-

ცენტრი თავის საქმიანობას ქსელურ-კოალიციურ პრინციპებზე დაყრდნობით წარმართავს. თბილისსა და საქართველოს 6 სამიზნე რაიონში - ლაგოდეხი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ყვარელი, სიღნაღი და თელავი - სოფლის განვითარებისა და მუნიციპალიტეტების მონიტორინგის მიმართულებით საქმიანობა პროგრამის ფარგლებში შექმნილი ქსელის საშუალებით მიმდინარეობს. ქსელი 2002 წლიდან ფუნქციონირებს და მისი წევრები არიან ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციები — „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია“ (ლაგოდეხი), „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“ (ოზურგეთი), ხოლო თელავში ქსელის საქმიანობას „სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის თელავის ბიურო“ წარმართავს. რაიონებში ქსელურად განხორციელებული საქმიანობა აქ არსებული პრობლემების გამოვლენის, მათი სპეციფიკის უკეთ გააზრების და ეროვნულ დონეზე მათი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

სამწლიანი პროგრამის ფარგლებში სამი ქვეპროგრამა მიმდინარეობს: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება; კარგი მმართველობის ხელშეწყობა; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს მოწვეულმა ექსპერტებმა, დუშან ონდრუშეკმა („პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისათვის - სლოვაკეთი“) და ნინო ჯავახიშვილმა (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ჩაატარეს ცენტრის სამწლიანი პროგრამის (2008-2010 წ.წ.) გარე შეფასება. შეფასების პროცესში ექსპერტებმა შეისწავლეს ორგანიზაციის სტრატეგიული დოკუმენტი (ცენტრის სამწლიანი 2008-2010 წ.წ. პროგრამა) და მასში მოცემული მიზნები და ამოცანები. რის საფუძველზეც ჩაატარეს ჩაღრმავებული ინტერვიუები და ორი ფოკუს ჯგუფი ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებით მოსარგებლე პრაქტიკულად ყველა ჯგუფთან, ესენია: ექსპერტები, ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციები, ცენტრის ბენეფიციარები და სერვისის მიმღები ორგანიზაციები, დონორები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მედიისა და საჯარო უწყებების წარმომადგენლები, ცენტრის თანამშრომლები, გამგეობის წევრები. შედეგად მოწვეულმა ექსპერტებმა ცენტრის მიერ 2008-2010 წლებში განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობა დადებითად შეაფასეს.

able State policy for its development.

CSRDG carries out its activities based on network-coalition principles. Our activities in rural development and municipal monitoring in Tbilisi and the six target municipalities - Lagodekhi, Ozurgeti, Chokhatauri, Kvareli, Sighnaghi and Telavi - are implemented through a network created under the Program. The Network, which has been operating since 2002, is composed of CSRDG's partner organizations - Georgian Civil Development Association (Lagodekhi), Georgian Democratic Development Union (Ozurgeti), while in Telavi the activities are implemented by CSRDG's Telavi branch. Network-based activities in the regions provide opportunities to identify local problems, obtain a better understanding of their peculiarities, and generalise them to the national level.

The Three Year Program has three sub-Program components: Strengthening Civil Society Institutions, the Promotion of Good Governance, and the Development of Corporate Social Responsibility.

It should be noted that invited experts, Dusan Ondrusek (Partners for Democracy Changes - Slovakia) and Nino Javakhishvili (Faculty of Social and Political Sciences, Tbilisi State University) carried out an external evaluation of CSRDG's Three Year Program (2008-2010). During the evaluation the experts studied the organization's strategic paper (CSRDG's Three Year, 2008-2010, Program) and the goals and objectives outlined in the document. Based on that, in-depth interviews and two focus group discussions were held with the organisation's almost all beneficiary groups, such as: experts, CSRDG's partner organisations, our beneficiaries and service recipient organisations, donors, international organisations, representatives of the Media and public agencies, CSRDG's employees, and members of the Board. As a results, the invited experts evaluated activities carried out by CSRDG in 2008-2010 as positive.

გვინდა გაგაცნოთ რამდენიმე ამონარიდი შეფასების დოკუმენტიდან:

„პროგრამის ფარგლებში ინიცირებულ და მხარდაჭერილ სათემო ახალგაზრდულ ცენტრებს უდიდესი წვლილი შეაქვთ ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში. 22-მა სათემო ახალგაზრდულმა ცენტრმა მოსალოდნელზე უფრო ეფექტურად მოახერხა ადგილობრივი პრობლემების მოგვარება. იგივე ითქმის მთელ რიგ წარმატებით განხორციელებულ მიკრო-პროექტებზე /ღონისძიებებზე. **სათემო ახალგაზრდული ცენტრები** მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ თავიანთ თემებში. ხშირ შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ ადგილებზე დამოუკიდებელი სამოქალაქო აქტივობის ერთადერთ „ბუდეს". პროგრამა წარმოადგენს ახალგაზრდა ლიდერების გამოვლენის, ადამიანების გააქტიურების და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების წარმატებულ საშუალებას. ასევე სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების და სამოქალაქო განათლების ირიბ, მაგრამ ძალიან ეფექტურ სკოლას.

სათემო ახალგაზრდული ცენტრები არის ერთადერთი „ნათელი წერტილი" სოფლებში, რადგან ისინი ადგილობრივ მოსახლეობას რეალურ დახმარებას უწევენ.

დღესდღეობით, მიმდებარე სოფლების მოსახლეობასაც მსგავსი ცენტრების შექმნის სურვილი გაუჩნდა, რაც წარმატების რეალური ინდიკატორია."

**„გამჭვირვალე და ეფექტიანი მმართველობის ხელშეწყობის** სფეროში „ცენტრმა" პროგრამების წარმატებული ნუსხა შექმნა. 2008-2010 წლებში სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობა და ანგარიშგება საგრძნობლად გაუმჯობესდა და ამ მუნიციპალიტეტების საქმიანობა მეტად შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტის მონიტორინგი და მათი საქმიანობის კანონთან შესაბამისობის (ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის კუთხით) მონიტორინგი „ცენტრის" ყველაზე წარმატებულ პროგრამათა რიცხვს მიეკუთვნება.

We would like to present several extract from the evaluation document:

"Community youth centres initiated and supported in the program have huge impact in solving local problems. Local problems addressed by 22 **Community Youth Centers** efficient solution was even higher than originally expected. The same is true for number of successfully implemented micro projects/mini actions. CYCs are very visible in their rural communities, very often they became the only "nest" of independent civic activity in the locality. This part of the program very efficiently serves as a tool to discover new community leaders, people who become active and learn to rely on themselves. It is also indirect but very effective informal school of civic awareness, civic education.

CYCs are the only "live cells" in villages as they provide real support for local population.

Today, many other villages around the ones that already have CYCs want to develop similar units for themselves which is a real indicator of success."

**"In the area of promoting transparent and efficient governance,** CSRDG achieved excellent record of own programs. In 2008-2010 transparency and reporting significantly improved in the target municipalities and their activities better meet the requirements of the law.

Monitoring of the local government budgets and monitoring of their compliance with requirements of the law (related to accountability and transparency) belongs to the most successful part of CSRDG programs.

შესანიშნავად იყო შერჩეული ინსტრუმენტები პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის - „ცენტრმა“ მიაგნო მექანიზმს, რაც გულისხმობს ეფექტიანი, მდგრადი და რეგიონული მასშტაბის ზეგავლენის მიღწევას. ეფექტიანობის მისაღწევად „ცენტრმა“ წარმატებით ჩართო კვალიფიციური და პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ დიდი ცოდნა და გამოცდილება ეკონომიკის, სამართლებრივ და მედია საკითხებში. „ცენტრმა“ ასევე ძალიან ეფექტიანად გამოიყენა სპეციალურად შექმნილი სამოქალაქო მონიტორინგის ქსელი, რომელიც ემსახურება დადებითი პრეცედენტების გავრცელებას და ურთიერთკავშირების დამყარებას რეგიონებს შორის.“

**„კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის** მოძრაობა ჯერ კიდევ შედარებით ახალია საქართველოში. ერთი შეხედვით, ამ საკითხით „ცენტრის“ დაინტერესება და მასში ძალისხმევის ჩადება შეიძლება ნაადრევი იყოს. მაგრამ, მეორეს მხრივ, „ცენტრის“ მიერ ამ სფეროში განხორციელებულმა პირველმა ნაბიჯებმა გამოიწვია დიდი ინტერესი იმ საერთაშორისო ინსტიტუტებისა (გაეროს განვითარების პროგრამა, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, ბრიტანეთის საბჭო), რომლებიც მუშაობენ ქვეყნის ფართო და გრძელვადიანი განვითარების მიმართულებით. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა „ცენტრს“ ანიჭებს უპირატესობას სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შედარებით და ასევე ემსახურება ორგანიზაციის დადებითი იმიჯის შექმნას.

ცოდნისა და გამოცდილების კუთხით ამ სფეროში „ცენტრი“ უსწრებს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მაგალითად, GRI ფორმების შემუშავება, საქართველოში ამ კონცეფციის ხელშეწყობასთან დაკავშირებით მონაცემებისა და შედარებადი ინფორმაციის მოგროვება. „ცენტრმა“ უნდა შეინარჩუნოს ეს უპირატესობა და გაზარდოს ის.„

Selected tools to be successful in the program were just excellent – CSRDG had found the mechanism that is involving, efficient, sustaining and has the regional impact. In order to be efficient CSRDG very effectively involved the skilled and highly committed organizational partners with substantial and well known economic, legal, media expertise and very efficiently used the specially created Civil Monitoring Network- that is spreading good practices among regions and serves and networking and multiplying mechanism".

"Movement of **corporate social responsibility (CSR)** is still relatively new in Georgia.

From one perspective interest and CSRDG investment into this area may be seen as the premature effort. From the other perspective the first efforts devoted by CSRDG into that issue area are immediately bringing huge interest from international institutions (like UNDP, Friedrich Ebert Stiftung, Eurasia Partnership Foudation, British Council.), who are interested in country development from the broader and longer term perspective and being active in these programs brings also important comparative advantage and very positive image for CSRDG.

From the knowledge and experience point of view CSRDG is ahead of the other CSOs interested in this field of expertise (e.g. by elaboration of the GRI forms, collecting the data and comparative information about promoting this concept in Georgia), CSRDG should keep this advantage and build on it. "

## პროგრამა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება

***პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ქვეყნის განვითარების პროცესებში სამოქალაქო სექტორის ეფექტურად მონაწილეობას, რათა მისი სამიზნე ჯგუფების ინტერესები რეალურად იქნას წარმოჩენილი.***

პროგრამის მიზნის მისაღწევად შემუშავებული სტრატეგია გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას ხელსაყრელი სამოქმედო გარემოს შექმნის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საჯარო სკოლების ტექნიკური დახმარების, ასევე სოფლებში ახალგაზრდული ცენტრების ფორმირების სტიმულირების გზით.

პროგრამა მოიცავს, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეს და მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით, რომელთა ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებული ქვეპროგრამები გახლავთ: საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სკოლების განვითარება და თემის განვითარება.

## PROGRAM – STRENGTHENING THE CIVIL SOCIETY INSTITUTIONS

***The Program aims to promote effective public sector participation, at both the national and local level, in the country's development processes, which will ensure realistic representation of the interests of our target groups.***

The strategy developed to ensure attainment of the Program's goal, aims to promote civil society development by creating favorable conditions for action, providing technical assistance to non-governmental organizations and public schools, and stimulating the creation of youth centers in Georgia's rural settlements.

The Program works at both national and local levels. It has two main directions, under which the following sub-Programs have been developed: the Development of Civil Society Organizations and Public Schools and Community Development.

## თემის განვითარების ქვეპროგრამა

***თემის განვითარების პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს მუნიციპალიტეტებში სოფლის მოსახლეობისთვის რესურსებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რათა მოსახლეობამ ეფექტურად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და გაუმკლავდეს ადგილობრივ პრობლემებს.***

პროგრამის სტრატეგია გახლავთ სოფლებში ახალგაზრდული ცენტრების ფორმირება და გაძლიერება. ეს ჯგუფები შემდგომში ხდებიან სხვადასხვა ადგილობრივი პრობლემების მოგვარების კატალიზატორები და მოსახლეობის ინფორმირებისა და მათი პიროვნული შესაძლებლობების რეალიზების ხელშემწყობნი.

## SUB-PROGRAM COMMUNITY DEVELOPMENT

***The goal of the Community Development Program is to ensure that resources and information are available to village populations to enable them to effectively realize their potential and address local problems in six districts of Georgia***

The Program strategy implies the formation and strengthening of youth centers in rural settlements. Later on, these groups become catalysts for solving various local problems, help inform the local population and assist them to fulfil their personal capabilities.

სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს თემის განვითარების მიმართულებით მუშაობის 12 წლიანი გამოცდილება აქვს. ამ მხრივ საქმიანობა 6 სამიზნე მუნიციპალიტეტში ხორციელდება და ქსელურ ხასიათს ატარებს (იხ. გვ. 27 „ცენტრის სამწლიანი პროგრამა“).

თემის განვითარების პროგრამის ციკლი მოიცავს: სოფლის შერჩევას, ახალგაზრდული ჯგუფის ფორმირებას, ჯგუფის მიერ სამოქმედო პროგრამის შემუშავებას, პროგრამის და ცალკეული მინიპროექტების განხორციელების ფინანსურ მხარდაჭერას, გუნდის გაძლიერებას და დასტაბილურებას, ახალგაზრდული სათემო ცენტრების მუშაობის შეფასებას და ახალი გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

სათემო ახალგაზრდული ცენტრი ადგილობრივი თემის მოსახლეობისგან შემდგარი არაფორმალური ჯგუფია, რომელშიც საშუალოდ 7-10 ადამიანია გაერთიანებული. ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- მოსახლეობის ინფორმირება და განათლება;
- შემეცნებითი და სპორტულ-კულტურული ღონისძიებების ორგანიზება;
- ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა და მათ მოგვარებაზე ზრუნვა.

პროგრამა ფორმირებული ახალგაზრდული ჯგუფების ტექნიკურ-ინფორმაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას მოიაზრებს. თითოეულ სოფელთან მუშაობის ციკლი სამწლიანია, პირველი ორი წელი უფრო ინტენსიური მხარდაჭერით.

2010 წელს „ცენტრმა“ საქმიანობა გააგრძელა წინა წლებში ჩამოყალიბებულ 7 სათემო ახალგაზრდულ ცენტრთან (ერთ-ერთი მათგანია ორგანიზაცია „პროგრესი“) და ასევე 2008 წელს ახლად ფორმირებულ 15 სათემო ცენტრთან.

### ტექნიკურ-ინფორმაციული მხარდაჭერა

2010 წელს სათემო ცენტრების წევრებს, პროფესიული უნარების გაღრმავების და ინფორმაციული მხარდაჭერის მიზნით, ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრები, თემატური ტრენინგები და სემინარები (ტრენინგების და სემინარების თემატიკა და სტატისტიკა იხ. დანართში 4), ასევე მინი ბიბლიოთეკისათვის მიეწოდათ შესაბამისი მასალები სხვადასხვა

CSRDG has 12 years experience in Community Development work. Activities are carried out in six target municipalities and are based on networking principles (see p. 27 “CSRDG’s Three Year Program”).

A cycle of the Community Development Program covers the following issues: Selection of a rural settlement; formation of a youth group; development of an action plan by the group; financial support for the Program and its separate mini-projects; strengthening and stabilisation of the team; evaluation of the work performance of the youth community center; and development and implementation of new long-term Programs.

A Community Youth Center is an informal group of local community residents, comprised on average of 7 to 10 people. The main focus of the youth centres’ activities are:

- Informing and educating the local population;
- Organising educational and sports/cultural events;
- Identifying and solving local problems.

The Program is aimed at providing technical information and financial assistance to the established youth groups. A cycle of working with each group has a three year duration, with more intensive support during the first two years.

In 2010, CSRDG continued work with seven community youth centers (one of which was the organization Progresi) created during previous years, and started work with 15 new community centers established in 2008.

### Technical Information Assistance

During 2010, workshops, thematic training courses and seminars aimed at increasing professional skills and providing informative assistance were held for members of community centers (topics and statistics of the trainings and seminars are presented in Annex 4). In addition, mini-libraries were supplied with various printed and multi-media materials (lit-







ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების, ვიდეო დისკების და სხვა ორგანიზაციების საინტერესო გამოცემების სახით.

### ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამა ითვალისწინებს სათემო ცენტრებისათვის შემდეგი ტიპის ფინანსურ მხარდაჭერას: მიმდინარე საქმიანობის მხარდამჭერი გრანტები და მიკროგრანტების პროგრამა.

- **მიმდინარე საქმიანობის მხარდამჭერი გრანტები**

2009 წლის მსგავსად, სათემო ცენტრებმა მოამზადეს 2010 წლის სამოქმედო გეგმები, სადაც 2 ექვსთვიან ეტაპად გაწერილია მათი მიმდინარე საქმიანობა. ეს უკანასკნელი, ძირითადად, მოიცავს კომპიუტერულ კურსებს, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს, დასუფთავების აქციებს, სხვადასხვა შემოქმედებითი წრეების მუშაობას, საინფორმაციო ფურცლების მომზადება-დავრცელებას და ა.შ.

ყველა სათემო ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობისთვის (ზოგიერთ შემთხვევაში ეს სოციალურად დაუცველი ადამიანები გახლდნენ) აქტიურად ფუნქციონირებდა კომპიუტერული სწავლების კურსები. ახალგაზრდულმა ცენტრებმა 2010 წლის განმავლობაში 400 ადამიანს შეასწავლეს კომპიუტერთან მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სათემო ცენტრმა მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების შეთავაზება დაიწყო. მაგალითად:

erature, magazines, newspapers, video disks) and interesting publications from other organizations.

### Financial Assistance

The Program envisages the provision of the following types of financial assistance to the community centres: current activity supporting grants and micro-grants Program.

- **Current Activity Supporting Grants**

As in 2009, the community centers prepared 2010 action plans, outlining their ongoing activities – each grouped into two stages of six months' periods. The activities are mostly related to computer courses, sports and cultural events, community clean-up events, various types of art classes, the preparation and dissemination of information leaflets, etc.

Computer courses were actively offered to anyone interested (in some cases, they were socially unprotected residents) in all the community youth centers. During 2010, the centers taught computer application Programs to 400 persons.

It is worth noting that some community centers started offering paid-for services to residents, for example: pressed-wool shop, sewing atelier, Sunday school for children, fitness

თექის ხელობის დაუფლება, სამკერვალო, საკვირაო სკოლა ბავშვებისათვის, ტრენაჟორებით აღჭურვილი დარბაზი, კომპიუტერული კურსები და ა.შ. ვფიქრობთ, ეს კარგი წინაპირობაა ამ სათემო ცენტრების მდგრადობის შესანარჩუნებლად და პროგრამა კვლავ ხელს შეუწყობს მათი ამ მიმართულებით განვითარებას. ამგვარ მომსახურებას დიდი მნიშვნელობა აქვს სათემო ცენტრის მუშაობისათვის, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სათემოს მისიის შესრულებას - მიაწოდონ საჭირო და თანაც დეფიციტური მომსახურება მოსახლეობას, და მეორე მხრივ, ამგვარი საქმიანობა მათთვის შემოსავლის დამატებითი წყარო ხდება.

პროგრამა სათემო ცენტრების მიმდინარე საქმიანობისათვის საჭირო მინიმალურ ხარჯებსაც უზრუნველყოფს.

- **მიკროგრანტების პროგრამა**

მიკროგრანტების პროგრამა გულისხმობს ორი ტიპის გრანტის გაცემას:

მცირე ზომის გრანტები (მინი-ღონისძიებების კონკურსი) - სათემო ცენტრების მიერ სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ თუ ადგილობრივ პრობლემაზე მიმართული საქმიანობის განსახორციელებლად. გრანტის მაქსიმალური ოდენობაა 350 ევროს ეკვივალენტი ლარში. ამგვარი კონკურსი 2010 წელს 3-ჯერ გამოცხადდა.

საშუალო ზომის გრანტები (მიკროპროექტების კონკურსი) - აღნიშნულ გრანტებზე 2010 წელს კონკურსი გამოცხადდა ორჯერ, მაქსიმალური საგრანტო თანხა შეადგენდა 1000 ევროს ეკვივალენტს ლარში.

თითოეულ სოფელში პრიორიტეტული საჭიროებების გამოვლენა თანამონაწილეობითი მოკვლევის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა.

2010 წლის კონკურსებზე წარდგენილი პროექტებიდან „სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის" ბაზაზე შექმნილმა სპეციალურმა საბჭომ მთლიანობაში 54 პროექტი დააფინანსა.

აღნიშნული პროექტების თემატიკა გახლდათ: სოფლების დამაკავშირებელი ხიდების და გზების რეაბილიტაცია, ეკო-განათლება, გარემოს დაცვა, ქალთა პროფესიულ განათლება, ავტობუსის მოსაცდელების, სკვერების და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა,

club, computer courses, etc. We believe this to be a good prerequisite for ensuring the sustainability of these community centers, so the Program will continue supporting them to develop in this direction. Such services are very important to the work of community centers. On the one hand, they help accomplish the community mission – providing necessary and hard-to-get services to the population; and, on the other, such produce additional sources of income for them.

The Program provides minimal expenses necessary for the community centers' currently ongoing activities.

- **Micro-grants Program**

The micro-grants Program envisages issuing two types of grants:

Small grants (competition for organizing mini-events) - for implementing various cultural, sports, or local problem-solving activities. The maximum grant is 350 Euro (equivalent in GEL). In 2010, this competition was announced three times.

Medium size grants (competition for micro-projects) – Competition for such grants was announced twice during 2010. The maximum grant amount was 1000 Euro (equivalent in GEL).

In each village, priority needs were identified by applying a participatory research method.

In 2010, a special assessment board set up and the Centre for Strategic Research and Development of Georgia financed a total of 54 projects.

All the projects mentioned above were related to the following topics: rehabilitation of village, connecting bridges and roads; ecological education; environment protection; women's vocational education; building and improving bus stops, squares and children playgrounds; rehabilitation of drainage canals, kindergarten buildings, school yards and libraries; organization of various intellectual and sports competitions; fencing of village agricultural land;

სადრენაჟო არხების, საბავშვო ბაღის შენობის, სკოლის ეზოს და ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია, სხვადასხვა ინტელექტუალური და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, სოფლის სამეურნეო ნაკვეთების შემოღობვა, სოფლის ცენტრის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, წყლის სარწყავი სისტემის ამუშავება, ქალთა ჯანმრთელობაზე და მოზარდთა განათლებაზე, ასევე სოციალურად დაუცველი ჯგუფების პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა.

2010 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სოფლის მიკროპროექტების შედეგებით მოსარგებლე ადამიანების ჯამური ოდენობა შეადგენდა 15 000-მდე ადამიანს.

improvement of sanitary conditions in the village centre; operation of an irrigation system; education on women's and adolescent health as well as activities to help solve the problems of socially unprotected groups.

The total number of beneficiaries of the rural micro-grants Program in 2010 was approximately 15,000 persons.

(Details of the social-economic impacts of the micro-projects are presented below, in the chapter Economic Indicators of Our Activity, p. 84. also see Annex 3).

**სოფელი ლალისყურის სათემო ცენტრი „ფლაგმანი“**

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლალისყურში სულ 250-მდე ოჯახია, აქ 70-მდე მცირეწლოვანი ბავშვია, ხოლო მათგან 32 სკოლამდელი ასაკისაა. ამ სოფელში არ არის საბავშვო ბაღი.

სათემო ცენტრის მიერ სოფელში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ სკოლამდელი აღზრდის კურსის გავლის გარეშე ბავშვებს თანატოლებთან და მასწავლებელთან ურთიერთობის გამოცდილება არ აქვთ, სკოლაში მისვლისას უამრავ სიძნელეს აწყდებიან, რაც, საბოლოო ჯამში, ბავშვის სასწავლო პროცესს აფერხებს.

სოფელში გამოკვეთილი პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ მოგვარების მიზნით სათემო ცენტრის ბაზაზე ამოქმედდა სკოლამდელი აღზრდის კურსები, რასაც უძღვება სპეციალობით სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტ-ფსიქოლოგი, ადგილობრივი სპეციალისტი. სკოლამდელთა საგანმანათლებლო პროგრამასა და პროგრამაზე ,,ნაბიჯ-ნაბიჯ" დაყრდნობით შედგენილია მინი-პროგრამა, რაც თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალების გამოყენებით სხვადასხვა ინტერაქტიურ მეცადინეობებს და მხიარულ ვარჯიშებს ითვალისწინებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების წერისათვის მომზადებასა და ხატვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ამ ეტაპზე სკოლამდელი აღზრდის კურსებზე 14 ბავშვი დადის. ბავშვების სასწავლო პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია, სწავლობენ ხატვას, გაფერადებას, ფიგურების ამოცნობას და დალაგებას, ლექსებს და სიმღერებს. ასევე ეჩვევიან ერთმანეთთან და მასწავლებელთან ურთიერთობას.

იმართება სხვადასხვა სახის საბავშვო ღონისძიებები, ესტაფეტები და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი. პერიოდულად იმართება საყვარელი მწერლებისადმი მიძღვნილი კონცერტებიც.

**Village Laliskuri, Community Centre Flagmani**

The population of the Telavi municipality village of Laliskuri is only about 250 households. There are about 70 small children, 32 of them of pre-school age. The village has no kindergarten.

A study conducted in the village by the local community center revealed that without pre-school education, small children lack the experience of relations with peers and teachers and face multiple problems when starting school. Eventually, this effects the child's learning process.

In order to at least partly solve the problem, the community center started operating a pre-school education facility in the village. The courses are lead by a local specialist with a background in pre-school educational psychologist. A mini-Program was developed based on a pre-school education and a Step-By-Step Program, and made up of various interactive activities that use visual/didactic materials and interesting exercises. Particular attention is given to preparing the children for writing and to develop their drawing skills. Currently, 14 children attend the pre-school education course. The Program is quite diverse - the children learn drawing, painting in colours, guessing and arranging the shapes, rhymes and songs and also learn how to build relationships with other children and teachers.

Various types of suitable events, contests and a special performance for the Child Protection International Day were held. From time to time, concerts dedicated to favourite writers are also organised.

**სოფელ აფენში, ახალგაზრდულმა სათემო ცენტრმა „კედელი“** განახორციელა პროექტი „ჯანმრთელი ქალი - ჯანმრთელი მომავალი“. პროექტი დააფინანსა „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა“, „ამერიკის მთავრობის მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლობასთან“ და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთობლივად. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ქალბატონებისთვის შეიქმნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი. ჩატარდა საგანმანათლებლო სემინარები რევმატოიდული ართრიტის და ოსტეოპოროზის საკითხებზე, რაზეც ქალბატონებს დაურიგდათ თემატური საინფორმაციო ბუკლეტები. სემინარები მოეწყო თელავის და ლაგოდეხის იმ მუნიციპალიტეტებშიც, სადაც ფუნქციონირებს სხვა ახალგაზრდული ცენტრები.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრით სარგებლობდნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ქალბატონები. პროექტის დასრულების მიუხედავად ცენტრი ფუნქციონირებას კვლავ აგრძელებს.

**The community youth center Kedeli (Wall)** in the village of Afeni implemented a Healthy Woman-Healthy Future Program. The project was funded by CRDG in cooperation with representatives from US Peace Corps and local residents. Within the project frameworks, a fitness club for women was opened on the community center's land. An educational seminar was held on rheumatoid arthritis and osteoporosis, and special educational brochures were distributed to the attendees. Seminars were also held in other municipalities of Telavi and Lagodekhi that have community youth centres.

Women of various age groups use the fitness club, which will continue functioning after the project ends.

(მიკროპროექტებით მოხდენილი სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი - „ჩვენი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები“, გვ. 84; აგრეთვე იხ. დანართი 3).

სათემო ახალგაზრდული ცენტრების წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი ინდიკატორია მათ მიერ საკუთარი ძალისხმევით, პროგრამის დაფინანსების მიღმა, მოძიებული თანხებით გადაჭრილი პრობლემების და განხორციელებული ინიციატივების რაოდენობა. ამ მხრივ, „თემის განვითარების პროგრამამ“ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

**პროგრამული საქმიანობების და სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტების გარდა, სათემო ცენტრების მიერ საკუთარი ინციატივით ან სხვა დაფინანსებით განხორციელდა 70 ინიციატივა, სადაც 2300-მდე ადამიანი მონაწილეობდა, ხოლო მათი შედეგებით 12 000-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა.**

Some of the indicators of community youth centers' activities successes are the number of local problems solved by the centers with funds raised by them, beyond the immediate Program funding, and the number of initiatives implemented. In this respect, the Community Development Programme has achieved important results.

**IN ADDITION TO THE PROGRAM ACTIVITIES AND THE PROJECTS FUNDED BY THE CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA, THE COMMUNITY YOUTH CENTERS IMPLEMENTED 70 INITIATIVES WITH THEIR OWN FINANCIAL RESOURCES OR FROM OTHER FUNDING. ABOUT 2,300 INDIVIDUALS PARTICIPATED IN THESE PROJECTS WITH OVER 12,000 BENEFICIARIES.**

One of the important aspects of the Program is making the community centers more active and putting them in contact with other strong

**სათემო ახალგაზრდული ცენტრის „ლელი I“-ის** 2010 წლის მთლიან ბიუჯეტში „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის“ დაფინანსებამ შეადგინა სულ 14%. ახალი პროექტებისთვის ახალგაზრდულმა ცენტრმა სხვადასხვა ფონდებიდან მოიზიდა ფინანსები. მაგალითად, პროექტი „ახალგაზრდების პიროვნული განვითარება“ დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველომ.“ სამოცმა ქართველმა, ოსმა და აზერბაიჯანელმა ახალგაზრდამ (რომლებმაც მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ვერ მიიღეს უმაღლესი განათლება) გაიარა პიროვნული განვითარების სხვადასხვა ტრენინგები და არაფორმალური განათლების კურსები. ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სათემო ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში, მიიღეს ცოდნა ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ადგილობრივი თვითმმართველობა, ბიუჯეტირება და ამ პროცესებში საზოგადოების მონაწილეობა. ასევე უფრო ახლოს გაიცნეს ადგილობრივი სამთავრობო და ადმინისტრაციული სტრუქტურები.

**The share of CSRDG funding in the community youth center Leli I's** overall budget for 2010 amounted to only 14%. The youth center attracted finance for new projects from various other foundations. For example, a project 'Personal Development of the Youth' was funded by the Open Society-Georgia Foundation. 60 young individuals of Georgian, Ossetian and Azeri ethnicity (who, due to economic hardship, were unable to get a university education) underwent various special training programs on personal development and informal education courses. The youth participated in various sports and cultural events organised by the community center, and acquired knowledge on such issues as: local self-governance, budgeting and public participation in these processes. In addition, they became more familiarized with local government and administrative bodies.

პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სათემო ცენტრების გააქტიურება და მათი დაკავშირება სხვა, ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რაც ახალგაზრდა ლიდერების პროფესიულ ზრდასთან ერთად, თავად სათემო ჯგუფების სტაბილურობასაც განაპირობებს.

ამ მხრივ, აღნიშნვის ღირსია ის ფაქტი, რომ სათემო ცენტრები სხვა ორგანიზაციებისა და პროგრამებისათვის დასაყრდენ ძალად და რესურსად იქცნენ და წარმატებით განახორციელეს მთელი რიგი ერთობლივი პროექტები.

CSOs. Along with the professional growth of young leaders, these measures will ensure more stability for the centers. In this respect, it should be noted that community centers have turned into a substantial support and resource for other organizations and Programs, and successfully implemented a number of joint projects.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ახალგაზრდული ორგანიზაცია „პროგრესი“**

ორგანიზაციამ 2010 წლის ოქტომბერში დაიწყო პროექტის - „მინანქრის სახელოვნებო წრე“ განხორციელება. პროექტს ჰყავს სამი დამფინანსებელი: პოლონური ორგანიზაცია - მენეჯერული ინიციატივების ფონდი, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. პროექტის ბიუჯეტში ფინანსური წვლილი შემდეგნაირად გადანაწილდა: 7% ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, 38% სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი და 55% მენეჯერული ინიციატივების ფონდი.

პროექტის მიზანი გახლდათ ახალგაზრდებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენით მათი თვითრეალიზების ხელშეწყობა, მინანქრის სახელოვნებო წრის შექმნითა და ფუნქციონირებით, ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის მიღწევა და აღნიშნული დარგის პოპულარიზაცია. პროექტის შედეგად მინანქრის ნაკეთობების დამზადება შეისწავლა 18 ახალგაზრდამ (უფასოდ), მათ შორის 5 სოციალურად დაუცველი პირი იყო, მოსწავლეების მიერ მომზადდა 18 სხვადასხვა სახის ნაკეთობა, ადგილზე დასაქმდა ერთი ადამიანი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტაციისა და დასაქმების ცენტრმა დამატებით დააფინანსა 5 მოსწავლის სწავლის საფასური. საამქრო კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას, როგორც სასწავლო კურსების, ისე ნაკეთობების დამზადება-რეალიზაციის მიმართულებით.

**სოფელი გულგულა. გულგულას სათემო ცენტრი და სამკერვალო**

საჯარო შეხვედრებზე თემში არსებული პრობლემების კვლევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე 2009 წელს მომზადებული პროექტის ფარგლებში (დაფინანსება სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი), ქალბატონების დაუსაქმებლობის და ცხოვრების მძიმე პირობების გაუმჯობესების მიზნით, 30 ქალმა შეისწავლა საკონდიტრო საქმიანობა და სტილისტის ხელობა. ამ ქალბატონებიდან 4 დასაქმდა.

პროექტის განხორციელების შედეგად ქალბატონები გააქტიურდნენ და დაიწყეს

**Chokhatauri Municipality, Youth Organization “Progresi”**

In October 2010, the organization started implementing the Enamel Art School project with three funding sources: the Foundation for Managerial Initiative (Poland) - with a 55% contribution to the overall budget; Centre for Strategic Research and Development of Georgia - with 38%; and the local municipality - with a 7% contribution.

The project’s objectives were: promotion of youth self-realisation by helping them to acquire professional skills; achieving the organization’s financial stability by means of creating and operating an enamel art school; and the popularization of the civil society organizations. 18 young participants, five of whom were from socially unprotected households, learned enamel work (the beneficiaries from the vulnerable households were given training free of charge). The students made 18 different types of handcraft pieces. One person obtained a job in the enterprise, and the consultation and employment center IOM (International Organization for Migration) sponsored five additional students to learn these skills. The enterprise still continues operating in both fields – offering learning courses as well as making art crafts for sale.

**Village Gulgula’s Community Center and Sewing Enterprise**

Based on information about problems and needs identified during public meetings, a project was prepared in 2009 (funded by CSRDG) aimed at improving the employment situation and living conditions of local female residents. As a result, 30 women learned baking and hairdressing – four of whom were able to find jobs.

As a result of the project’s implementation, the participants became more active, started discussing their problems with representatives of the community center and working on new ideas.

სათემო ცენტრის წარმომადგენლებთან საკუთარ პრობლემებზე და ახალ იდეებზე საუბარი.

ერთ-ერთი ასეთი რეალიზებული იდეის შედეგად სათემო ცენტრის მონაწილეობით ჩამოყალიბდა საბნების კერვისა და ქსოვის შესწავლის კურსები, მოეწყო და აღიჭურვა სამკერვალო, დაფინანსება „ამერიკის მთავრობის მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლობა საქართველოში“. ეს ხელსაქმე შეისწავლა 24-მა ქალბატონმა. პროექტის რეზონანსი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ სამკერვალოს პოპულარობა სოფლის საზღვრებს გასცდა. მეზობელი სოფლის მაცხოვრებლებმაც გადაწყვიტეს ამ ხელობის შესწავლა, ასევე პროდუქციის შეძენის მიზნითაც ხშირად აკითხავენ სამკერვალოს.

სამკერვალოში გაგრძელდა შემსწავლელი კურსები და დამატებით 30 ქალბატონმა შეისწავლა კერვა. ჯამში 60-მდე ქალმა შეისწავლა აღნიშნული ხელსაქმე და 3 მათგანი კი უკვე ადგილზეა დასაქმებული, შესაბამისად, სამკერვალო აგრძელებს აქტიურ ფუნქციონირებას.

ამჟამადაც სოფელში, სათემო ცენტრის ბაზაზე, აქტიურად მოქმედებს სამკერვალო, სადაც იკერება საბნები და ტანსაცმელი. სამკერვალოს მომსახურებით სარგებლობს როგორც მთელი სოფელი (ემსახურებიან შეღავათიანი ფასით), ისე მეზობელი სოფლის მოსახლეებიც. აქ არსებული სასიამოვნო გარემო კი უფრო მეტ ადამიანს იზიდავს და დამატებითი - ყოველდღიური ყოფითი პრობლემებისგან განტვირთვისა და ახალი იდეების გაზიარების - ფუნქციებიც შეიძინა. სამკერვალოში დასაქმებული ქალბატონები აქტიურად მონაწილეობენ სათემო ცენტრის პროგრამის სხვადასხვა ღონისძიებებშიც, რადიკალურად შეიცვალა მათი ცნობიერება და ფსიქოლოგიური ფონი.

Following up on one such idea, and with the participation of the community center, courses to learn blanket sewing and knitting were started and a small enterprise created and equipped. The project was funded by US Peace Corps in Georgia. 24 women learned these skills. The project had such a resonance that the enterprise became popular beyond the village boundaries. Residents in a neighbouring village also decided to learn these skills, as well as being frequent visitors to buy produced blankets.

The learning courses were extended and an additional 30 women obtained these skills. In total, about 60 women participated and three of them are already employed in the same enterprise. Accordingly, the enterprise continues in active operation.

At present, the enterprise still operates at the community center's base, producing blankets and clothing. The services are used by the village's residents (with certain discounts), as well as those from a neighbouring village. The existing pleasant environment in the enterprise attracts yet more people, and the enterprise even acquired an added value function of getting women away from every day problems and exchanging new ideas. Women, employed in the enterprise, actively participate in various events implemented by the community center. Their mental and psychological health has changed radically.

## ახალგაზრდული სათემო ცენტრების ქსელური საქმიანობა

სათემო ცენტრებს შორის ჰორიზონტალური კავშირების გაღრმავების მიზნით და ქსელის გასაძლიერებლად თითოეულ სამიზნე რეგიონში რეგულარულად ეწყობოდა სათემო ცენტრების ერთობლივი საანგარიშო შეხვედრები, სადაც სათემო ცენტრების წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებდნენ მიღებულ გამოცდილებას.

გარდა ამისა, ახალგაზრდულ ცენტრებს შორის, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ტრენინგები სამიზნე რეგიონებში როტაციული პრინციპით ტარდებოდა. ტრენინგებზე ერთი თავისუფალი დღე ეძლვნებოდა გაცნობით ტურს, რომლის მსვლელობაშიც ერთი

## Network Activity of the Community Youth Centers

In order to enhance horizontal relations between the community centers, strengthen the network and share experiences, regular joint reporting meetings of the centers were held in each target municipality.

In addition, for experience sharing between the youth centers, training sessions were held in the target regions based on a rotation principle. One free day of every training cycle was dedicated to orientation tours, when representatives of a regional community center visited the community center offices of the host region and familiarized themselves with its work.











რეგიონის სათემო ცენტრები სტუმრობდნენ მასპინძელი რეგიონის ცენტრების ოფისებს და ადგილზე ეცნობოდნენ მათ მიერ შესრულებულ საქმიანობას. 2010 წელს მოეწყო ამ ტიპის სამი გაცვლითი ვიზიტი.

სათემო ახალგაზრდული ცენტრების, რეგიონული პარტნიორი ორგანიზაციების და სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის წარმომადგენლების ერთობლივი დიდი შეხვედრა ჩატარდა ბათუმში.

შეხვედრის პირველი დღე დაეთმო ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობის პრეზენტაციებს. შეხვედრაზე გამოვლენილ „საუკეთესო პრეზენტაციის" წარმდგენ სათემო ცენტრს გადაეცა წამახალისებელი ჯილდო.

შეხვედრის მეორე დღე დაეთმო, ერთი ნაწილი, სათემო ცენტრების საჭიროებების გამოვლენას, რაც სამომავლო გეგმებში ჰპოვებს ასახვას, და მეორე ნაწილი კი, მიწის პრივატიზების საკითხებზე სემინარს.

## ახალგაზრდული სათემო ცენტრების საქმიანობის შეფასება

2010 წელს შეფასდა 2008 წელს დაარსებული 15 ახალგაზრდული სათემო ცენტრის საქმიანობა, სადაც ვხელმძღვანელობდით ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებით.

გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში (გურია: ოზურგეთი და ჩოხატაური, კახეთი: თელავი, ლაგოდეხი, ყვარელი და სიღნაღი), სულ 15 სამიზნე სოფელში/თემში გამოიკითხა 875 ადამიანი, აქედან 471 ქალი და 404 მამაკაცი.

**შეფასების განზოგადებული ძირითადი დასკვნები შემდეგია:**

საერთო ჯამში, სოფლებში ცენტრების ცნობადობის საკმაოდ მაღალი დონე დაფიქსირდა. მოსახლეობის 80%-მა აღნიშნა, რომ სმენია ასეთი ცენტრის შესახებ. ამ ჯამური მაჩვენებლიდან, 37%-მა აღნიშნა, რომ კარგად იცნობს ცენტრის საქმიანობას, ხოლო 42,2%-მა, სმენია ცენტრის შესახებ.

Three exchange visits of this type were organized during 2010.

A grand joint meeting of the community youth centers, regional partner organizations and representatives of CSRDG was held in Batumi.

The first day of the meeting was devoted to presentations on the activities of the centers. At the end of the day, the center with the best presentation was identified and given a stimulating award.

The second day was dedicated to discussing the centers' needs and their effect on future plans. Another issue for the day was a seminar on land privatisation.

## Evaluation of the Activities of the Community Youth Centers

An evaluation of the 15 community youth centers established in 2009 was conducted during 2010 using the results of a local population survey.

The survey was carried out in six Georgian municipalities (Guria - Ozurgeti and Chokhatauri, Kakheti - Telavi, Lagodekhi, Kvareli and Sighnaghi). A total of 875 respondents (471 females and 404 males) were surveyed in the 15 target villages/ communities.

**The main generalised findings of the survey are the following:**

Overall, there was a high level of awareness of the community centers in the villages. 80% of the respondents had heard about such centers – of these 37% said that were familiar with the center's activities, and 42.2% that they had heard about the center.

## სათემო ცენტრების ცნობადობა
## Awareness of the Community Centers

გსმენიათ თუ არა რაიმე თქვენს სოფელში არსებული სათემო ახალგაზრდული ცენტრის შესახებ?
Have you heard anything about the Community Youth Center existing in your village?




რაც შეეხება სათემო ცენტრების საქმიანობით მოსახლეობის კმაყოფილების დონეს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით შეფასება ერთმნიშვნელოვნად დადებითია. რესპონდენტების 98%-მა ამ კითხვას დადებითად უპასუხა.

As for public satisfaction levels with the activities of the community centers, it should be mentioned that the results were clearly positive, with 98% of the respondents answering favorably (aggregated positive answers).

## სათემო ცენტრებით კმაყოფილების ხარისხი
## Level of Satisfaction with the Community Centers

რამდენად მოგწონთ ცენტრის საქმიანობა?
How much do you like the Center's activities?



ზემოთ აღწერილი შეფასების გარდა ცენტრის რეგიონული პარტნიორი ორგანიზაციები და საკვანძო ეტაპებზე კი პროგრამის კოორდინატორი ადგილზე რეგულარულად ახდენდნენ სათემო ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობის მონიტორინგს. გამოკითხვის და მონიტორინგის შედეგების, ასევე პროგრამული ინდიკატორების ანალიზი საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას, თუ რომელი ცენტრები ავლენენ განვითარების მეტ პოტენციალს და მოტივაციას, ვისთან გააგრძელებს პროგრამა შემდგომ წლებში ინტენსიურ ურთიერთობას.

In addition to the above mentioned evaluation, CSRDG's regional partner organizations and, for key stages, our Program Coordinators were regularly monitoring the activities of the Community Youth Centers. The study and evaluation results, as well as the analysis of the Program indicators, became the basis for the decision on which community centers have a greater growth potential and motivation, and which of them will be chosen by the Program for intensive cooperation over the coming years.

## ქვეპროგრამა - საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სკოლების განვითარება

***პროგრამის მიზანიაეროვნული და ადგილობრივი დონის არასამთავრობო ორგანიზაციების და საჯარო სკოლების მართვის უნარ-ჩვევების განვითარება და მოსახლეობის მხრიდან მათი მხარდაჭერის ხელშეწყობა.***

ქვეპროგრამის განხორციელების სტრატეგია გახლავთ ეროვნული და ადგილობრივი დონის არასამთავრობო ორგანიზაციების და საჯარო სკოლების ტექნიკური დახმარება, მათთვის კვალიფიციური კონსულტაციების და ტრენინგების შეთავაზება, ასევე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთობლივად (კოალიციურად) სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელსაყრელი სამოქმედო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

პროგრამის ექსპერტების მიერ შემუშავებული ტრენინგები და კონსულტაციები მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საჯარო სკოლების ორგანიზაციულ გაძლიერებას და მიმართულია ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის და მართვის პროცესების გაუმჯობესებისაკენ.

### საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სკოლების შესაძლებლობათა განვითარება

2010 წელს საქმიანობა წარიმართა წინა წელს ჩატარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საჭიროებათა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული მიდგომებით, კერძოდ:

- დამწყები არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა დონის მენეჯერებისთვის ტრენინგების კომპლექსური პროგრამის შემუშავება. კვლავ არსებობს ტრენინგების ჩატარების საჭიროება ისეთ სტანდარტულ თემებზე, როგორიცაა: მართვის უნარები - დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება, ფინანსების მოძიება და პროექტის წერა, რასაც დაემატა ორგანიზაციული მდგრადობის მიღწევის სტრატეგიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მარკეტინგის საკითხები;
- საკონსულტაციო მომსახურების გააქტი-

## SUB-PROGRAM - DEVELOPMENT OF CIVIL SOCIETY ORGANIZATIONS AND PUBLIC SCHOOLS

***The objective of the Program is to develop management skills in national and local non-governmental organizations and public schools and promote public support for these institutions.***

The strategy developed to accomplish the Program objectives involved the provision of technical assistance on the national and local level to non-governmental organizations and public schools, offering them highly qualified consultations and training programs, and, in cooperation with other civil society organizations (in the form of a coalition), the promotion of the development of favourable environment for civil society.

The training and consultations developed by the Program experts are aimed at an organizational strengthening of civil society organizations and public schools, and are directed at improving the financial sustainability and management processes of these organizations.

### Building the Capacity of Civil Society Organizations and Public Schools

The activities carried out in 2010 were based on the approaches outlined as a result of the civil society organizations' needs assessment undertaken in the previous year. In particular:

- The development of a complex training program for various level managers of new non-governmental organizations. The need still remains for providing training on such standard topics as: management skills - planning, monitoring and evaluation, fund raising, and project proposal writing. Additionally, issues related to strategies to achieve organizational sustainability, positive public relations and the marketing of civil society organizations have been added to the above list.

ურება;
- ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე მიმართული საქმიანობის განხორციელება.

„ცენტრის" ტრენერთა და ორგანიზაციული განვითარების კონსულტანტთა ჯგუფი ორგანიზაციებს სთავაზობს საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს მართვისა და ორგანიზაციული განვითარების საკითხებში.

*ტრენინგები*

2010 წელს პროგრამის ექსპერტების მიერ შემუშავებული სხვადასხვა დონის და თემატიკის ტრენინგ-მოდულები ჩაუტარდათ თბილისის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სკოლებს.

**ორგანიზაციული განვითარება და მართვა, პროექტის წერა**

2010 წელს პროგრამის ტრენერებმა, პროექტის წერის, ორგანიზაციული განვითარებისა და მართვის საკითხებზე, 70-ზე მეტი ორგანიზაციის და სათემო ჯგუფის წარმომადგენლისათვის ჩაატარეს 14 თემატური ტრენინგი.

ტრენინგის მონაწილეთა შორის ასევე იყვნენ იძულებით გადაადგილებული პირების სათემო ჯგუფებიც.

- Providing consultation services more actively.
- The implementation of activities targeted on the development of social enterprise in the country.

A team of CSRDG's trainers and organizational development consultants offers needs-tailored training courses and individual consultations on management and organizational development issues.

*Training*

In 2010, training modules, developed by our Program experts, at various levels and on different topics, were carried out for civil society organizations and public schools from Tbilisi and a number of regions of Georgia.

**Organizational Development and Management, Project Proposal Writing**

In 2010, the Program trainers held 14 thematic training courses on project proposal writing, organizational development and management issues, for representatives of more than 70 organizations and community groups, including those of internally displaced persons.







## სოციალური მეწარმეობის განვითარება

2010 წელს სოციალური მეწარმეობის საკითხზე თბილისსა და რეგიონებში ჩატარებულ 4 ტრენინგ-კურსს დაესწრო 64 მონაწილე. ყველა ტრენინგზე დაფიქსირდა მონაწილეთა კმაყოფილების მაღალი ხარისხი, როგორც ტრენინგების შინაარსის და მასალების, ასევე მსვლელობის პროცესის და ორგანიზების მიმართულებით, რაც შეფასების კითხვარებით გამოვლინდა. ტრენინგის მონაწილეებმა პრაქტიკული ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვისას ინდივიდუალური კონსულტირების საჭიროებაზეც მიუთითეს.

ამჟამად სოციალური მეწარმეობის თემაზე ცენტრის ტრენერ-კონსულტანტების მიერ შემუშავებულია 2 სახის ტრენინგი:

- შესავალი ტრენინგი სოციალური მეწარმეობის ზოგად კონცეპტუალურ საკითხებზე;
- ტრენინგი სოციალურ ორგანიზაციაზე - ეძღვნება ორგანიზაციაში სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის საჭირო ნაბიჯების განხილვას.

## სკოლების ფინანსური მართვის განვითარება

სკოლების ფინანსური მართვის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრის ექსპერტების მიერ შემუშავდა ტრენინგ-კურსი სკოლების ფინანსური მართვის და სამეურვეო საბჭოს როლის და ფუნქციების საკითხებზე. აღნიშნულ თემებზე 2010 წელს თბილისსა

## Development of Social Enterprise

In 2010, four training courses were held in Tbilisi and target regions on social enterprise, attended by 64 participants. A high level of participant satisfaction with regard to both contents and materials, as well as the process and organization of the trainings, was observed during every course. Participant satisfaction was evaluated by means of special evaluation questionnaires. Training participants also expressed a need for individual consultations when planning practical economic activities.

Currently, the Center's trainer-consultants offer two types of training on social enterprise:

- Introductory training on general conceptual issues in social enterprise;
- Training for social organization, aimed at discussing the steps necessary for the development of social enterprise in the organization.

## Development of the Financial Management of Public Schools

For the sake of improving the financial management of public schools, the Center's experts developed a training course on Financial Management of the School and the Role and Functions of the Board of Trustees in school financial management. A training cycle on these issues

და რეგიონებში სკოლების დირექტორებსა და სამეურვეო საბჭოს წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგების ციკლი. მთლიანობაში ჩატარდა 20 ტრენინგი (9 - თბილისში და 11 – სხვადასხვა რეგიონში), ტრენინგებს დაესწრო 347 ადამიანი, საიდანაც 180 სკოლის დირექტორი, ხოლო 167 სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი გახლდათ.

**მართვის ხელოვნების სკოლა (SMART)**

2009 წელს ცენტრის ექსპერტებმა შეიმუშავეს ტრენინგების პროგრამა „მართვის ხელოვნების სკოლა“. პროგრამა მომზადებულია მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის, აკრედიტებული ტრეინინგ-კურსების და ორგანიზაციული განვითარების თანამედროვე თეორიების ბაზაზე, გამდიდრებულია შესაბამისი მასალით. პროგრამაში კომპლექსურად განხილულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებისათვის აუცილებელი სფეროები. ცალკეული ტრეინინგების ნაცვლად პროგრამა დაინტერესებულ ორგანიზაციებს სთავაზობს ტრენინგების სრულ პაკეტს, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის წარმატებისთვის საჭირო უნარების და ცოდნის გაუმჯობესებას. „მართვის ხელოვნების სკოლის“ ერთწლიანი კურსი სპეციალურად შექმნილია ორგანიზაციების სხვადასხვა დონის მენეჯერებისათვის - ორგანიზაციის ხელმძღვანელებისათვის, ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლებისთვის, ასევე პროგრამების და პროექტების მენეჯერებისა და კოორდინატორებისთვის.

for school directors and members of board of trustees was held in Tbilisi and various regions of Georgia. A total of 20 sessions were held (9 in Tbilisi and 11 in the regions), attended by 347 people, of whom 180 were school headmasters and 167 representatives of school supervisory boards.

**School of Management Art (SMART)**

In 2009, CSRDG's experts developed a Program - School of Management Art. The Program is based on the best practices of the world leading countries, accredited training courses and modern theories of organizational development, and is enriched with respective materials. The Program discusses necessary areas of civil society development. Instead of separate isolated training, the Program offers interested organizations a full package of training courses that ensures the development of the skills and knowledge necessary for organizational development. A special one-year course on School of Management Art is specifically designed for various levels of managers – top managers and representatives of the managerial unit, as well as Program and project managers and coordinators.









პროგრამის პირველი ციკლი დაიწყო 2009 წელს და დასრულდა 2010 წელს. მთლიანობაში ჩატარდა 6 ტრენინგ-კურსი, რომელიც ეხებოდა – ეფექტური ორგანიზაციისა და ორგანიზაციული განვითარების, ეფექტური მენეჯმენტის უნარების, სტრატეგიული დაგეგმვისა და პროექტის ჩარჩოს შედგენის, პროექტის მართვის, ფონდების მოძიების და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებს.

აღნიშნულ ტრენინგ-კურსებს დაესწრო 16 საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

**პროგრამის ფარგლებში 2010 წელს ჩატარებულ ტრენინგებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სკოლების 777 წარმომადგენელი დაესწრო.**

### *კონსულტაციები*

პროგრამა დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს სთავაზობს კონსულტაციებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.

2010 წელს საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 38 საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციას. კონსულტაციები მიმართული იყო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის და მართვის პროცესების გაუმჯობესებისაკენ, კერძოდ:

- 2010 წელს **თანხების მოძიების და პროექტის წერის** საკითხებზე კონსულტაცია ძირითადად „ცენტრის“ სამიზნე რაიონების დამწყებ არასამთავრობო ორგანიზაციებს გავუწიეთ;
- **საპროექტო განაცხადების შედგენაზე კონსულტაციის** მიღების სურვილით „ცენტრს“ ხუთმა ორგანიზაციამ მიმართა; შედეგად, წარდგენილი 5 საპროექტო წინადადებიდან ორი დაფინანსდა, ხოლო ერთი განხილვის ეტაპზეა;
- **სოციალური მეწარმეობის სხვადასხვა ასპექტებზე ცენტრის ექსპერტები** კონსულტირებას უწევდნენ ეკონომიკური საქმიანობის მქონე ორგანიზაციებს და სათემო ჯგუფებს საქმიანობის მსვლელობაში წარმოჩენილ აქტუალურ საკითხებზე;

The Program's first cycle was launched in 2009 and ended in 2010. Overall, six training courses were held dedicated to the following issues: effective organization and organizational development, effective management skills, strategic planning and creation of the project's logframe, project management, fund raising, and human resource management.

The courses were attended by representatives of 16 civil society organizations.

**Overall, during 2010, 777 representatives of civil society organizations and public schools attended the training courses held within the Program.**

### *Consultations*

The Program offers interested organizations and individuals a set of consultations on various issues related to their interests and in accordance with their needs.

In 2010, consultation services were provided to 38 civil society and community organizations, aimed at improving the organization's financial sustainability and management processes, particularly on:

- **Fund raising and project proposal writing issues** - mainly for newly established non-governmental organizations in the Center's target districts;
- **Completion of project application** - Five organizations applied to CSRDG with a request for consultations. As a result, out of five submitted project proposals, two have been funded and one more is in the process of consideration;
- **Various aspects of social enterprise, the Center's expert**-consultants provided services for organizations and community groups engaged in economic activities. The consultations addressed issues the organizations faced in the course of their activities;

- **ორგანიზაციული განვითარების შეფასების და სტრატეგიული დაგეგმვის, ორგანიზაციული განვითარების გეგმის შემუშავების, საპროექტო განაცხადების შედგენის, პროექტების შეფასების და პროექტის გარე შეფასების** საკითხებზე 2010 წელს პროგრამის ექსპერტებმა სამ ორგანიზაციას (რომელთაგან ერთი აზერბაიჯანში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა) გაუწიეს კონსულტირება.

## *საგრანტო კონკურსი*

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების და სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით, პროგრამის ფარგლებში 2010 წლის აპრილში და სექტემბერში გამოცხადდა 2 საგრანტო კონკურსი.

კონკურსებმა დიდი ინტერესი დაიმსახურა, 79-მა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ შემოიტანა საპროექტო წინადადება.

საპროექტო წინადადებებს განიხილავდა პარტნიორი ორგანიზაციების და „ცენტრის“ მარკეტინგისა და ფინანსური საკითხების ექსპერტებით დაკომპლექტებული ჯგუფი. ყველა წინადადება შეფასდა ეკონომიკური და სოციალური კუთხით, ასევე ყურადღება ექცეოდა ორგანიზაციის გამოცდილებას.

ორივე კონკურსის შედეგად დაფინანსდა 6 პროექტი: ეკოლოგიურად სუფთა ხის სათამაშოების წარმოება (ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“), ფერმერთა მომსახურების გამრავალფეროვნება („სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“), მინიტრაქტორით სოფლის მოსახლეობის მომსახურება (სათემო ახალგაზრდული ცენტრი „ჰერეთი“), სასათბურე მეურნეობის მოწყობა (კავშირი „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“), სამკერვალო საამქრო (სამცხე-ჯავახეთის „დემოკრატ ქალთა საზოგადოება“), ქართული სუფრის ტრადიციული აქსესუარების წარმოება (ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი „ისტორიალი“).

- In 2010, the Program experts also provided consultations to three organizations (one of which was a civil organization operating in Azerbaijan) on the following issues: **evaluation of organizational development and strategic planning, elaboration of organizational development plans, completion of project funding applications, project internal evaluation and project external evaluation.**

## *Grant Competition*

In April and September 2010, two grant competitions aimed at improving the financial sustainability of civil society organizations and development of social enterprise were announced under the Program.

The competition engendered much interest and 79 organizations submitted their grant proposals.

Project proposals were reviewed by a group of experts from our partner organizations, and experts in marketing and financial issues. All the proposals were reviewed from an economic and social standpoint. The applicant organizations' experience was also taken into consideration.

As a result, six projects were funded in the two competitions: production of ecologically clean wooden toys (Foundation Global Initiative in Psychiatry); diversification of services for farmers (Rural Consultation Service); provision of mini-tractor services to village residents (community youth center Hereti); arrangement of small greenhouse farms, where young plants and decorative flowers will be grown ("Disabled Child, Family, Society"); a tailoring enterprise, oriented towards women's garments (Society of Democratic Women of Samtskhe-Javakheti); producing folk handicrafts, namely traditional accessories of a Georgian table – tablecloth, napkins, trays, napkin rings/holders, and card holders (International Art Center "Istoriali")







- **ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ (გიფ-თბილისი) – ეკოლოგიურად სუფთა ხის სათამაშოების წარმოება.** პროდუქცია მზადდება მაღალი ხარისხის ხის ჯიშებისგან. ზედაპირი მუშავდება გერმანული წარმოების საღებავებითა და სპეციალური ზეთებით, რომელიც სპეციალურად ბავშვის სათამაშოებისთვის გათვალისწინებული უსაფრთხოების ევროპული სტანდარტების შესაბამისია. საწარმოში ამ ეტაპზე დასაქმებულია 4 ადამიანი, მათ შორის ერთი ახალგაზრდა პრობაციონერია.სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავლით ფინანსდება ორგანიზაციის მომსახურება, რომლის ფარგლებშიც ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევენ ქ. გორთან კომპაქტურად დასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს.
- **სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“ (ახალციხე) - ორგანიზაცია მოსახლეობას სთავაზობს მომსახურებას** აგრარულ სფეროში. ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის დახმარებით ორგანიზაციამ შეიძინა დამატებითი ტექნიკა და **გაამრავალფეროვნა ფერმერთა მომსახურება.** სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავალი ხმარდება სოფლის მოსახლეობის აგრარულ საკითხებზე უფასო კონსულტირებას. გარდა ამისა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს ორგანიზაცია უფასოდ ემსახურება, ხოლო 2011 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან 3 ახალგაზრდას ორგანიზაცია 11-თვიან მექანიზაციის კურსებს დაუფინანსებს.
- **სათემო ახალგაზრდული ცენტრი „ჰერეთი“ - სოფელი ჰერეთისკარი (კახ-**

- **Foundation Global Initiative in Psychiatry - Tbilisi (GIP-Tbilisi) - Production of Ecologically Clean Wooden Toys.** The products are made from hard wood species. The surface is treated with German paints and special types of oil meeting European standards on child toy safety. Currently, the enterprise employs four workers, including one probationer. Revenues generated by the social enterprise are used by the organization, to provide such services as psychological assistance to internally displaced persons living in a compact community settlement nearby the town of Gori.
- **Rural Consultation Service – Akhaltsikhe** - the organization offers agrarian services to the residents. With the funding of the project by CSRDG, the organization purchased additional equipment and **simplified the services provided to farmers.** The income generated by the social enterprise is spent on providing free consultations to rural residents. In addition, the organization provides free assistance to households under the poverty line; and, in 2011, it will sponsor three young members from socially unprotected families on eleven-month mechanisation courses.
- **Community Youth Center Hereti - village Heretiskari (Kakheti).** The village is mostly populated with people resettled from Ajara's high mountainous areas that traditionally had cattle farming as their main activity. Settling on Kakheti's fertile lands





**ეთი).** სოფელ ჰერეთისკარში ძირითადად აჭარის მაღალმთიანი რეგიონიდან გადმოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობს, ვისთვისაც ტრადიციული საქმიანობა მესაქონლეობა იყო. კახეთის მხარეში ნოყიერ მიწებზე დასახლებამ ამ სოფლის მოსახლეობას სტიმული მისცა მეცხოველეობის გარდა, მებოსტნეობა-მესათბურეობის საქმიანობაც დაეწყო, რაც გლეხისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო და სოფლის გაძლიერების საფუძველი გახდებოდა.

სოფელში მესათბურეობა-მებოსტნეობის განვითარების და გაფართოების მიზნით, მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემა გახდა სოფელში საკუთარი შესაბამისი ტექნიკის არსებობა. სოფელს საკუთარი ტრაქტორი არ გააჩნდა, მიწაზე მუშაობის ვადაში ტრაქტორის დაქირავებაზე შეზღუდვის გამო კი სავარგულების დიდი ნაწილი (2,5 ჰა) დაუმუშავებელი რჩებოდა.

სათემო ცენტრმა „ჰერეთი“ მოამზადა პროექტი, რომელმაც გაიმარჯვა ცენტრის სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსში, შედეგად 2010 წლის სექტემბერში **შეიძინა მინიტრაქტორი**, რითაც შესაძლებელი გახდა სოფლის მოსახლეობის მომსახურება აგროვადების გათვალისწინებით, ეს საქმიანობა კი უზრუნველყოფს მათთვის მოსავლიანობის და შემოსავლების ზრდას. ორგანიზაცია შეღავათიანი პირობებით ემსახურება სოფლის სოციალურ დაუცველ მოსახლეობას.

stimulated residents of this village to start fruit and vegetable gardening alongside traditional cattle farming. This new activity would become an additional income source for them and a basis for strengthening the village. The unavailability of its own special equipment in the village became a problematic factor for expanding its greenhouse and vegetable farming capacity. The village did not have its own tractor and, due to limitations for renting one during the growing season, much of the land (2.5 ha) remained uncultivated.

Community Center Hereti prepared a project that became a winner in CSRDG's Social Enterprise Promotion grants competition. As a result, in September 2010 the community center **purchased a mini-tractor,** thus enabling it to provide the village's residents with the means of working within the timelines suitable for agrarian works, and thereby ensuring an increase in their productivity and income. The organization offers certain discounts for providing services to socially vulnerable members of the population.

### *საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-პორტალი*

2010 წლის დეკემბრიდან ამუშავდა საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-პორტალი www.cse.ge. აღნიშნული თემატური პორტალი ეძღვნება სოციალური მეწარმეობის საკითხს, აქ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს ამომწურავი და საჭირო ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე. ვებ-პორტალზე განთავსებულია აღნიშნულ სფეროში მიმდინარე საინტერესო სიახლეები: ინფორმაცია ტრენინგებზე და საგრანტო კონკურსებზე, კვლევები საქართველოს და უცხოეთის გამოცდილებაზე, წარმატებული მაგალითები. ვებ-რესურსი საინტერესო და გამოსადეგია, როგორც დამწყები, ასევე გამოცდილი სოციალური მეწარმეებისთვის.

### საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ხელსაყრელი სამოქმედო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ეროვნულ დონეზე პროგრამა ხელს უწყობს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და სამოქალაქო ინსტიტუტების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესებას. ამ მხრივ, „ცენტრი" მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ფონდებთან.

ქვეყნის მასშტაბით 2010 წელს ზემოხსენებული მიმართულებით ჩატარდა საინტერესო კვლევები და სხვადასხვა ღონისძიებები.

### *საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების დინამიკა და ტენდენციები*

2010 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კვლევა „საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების დინამიკა და ტენდენციები".

აღნიშნული კვლევა ფონდების „ღია საზოგადოება – საქართველოს" და „ეკლესიის განვითარების სააგენტოს" ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს გაეროს ასოციაციის ექსპერტებთან თანამშრომლობით განხორციელდა.

### *Information-Analytical Web-Portals*

The information-analytical web-portal www.cse.ge started work in December 2010. The thematic portal is dedicated to the issue of social enterprise and any interested person is able to get exhaustive and relevant information on its theoretical and practical aspects. The web-portal presents interesting news that is underway in the following areas: information regarding training and grant competitions, research on Georgian and foreign experiences of social enterprise, success case studies. The web-resources are interesting and applicable to novices as well as experienced social entrepreneurs.

### Promotion of Developing a Favourable Environment for Civil Society Organizations

On the national level, the Program promotes the improvement of the environment for the activities of civil society organizations and institutions. Inthis respect, CSRDG actively cooperates with local and international civil organizations and foundations.

Interesting research projects and various events were held nationwide in the above areas in 2010.

### Civil Society Organizations in Georgia – Dynamics and Development Trends

Within the terms of the Program, a study "Civil Society Organizations in Georgia – Dynamics and Development Trends" was carried out in 2010, with financial support from the foundations Open Society-Georgia and Church Development Agency, and in cooperation with experts from UNA Georgia.







კვლევის მიზნები გახლდათ:

- ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისა და განვითარების მდგომარეობის სურათის ასახვა და სხვადასხვა (მ.შ. რეგიონების მიხედვით) თვალსაზრისით გაანალიზება;
- 2005-2009 წლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ტენდენციების განსაზღვრა;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია;
- ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული გამოცდილების და უნარების შეფასება.

ხსენებული კვლევა რეგულარულ ხასიათს ატარებს. ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების შეფასება ბოლოს 2005 წელს ჩატარდა - საქართველოს გაეროს ასოციაციისა და სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, რასაც მხარს უჭერდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, მოქალაქეთა ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში.

კვლევის მეთოდოლოგია დაეფუძნა 2002-2005 წლებში ჩატარებული კვლევის მიდგომას, კვლევის ინსტრუმენტი წინა კვლევების ინსტრუმენტის გათვალისწინებით შემუშავდა და, შესაბამისად, 2010 წლის კვლევა ასევე მოიცავს სექტორის განვითარების შედარებით ანალიზს 2005 წელთან მიმართებაში.

The study had the following objectives:

- Description of conditions for the activities and development of civil society organizations nationwide, and with the analysis disaggregated according to various factors (including regional);
- Studying the trends for the development of civil society organizations in 2005-2009;
- Identification of the main problems facing civil society organizations;
- Evaluation of the experience and skills of Georgian civil society organizations with regards to their economic activities.

The study is conducted regularly. The last nationwide evaluation of civil society organizations was carried out in 2005 by UNA Georgia and CSRDG, and was endorsed by USAID within its Citizens' Interests Advocacy Program.

The research methodology was based on the one adopted in the 2002-2005 study and the instrument was designed to be consistent with the research instruments used in the previous waves of the study. Accordingly, the 2010 study also enables comparative analysis with the 2005 data on the sector's development.

გარდა ამისა, წინა წლებისგან განსხვავებით, 2010 წელს ჩატარებულ კვლევაში დამატებითი აქცენტი გაკეთდა საქართველოს საზოგადოებრივ სექტორში სოციალური მეწარმეობის განვითარების საკითხზე. საქართველოს მასშტაბით გამოკითხული იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სათემო ჯგუფები, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას.

აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა საინტერესო შედეგები, რომელთაგან რამდენიმეს გამოვყოფთ:

- ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის გამოცდილება, ამ საქმიანობის დაწყების ძირითად მოტივად ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობას ასახელებენ, დაახლოებით 2/5 აღნიშნავს, რომ ეკონომიკური საქმიანობის დაწყების მიზანი პროგრამული მიზნების განხორციელებაა;
- ეკონომიკური საქმიანობის მქონე ორგანიზაციების უმეტესობა (55%) აღნიშნავს, რომ მათი ორგანიზაციებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის საქმიანობის არსებობა, რადგან ეკონომიკური შემოსავალი აფინანსებს (თანააფინანსებს) მიმდინარე პროგრამებს და ამ გზით წვლილი შეაქვს პროგრამული მიზნების მიღწევაში; ორგანიზაციას აძლევს სტაბილურობის განცდას;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეულ მომსახურებაში ყველაზე ხშირად დასახელდა: სასწავლო კურსები, კომპიუტერული კლასები (29,35%); მომსახურების ცენტრები (29,5%); საექსპერტო, ტრენინგ, საკონსულტაციო (27,3%; 25%) და მედია მომსახურება (25%); შედარებით ნაკლებად გავრცელებული ფორმაა ფართის გაქირავება (13,6%); სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, რეალიზაცია (11,4%); შემოქმედებითი სკოლა, თეატრი, ღონისძიებების ორგანიზება (9,1%); ბეჭდვითი პროდუქციის წარმოება და გაყიდვა (9,1% 6,8%); ერთეული ორგანიზაციები ეწევიან ხელნაკეთი ნივთების წარმოებას და გაყიდვას (4,5%); აქვთ ფასიანი სკოლა, ბაღი (4,5%); ფარმაცევტული ბიზნესი (2,3%).

Unlike previous years, the research carried out in 2010 also focused on the development of social enterprise in Georgian civil society organizations. Thus, civil society organizations and community groups involved in economic activities were studied nationwide.

Some interesting results were found, a number of which are outlined below:

- Organizations with experience of economic activities mentioned the organization's financial stability as the main motive for starting such activity – about two-fifths of them stated that the goal for starting economic activity was to accomplish Program objectives;
- The majority of organizations (55%) involved in economic activity mentioned that this activity is very important for their organizations, because the incomes generated finance (co-finance) for their current Programs, and thus help achieve Program objectives. They also give the organization a feeling of stability;
- The following services, provided by civil society organizations under their economic activity, were mentioned most often: learning courses, computer classes (29.35%); service centers (29.5%); expert training consultations (27.3%, 25% respectively) and media services (25%). Less frequent forms of economic activity were: property rental (13.6%); agriculture production and sale (11.4%); art school, theatre, event organization (9.1%); production and sale of printed materials (9.1% and 6.8% respectively). Only a few organizations were engaged in handicraft production and sale (4.5%); had a private school/kindergarten (4.45%) or ran a pharmaceutical business (2.3%).

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისას წამოჭრილი პრობლემებიც. ამ მხრივ, ორგანიზაციების მიერ დასახელებული საჭიროებები და პრობლემები შემდეგ კატეგორიებში გაერთიანდა:

- კანონმდებლობის და საგადასახადო სფეროში არსებული პრობლემები;
- ადამიანური რესურსების კუთხით არსებული პრობლემები;
- მენეჯმენტის კუთხით არსებული პრობლემები;
- გადამზადების, ტრენინგების, კონსულტაციების და გამოცდილების გაზიარების საჭიროება;
- საკანონმდებლო და საგადასახადო ცვლილებების საჭიროება;
- დამატებითი ინვესტირების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საჭიროება.

დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს კვლევის სრულ ვერსიას ცენტრის ვებ-გვერდზე (www.csrdg.ge).

### *საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა*

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების და მდგრადობის უზრუნველყოფის საწინდარია დაფინანსების ალტერნატიული გზების მოძიება და მათი გამოყენება. ამან განაპირობა პროგრამის ექსპერტების გადაწყვეტილება, აქტიურად ემუშავათ საქართველოში სოციალური მეწარმეობის იდეის და პრაქტიკის პოპულარიზაციის და დანერგვის მიმართულებით.

2009 წლის ბოლოს „ცენტრმა" პროექტის „საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა" განხორციელება დაიწყო. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის შემოტანას, ხოლო, გრძელვადიან პერსპექტივაში, სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბების და დადებითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას.

სოციალური მეწარმეობის მცნება ახალი და ინოვაციაა ჩვენი ქვეყნისთვის, ამიტომაც პროექტის ფარგლებში განხორციელე-

The study also addressed problems confronting the organizations in the course of their economic activity. The following categories of needs and problems were identified:

- Legislation and taxation related problems;
- Human resources related problems;
- Management related problems;
- Need for re-qualification, training, consultation and experience sharing;
- Need for legislative and taxation changes;
- Need for additional investments and improvement of their material/-technical base.

Anyone interested can access the full version of the report on the CSRDG web-site (www.csrdg.ge).

### *Promotion of Development of Social Enterprise in Georgia*

A prerequisite for ensuring the development and sustainability of civil society organizations is finding and using alternative sources of finance. This prompted our Program experts to actively work for the promotion and popularisation of the social enterprise ideas in Georgia.

At the end of 2009, CSRDG started implementing a project "Promotion of Development of Social Enterprise in Georgia". The project's goal is to introduce the social enterprise concept in Georgia and, in the long run, to promote the creation of a favourable environment for the development of social enterprise and the introduction of positive practices.

The concept of social enterprise is new and innovative for our country. This was why the project activities were mainly directed at popularizing the issue among the general public. Another objective was to increase awareness of the social enterprise idea among representatives of non-governmental, business and state sectors

ბული საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო აღნიშნული საკითხის საზოგადოებაში პოპულარიზაციას. ასევე სოციალური მეწარმეობის ძირითადი იდეის განმარტებას არასამთავრობო, ბიზნეს და სახელმწიფო სექტორების წარმომადგენლებისთვის, მათი მხარდაჭერის მოპოვებას ქვეყანაში ამ ტიპის მეწარმეობის დანერგვის მიმართულებით.

### *სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა*

2010 წელს პროექტის ფარგლებში მომზადდა მიმოხილვა - „სოციალური მეწარმეობა - საერთაშორისო გამოცდილება ათი ქვეყნის მაგალითზე“. პროგრამის ექსპერტებმა შეისწავლეს და გაანალიზეს სოციალური მეწარმეობის განვითარების კუთხით არსებული საერთაშორისო გამოცდილება. კვლევაში აისახა როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის, ასევე პოსტ-საბჭოთა სივრცის, აზიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების (არგენტინა, აშშ, ბრაზილია, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, უკრაინა და იაპონია) გამოცდილება და წარმატებული მაგალითები.

კვლევის შესავალი ნაწილი მიეძღვნა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის კუთხით არსებულ კონცეფციებს და ასევე სოციალური მეწარმეობის განვითარების ისტორიას.

კვლევაში თითოეული ქვეყნის მიხედვით გაანალიზებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის სექტორის ისტორია და განვითარება;
- სოციალური მეწარმეობის სექტორში არსებული სიტუაცია;
- სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ძირითადი მექანიზმები;
- სამართლებრივი გარემო სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის;
- გამოწვევები და ბარიერები: პოლიტიკური, სამართლებრივი, ფინანსური და საზოგადოებრივი;
- სოციალური მეწარმეობის წვლილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

and gain their support for introducing this type of enterprise in Georgia.

### *Studying International Experience in Social Enterprise*

Within the terms of the project, a review "Social Enterprise - International Experience Based on the Example of Ten Countries" was prepared in 2010. Program experts studied and analysed international experience in the development of social enterprise, looked at experience and success cases of Western and Eastern European countries – including those formerly in the Soviet area – Asia, North and South America (Argentina, USA, Brazil, UK, Spain, Italy, Poland, Ukraine and Japan).

The introductory part of the study focused on contemporary concepts of social enterprise in these countries and the historic development of social enterprise.

Information analysed per country in the study covers the following issues:

- The history and development of social enterprise;
- The existing situation in the area of social enterprise;
- Main mechanisms for promoting of social enterprise;
- Legislative environment for the development of social enterprise;
- Challenges and obstacles: political, legislative financial and public;
- The role of social enterprise in the country's socio-economic development.

ბრიტანული ორგანიზაციის „სოციალური საწარმო - ლონდონი“ ზემოაღნიშნულ კვლევაში ჩართულმა კონსულტანტებმა წარმოადგინეს და გაგვიზიარეს დიდი ბრიტანეთის გამოცდილება. დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს კვლევის სრულ ვერსიას ცენტრის ვებ-გვერდზე (www.csrdg.ge).

***სოციალური მეწარმეობის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში***

ცენტრის ექსპერტების მიერ მომზადდა სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის კუთხით ქვეყნის საკანონმდებლო გარემოს კვლევა, საიდანაც ნათელი გახდა, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა არ ახდენს სოციალური მეწარმეობის განვითარების სტიმულირებას.

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ცნებებს „სოციალური მეწარმეობა“ და „სოციალური საწარმო“, შესაბამისად, ასეთი ორგანიზაციული წარმონაქმნების დაფუძნება-საქმიანობის შესახებ არც განსაკუთრებული სპეციფიკური რეგულაციები და წესები არ არის დადგენილი. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დაინტერესებულმა სუბიექტმა დააფუძნოს ისეთი წარმონაქმნები, რომელიც თავისი არსით შეიძლება, ძირითადად, აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმოსათვის დამახასიათებელ კრიტერიუმებს.

რაც შეეხება საგადასახადო რეგულირებას, ამ ეტაპზე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალური მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი, განსაზღვრულ ნაწილში ის, პირიქით, ხელს უშლის ასეთი საქმიანობის წახალისებას.

ზემოხსენებული კვლევის შედეგები გამოიცა ცალკე ბროშურად: „სოციალური მეწარმეობის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში“. დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს კვლევის სრულ ვერსიას ცენტრის ვებ-გვერდზე (www.csrdg.ge).

Consultants from the British organization Social Enterprise London were involved in the study and contributed a chapter on the UK experience. Anyone interested can have access to the full version of the study on www.csrdg.ge

***Regulation on Social Enterprise in the Georgian Legislation***

CSRDG's experts prepared a study on how the Georgian legislative environment promotes social enterprise. The study revealed that the existing legislative basis does not stimulate the development of social enterprise.

The Georgian legislation does not know such concepts as "social enterprise" and "social entrepreneur". Accordingly, there are no special or specific regulations and rules on establishing/operating such organizations. Despite this, the Georgian legislation provides opportunities for interested persons/bodies to establish an organization that might basically satisfy the criteria for a social enterprise.

As for the taxation regulations, at this stage the Georgian Tax Law cannot be considered as stimulating the development of social enterprise - indeed, in some parts it even impedes the development of such activities.

The results of the study were published as a separate brochure – "Regulation of Social Enterprise in the Georgian Legislation". If interested, the full version of the report is available on CSRDG's web-site www.csrdg.ge













### *სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია*

სოციალური მეწარმეობის განვითარების კონცეფციის პოპულარიზაციისათვის მნიშვნელოვანია იმ წარმატებების წარმოჩენა, რასაც აღწევენ სოციალური საწარმოები სხვადასხვა პრობლემების გადაჭრისას.

2010 წელს საქართველოს მასშტაბით ჩატარებულმა საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სათემო ჯგუფების კვლევამ გამოავლინა ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას. პროგრამის ექსპერტებმა უფრო ჩაღრმავებით შეისწავლეს ამ მიმართულებით უფრო წარმატებით მომუშავე 12 ორგანიზაციის გამოცდილება, მათ შორის იყვნენ ცენტრის საგრანტო კონკურსში გამარჯვებულებიც. სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციის მიზნით, აღნიშნული წარმატებული სოციალური საწარმოების საქმიანობის აღწერას მიეძღვნა გამოცემა - „სოციალური მეწარმეობა - საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილება“. გამოცემაში აგრეთვე მოკლედ აღწერილია სოციალური საწარმოს კონცეფცია, მისი ფორმები და რა წვლილი შეაქვს მას ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივი სექტორების განვითარებაში.

### *Popularisation of the Concept of Social Enterprise*

To popularize the concept of the development of social enterprise it is important to demonstrate the successes of social enterprises in solving various problems.

A nationwide study of civil society organizations and community groups carried out in 2010 identified organizations engaged in economic activity. The Program experts conducted a more in-depth study of the experience of the most successful 12 organizations in this field, which also included winners of the Center's grant competition. A publication, Social Enterprise - Experience of Georgian Civil Society Organizations, was prepared to describe the success of these social enterprises and aimed to popularize social enterprise. The publication also provides a brief overview of the concept of social enterprise, its forms, and role in the development of the country's economic and public sectors. It also provides explanations of why social enterprise is interesting to civil society organizations. A full version of the publication can be found on our web-site www.csrdg.ge

აგრეთვე განმარტებები, რატომ არის საინტერესო სოციალური მეწარმეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს გამოცემის სრულ ვერსიას ცენტრის ვებ-გვერდზე (www.csrdg.ge).

2010 წლის დეკემბერში პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივად ჩატარდა მასშტაბური ღონისძიება: ერთად ვიზრუნოთ მომავალზე, სოციალური საწარმო – განვითარების ახალი შესაძლებლობა.

ღონისძიება მიეძღვნა საქართველოში სოციალური მიზნების განხორციელების ახალი გზებისა და სოციალურ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ახლებურად ორგანიზების პოპულარიზაციის საკითხებს. ღონისძიების ორგანიზატორები გახლდნენ: ბრიტანეთის საბჭო, ევრაზიის ფონდი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა წარადგინეს სოციალური მეწარმეობის კუთხით გაწეული ერთი წლის მუშაობის შედეგები. თავის მხრივ, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმა ისაუბრეს სოციალური მეწარმეობის განვითარების მნიშვნელობაზე.

გარდა ამისა მოეწყო საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოებისა და ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

ღონისძიებამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია და ფართოდ გაშუქდა მედია საშუალებებში.

ფართო საზოგადოებაში სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციის მიზნით პრესაში დაიბეჭდა სტატიების ციკლი. სტატიებში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სოციალური საწარმოს მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის განვითარებაში, როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე ცალკეული სეგმენტების ასპექტში.

In December 2010, a large-scale event Let Us Take Care of the Future Together, Social Enterprise - New Development Opportunities was held jointly with our partner organizations.

The event was dedicated to new approaches for accomplishing social goals in Georgia and the polarization of civil society organizations working in the social sphere. It was organised by the British Council, Eurasia Partnership Foundation, Centre for Strategic Research and Development of Georgia, and the Civil Society Institute. The organizations presented the results of a year's work in the area of social enterprise. In turn, representatives of Government bodies spoke about the importance of developing social enterprise.

In addition, a fair or market place of social enterprises and care-oriented organizations operating in Georgia was held. The event generated much public interest and was widely covered by the Media.

A cycle of articles was printed in the press aimed at popularizing the idea of social enterprise among the general public. The articles emphasised issues such as the important role of social enterprise in the country's development for both the population as a whole as well as its different communities.

## პროგრამა - კარგი მმართველობის ხელშეწყობა

**პროგრამის მიზანია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მმართველობის გაუმჯობესება, აგრეთვე მთავრობის მიერ მოსახლეობის საჭიროებებისა და რეალური პრობლემების უფრო ეფექტური გათვალისწინება.**

პროგრამის ექსპერტების მიერ სტრატეგია შემუშავებულია „ცენტრის" კვლევით საქმიანობაზე დაყრდნობით, ასევე საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გამოცდილების გათვალისწინებით.

პროგრამა მოიცავს, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეს და მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით, რომელთა ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია ორი ქვეპროგრამა: კვლევები და რეფორმების ხელშეწყობა; თვითმმართველობის განვითარება.

### თვითმმართველობის განვითარების ქვეპროგრამა

**ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესს, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე საჯარო მმართველობის დემოკრატიული და ეფექტიანი სისტემების ჩამოყალიბებას.**

### ქსელური საქმიანობა – თვითმმართველი ერთეულების მონიტორინგი

თვითმმართველი ერთეულების მონიტორინგი ხორციელდება თელავში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ოზურგეთში, ჩოხატაურსა და თბილისში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობას და მეტად ხელმისაწვდომი გახადოს მუნიციპალური სერვისები საქართველოს ხუთი მუნიციპალიტეტის და თბილისის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დასახული მიზნის მიღწევის სტრატეგიას წარმოადგენს აღნიშნულ ერთეულებში საბიუჯეტო პროცესისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამჭვირვალობის

## PROGRAM - PROMOTING GOOD GOVERNANCE

***The goal of the Program is to improve governance at both the national and local level, and to have the government pay greater attention to public needs and attendant problems.***

The Program experts have developed the strategy on the basis of the results of CSRDG's research activity and experience of cooperation with legislative and governmental bodies.

The Program embraces the national as well as local levels and has two main directions. Two sub-Programs – Research and Promoting Reforms and Local Government Development – have been developed to implement activities under this Program:

### SUB-PROGRAM - LOCAL GOVERNMENT DEVELOPMENT

***The goal of the sub-Program is promoting the decentralization process and establishment of democratic and effective public governance systems in Georgia on the local and regional levels.***

### Network activity - Monitoring of Self-Governed Entities

Monitoring of self-governed entities is carried out in Telavi, Lagodekhi, Sighnaghi, Ozurgeti, Chokhatauri and Tbilisi. The goal of the project is to assist transparency in the local budgetary process and make the municipal services more accessible for socially unprotected residents in five Georgian municipalities and Tbilisi.

The strategy for accomplishing the Program's objectives is to monitor the budgetary processes and transparency norms outlined in the legislation in the six entities. It should be noted that, for the budget, only documentary moni-

ნორმების შესრულების მონიტორინგი. თბილისში მხოლოდ ბიუჯეტის დოკუმენტური მონიტორინგი ხორციელდება. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები დაფარულია სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის მიერ, სადაც სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრთან ერთად ჩართულია სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (კახეთი) და დემოკრატიული განვითარების კავშირი (გურია).

## გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

2008-2009 წლებში სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის საქმიანობის შედეგად სამიზნე მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხარისხი. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩებოდა მთელი რიგი კანონით გათვალისწინებული ნორმების შეუსრულებლობა. კერძოდ:

- ერთიანი საჯარო რეესტრის სრულყოფილი წარმოება;
- ნორმატიული აქტების შემუშავების, დამტკიცებისა და გამოქვეყნების კანონით დადგენილის პროცედურების დაცვა;
- საკრებულოს სხდომების ღიად და საჯაროდ წარმართვა;
- საჯარო განხილვების ორგანიზება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე;
- ადმინისტრაციული წარმოების წესის დაცვა სამართლებრივი აქტების მიღებისას და სხვ.

### *გამჭვირვალობის სფეროში მიღწეული შედეგები*

2010 წელს თვითმმართველი ერთეულების მიერ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის მონიტორინგის მიზნით, სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან პერმანენტულად ხდებოდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა-ანალიზი, სხვადასხვა

toring is carried out in Tbilisi. The activities envisaged under the project are covered by the Civil Monitoring Network which, along with CSRDG, unites the Civil Development Association (Kakheti) and the Union for Democratic Development (Guria).

## Transparency and Accountability

The level of transparency and accountability improved considerably in 2008-2009 as a result of the Civil Monitoring Network's activities in the target municipalities. However, non-compliance with a considerable number of the norms required by the law still remained a problem. In particular:

- Complete/systematic administration of a public registry;
- Compliance with the required procedures on drafting, passing and publishing the normative acts;
- Holding Sakrebulo meetings openly and publicly;
- Organization of public hearings on important decisions;
- Compliance with the norms of administrative proceedings when passing legislative acts, etc.

### *Results Achieved in the Area of Transparency*

In order to monitor the compliance of the self-governed entities with the legislative requirements on transparency and accountability, public information was requested on a regular basis from the target municipalities. The information was analysed, the meeting of various timelines and procedures was monitored, the

სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის საქმიანობის შედეგად სამიზნე მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხარისხი.

The level of transparency and accountability improved considerably as a result of the Civil Monitoring Network's activities in the target municipalities.

ვადებისა და პროცედურების დაცვაზე დაკვირვება, პრობლემათა გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი პროგრესისა თუ რეგრესის დინამიკის შესწავლა. შედეგად, ქსელის ექსპერტების მიერ შემუშავდა და სამიზნე მუნიციპალიტეტებს მიეწოდა სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები.

**შედეგად:**

- გაუმჯობესდა წარმომადგენლობითი ორგანოების მორიგი სხდომების ჩატარების პროცედურების დაცვის მდგომარეობა. 2010 წელს მორიგი სხდომების მოწვევის ვადები დაცული იყო 63 შემთხვევაში (97%), შესაბამისი პარამეტრი 2009 წელს იყო 77%, ხოლო 2008 წელს კი - 70%;
- გაუმჯობესდა წარმომადგენლობითი ორგანოების რიგგარეშე სხდომების ჩატარების პროცედურების დაცვის მდგომარეობა. წლის განმავლობაში სამიზნე მუნიციპალიტეტებში წარმომადგენლობითი ორგანოების სულ 15 რიგგარეშე სხდომა ჩატარდა. 15-ივე შემთხვევაში (100%) ინფორმაციის წინასწარი გამოქვეყნება პროცედურის სრული დაცვით მოხდა. 2009 წელს შესაბამისი მაჩვენებელი გახლდათ 62%, ხოლო 2008 წელს კი - 43%;
- გაუმჯობესდა წარმომადგენლობითი ორგანოს სხდომის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების მდგომარეობა. წლის განმავლობაში სამიზნე მუნიციპალიტეტებში წარმომადგენლობითი ორგანოების სულ 80 სხდომა ჩატარდა, აქედან 74 შემთხვევაში (92%) ინფორმაციის წინასწარი გამოქვეყნება პროცედურის სრული დაცვით მოხდა. 2009 წელს შესაბამისი მაჩვენებელი გახლდათ 62%, ხოლო 2008 წელს კი - 43%;

- ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ დაფიქსირდა სამიზნე მუნიციპალიტეტების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის შეფერხების არც ერთი ფაქტი.

causes of problems identified and their progress or regress studied. As a result, the Network's experts developed a set of recommendations and submitted them to the target municipalities.

**As a result:**

- The situation regarding compliance with the procedures for holding the representative body's regular meetings has improved. In 2010, the timelines for holding regular meetings were met in 63 cases (97%). This figure was 77% in 2009 and 70% in 2008
- The calling of representative bodies special meetings has also improved. During the reporting year, a total of 15 special meetings were held by the representative bodies. In all 15 cases (100%) the information was published ahead of time in compliance with all the required procedures. The respective indicators were 62% in 2009 and 43%; in 2008;
- The situation with regard to publishing information about the representative bodies' meetings has improved. During the year, a total of 80 meetings were held by the representative bodies in the target municipalities. Out of those, in 74 cases (92%), information was published ahead of time and in compliance with all procedural norms. The respective indicators were 62% in 2009 and 43% in 2008;
- Importantly, there have been no cases of obstructing the provision of public information in any of the target municipalities.

It should be noted that, unlike previous years, the target municipalities passed the 2011 budgets in compliance with administrative proceedings.

მნიშვნელოვანია, რომ არ დაფიქსირდა სამიზნე მუნიციპალიტეტების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის შეფერხების არც ერთი ფაქტი.

Importantly, there have been no cases of obstructing the provision of public information in any of the target municipalities.

აღსანიშნავია, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტების მიერ 2011 წლის ბიუჯეტები მიღებულია ადმინისტრაციული წარმოებით, რაც წინა წლებში არ ხორციელდებოდა.

ქსელის ექსპერტებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებთან აქტიური კონსულტაციებით, შეიმუშავეს მუნიციპალიტეტების სამართლებრივ აქტებში (მ.შ. საკრებულოს და გამგეობის რეგლამენტებში) გასატარებელი ცვლილებების პროექტები, რაც მოგვიანებით დამტკიცდა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

It should be noted that, unlike previous years, the target municipalities passed the 2011 budgets in compliance with administrative proceedings.

The Network's experts, in active consultation with representatives of local self-governments, have developed drafts of amendments to be made in the legislative acts (including Sakrebulo and Gamgeoba regulations), which, later, were passed by the representative bodies.

აღსანიშნავია, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტების მიერ 2011 წლის ბიუჯეტები მიღებულია ადმინისტრაციული წარმოებით, რაც წინა წლებში არ ხორციელდებოდა.

მიწოდებული რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელების მიზნით, ქსელის ექსპერტებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებთან აქტიური კონსულტაციებით, შეიმუშავეს მუნიციპალიტეტების სამართლებრივ აქტებში (მ.შ. საკრებულოს და გამგეობის რეგლამენტებში) გასატარებელი ცვლილებების პროექტები, რაც მოგვიანებით დამტკიცდა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

## საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგი

2010 წლის დასაწყისში განისაზღვრა სამიზნე მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო სფეროს მონიტორინგის მიმართულებები. კერძოდ:

- საბიუჯეტო პროცესის ვადებისა და პროცედურების დაცვის მდგომარეობა;
- საბიუჯეტო ხარჯების დოკუმენტური და საველე მონიტორინგი;
- დამტკიცებული ბიუჯეტების ანალიზი;
- ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების შეფასება.

### *საბიუჯეტო პროცესის ვადებისა და პროცედურების დაცვა*

საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის ვადები და პროცედურები, რაც უკავშირდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირებას, დამტკიცებას, აღსრულებასა

To implement the recommendations, the Network's experts (in active consultation with representatives of local self-governments) have developed drafts of amendments to be made in the legislative acts (including Sakrebulo and Gamgeoba regulations), which, later, were passed by the representative bodies.

## Monitoring of the Budgetary Process

The following areas for monitoring the budgetary processes in the target municipalities were identified at the beginning of 2010.

- The situation with regards to the timelines and procedures of the budgetary process;
- Documentation and field monitoring of the budget expenses;
- Analysis of the approved budget;
- Evaluation of the quarterly and annual budget completion.

### *Compliance with the Budgetary Process Timelines and Procedures*

The Budget Code outlines the local budgetary process timelines and procedures that relate to the formation, passing, completion and accountability of the self-governed entities' budget. Throughout the year, the Network's experts monitored the timelines and procedures. Various types of violations were identified relat-

და ანგარიშგებას. ქსელის ექსპერტთა მიერ ხდებოდა წლის განმავლობაში აღნიშნული ვადებისა და პროცედურების მონიტორინგი. გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები: პრიორიტეტების დოკუმენტებზე მუშაობის დაწყების მიზნით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას; ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მომზადებისას; საკრებულოს რიგგარეშე სხდომების მოწვევისას.

### *საბიუჯეტო ხარჯების დოკუმენტური და საველე მონიტორინგის შედეგები*

2010 წელს სამიზნე მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ხარჯების დოკუმენტალური მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევები და უზუსტობები აისახებოდა ქსელის მიერ მიწოდებულ რეკომენდაციებში. ასევე, ქსელის ექსპერტებმა დოკუმენტების შესწავლისა და სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული სამოქალაქო ჯგუფების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, შეარჩიეს სფეროები, სადაც საანგარიშო წელს ჩატარდა საველე მონიტორინგი:

- სოფლის დახმარების პროგრამები;
- სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებაზე მიმართული პროექტები;
- მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ხარჯები;
- გზების რეაბილიტაცია.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია მედიის საშუალებით ვრცელდებოდა მოსახლეობაში და მიეწოდებოდა შესაბამის პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებს.

გამოვლენილი დარღვევები მოიცავდა: სასმელი წყლის მიწოდების სისტემების, გზების და ხიდების, ასევე სტადიონების უხარისხო რეაბილიტაციას. რიგ შემთხვევებში დაფიქსირდა მუნიციპალური სარეზერვო ფონდების არამიზნობრივი ხარჯვა. ქსელის ექსპერტთა ჩარევის შედეგად ობიექტების ნაწილი ხელმეორედ შეკეთდა და ხარისხი გამოსწორდა, თუმცა იყო დარღვევები, რომელთა გამოსწორება მოითხოვდა დამატებითი ფონდების მოზიდვას, ამიტომ მათი აღმოფხვრა გადადიდო 2011 წლისთვის.

ing to: the publication of administrative-legislative acts necessary to start work on the priority documents; the preparation of the annual report on budget completion and the summoning of special Sakrebulo meetings.

### *Results of the Documentation and Field Monitoring of Budgetary Expenses*

The violations and inaccuracies revealed by monitoring the documentation of expenses in the target municipalities are reflected in the recommendations prepared by the Network. In addition, based on the results of the desk research and a survey of civil society groups in the target municipalities, the Network's experts selected the following field monitoring areas for the reporting period:

- Village assistance Programs;
- Projects related to solving problems related to drinkable water;
- Administrative expenses of the municipalities;
- Road repairs and rehabilitation.

Information about the violations revealed by the monitoring was delivered to appropriate State agencies and disseminated via the media to residents.

The following violations were revealed: low quality work in the rehabilitation of drinkable water systems, roads, bridges and stadiums. In a number of cases, miss-spending of the municipal reserve funds was also observed. After the involvement of the Network's experts, work was redone on some of the facilities, and the quality of work improved. However, some of the violations revealed required additional funds, so improvement work was postponed until 2011.







### ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების შეფასება

წლის განმავლობაში სამიზნე მუნიციპალიტეტებში ხორციელდებოდა მუნიციპალური ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშის ანალიზი და შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება. აღნიშნული ექსპერტული შეფასებები, რომლებიც მოიცავდა ადგილობრივი ბიუჯეტირების ექსპერტულ ხედვას (დოკუმენტების სრული ვერსია იხ. „ცენტრის" ვებ-გვერდზე www.csrdg.ge).

### კონსულტაციები

2010 წელს ქსელის ექსპერტებსა და სამიზნე მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირებს შორის შედგა არა ერთი სამუშაო-საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა, სადაც განიხილებოდა საბიუჯეტო განაცხადებისა და ცირკულარების ფორმების დახვეწის შესაძლებლობები; გარკვეული ტიპის ხარჯების (მაგალითად, პოლიციისა და უშიშროების) მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით დაფინანსების კანონიერების საკითხები; პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის შესაძლებლობები, სხვადასხვა სახის საბიუჯეტო სახსრების ახალი კლასიფიკაციით ანგარიშგებაში აღრიცხვის გზები და სხვ.

### გენდერული ბიუჯეტის ასპექტები

დაწყებული 2009 წლიდან და 2010 წლის განმავლობაში თბილისისა და 5 სამიზნე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები გაანალიზდა გენდერულ ჭრილში. გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური ბიუჯეტის შედგენის საკითხი საქართველოს რეალობაში ინოვაციაა და ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტების გათ-

### *Evaluation of the Quarterly and Annual Budget Completion*

Throughout the year, analyses of the quarterly and annual completion of the municipal budgets were carried out and the respective analytical documents prepared. These evaluations contained expert analysis of local budgeting procedures. (Full versions of the documents are available on CSRDG web-site www.csrdg.ge).

### *Consultations*

In 2010, a number of work consultation-meetings were held between the Network's experts and public officials in the target municipalities to discuss possible ways of improving the budget application and directive forms; the legitimacy of funding certain types of expenses (e.g. police and security) from the municipality's own funds; the possibility of introducing a Program budget; ways of accounting for various types of budget funds through a new reporting classification; etc.

### *Aspects of Gender Budgeting*

Starting in 2009, and throughout 2010, the budgets of Tbilisi and the five target municipalities were analysed from a gender perspective. The issue of making a gender- balanced budget is innovative for the Georgia and it is therefore very important to promote the consideration of gender aspects and raise the awareness of local residents on this issue. Such an approach assists the structural improvement of local budgetary

ვალისწინების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის სტრუქტურულ სრულყოფას ქალებისა და მამაკაცების პრიორიტეტების დაფინანსების სამართლიანობის სრულყოფის გზით. აქედან გამომდინარე, 2010 წელს ქსელის ექსპერტებმა ბიუჯეტები გენდერულ ჭრილში შეაფასეს და შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები.

ანალიზისა და გენდერულ საკითხებზე მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, ასევე ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები გამოიცა საბოლოო ანგარიშის - „გენდერული ბიუჯეტის ასპექტები“ - სახით, რაც დაეხმარება თვითმმართველ ერთეულებს ბიუჯეტები გახადონ გენდერულად დაბალანსებული.

### *მუნიციპალურ ბიუჯეტში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება*

2010 წელს სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოეწყო სამუშაო შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელობასა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან, რაც მიზნად ისახავდა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შეხვედრებზე განხილული აქტუალური საკითხები მოიცავდა:

- მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები და მათი განხორციელება ნარჩენების მართვის სფეროში;
- მომსახურებით მოცულ ტერიტორიასთან დაკავშირებული საკითხები;
- ნაგავსაყრელების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული საკითხები;
- დასუფთავების და ნარჩენების გატანის ანაზღაურების საკითხები.

ხელისუფლებას მიეწოდა რეკომენდაციები არსებული პრობლემების გადაჭრის უზრუნველსაყოფად, შედეგად, მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს რეკომენდაციების გათვალისწინების გზების დასახვა, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ ქსელის ექსპერტები.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებული პრობლემის აქტუალიზაციას და გადაჭრის გზების ძიებას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ

processes by improving the fairness and balance of sponsoring female and male priorities. Due to this, the Network's experts evaluated the local 2010 budgets from a gender point of view and developed appropriate recommendations.

The results of the analysis and of the population study carried out on gender issues, as well as general conclusions and recommendations, were published in the final report - The Aspects of Gender Budgeting. The report will help the local self-governed entities make their budgets gender sensitive.

### *Integration of Environmental Issues in the Municipal Budget*

In 2010, work meetings were held with local government leaders and representatives from local services to discussing waste management related problems and develop appropriate recommendations. The following important issues were addressed during the meetings:

- The municipalities' responsibilities for waste management and its implementation;
- Issues related to the area covered by the service;
- Issues related to the legal status of the landfills;
- Issues related to cleaning and garbage collection services.

Recommendations for solving the existing problems were delivered to the authorities. and their implementation is now under way in the municipalities with the active involvement of the Network's experts.

In addition, particular attention was given to the problem of stray dogs in the target municipalities and ways of solving it. However, since resolving this problem requires considerably high spending, the issue still remains problematic in the municipalities.

პრობლემის მოგვარება საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, მუნიციპალიტეტებში ეს საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩება.

### *საბიუჯეტო პროცესებში მოსახლეობის ჩართვა*

ქსელის ექსპერტების მიერ მომზადდა სამიზნე მუნიციპალიტეტების 2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტების გამარტივებული ვერსია და გამოიცა ბროშურის სახით. დაინტერესებული მხარეებისათვის დოკუმენტების პრეზენტაცია გაიმართა თბილისში, ლაგოდეხსა (კახეთი) და ოზურგეთში (გურია). პრეზენტაციებს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, ადგილობრივი მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და „ცენტრის" ექსპერტები.

მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული პრობლემების ნაწილი ბიუჯეტებში გათვალისწინებული იქნა, თუმცა კვლავ რჩება ბევრი გადაუჭრელი პრობლემა. სამიზნე მუნიციპალიტეტებში სათემო ახალგაზრდულ ცენტრებში ქსელის ექსპერტები რეგულარულად ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც საუბარი იყო ადგილობრივ საბიუჯეტო პროცესებში მიმდინარე სიახლეებზე და მათი დახმარებით მოსახლეობაში ვრცელდებოდა ბიუჯეტების ანალიზის შედეგებზე მომზადებული გამოცემები. ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ფართოდ შუქდებოდა ცენტრალურ და ადგილობრივ მედიაში.

### *საბიუჯეტო საკითხებზე შემუშავებული და გათვალისწინებული რეკომენდაციები*

2010 წლის მანძილზე სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის ექსპერტებმა შეიმუშავეს და სამიზნე მუნიციპალიტეტებს მიაწოდეს რეკომენდაციების პაკეტი, რომელთა ნაწილზეც მუნიციპალიტეტების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ამჟამად მუშაობენ. შედეგად:

- პრიორიტეტების დოკუმენტზე დროული მუშაობა არც ერთ მუნიციპალიტეტში არ დაწყებულა და ქსელის ექსპერტები აქტიურად ცდილობდნენ ამ საკანონმდებლო

### *Inclusion of Public in the Budgetary Processes*

The Network's experts prepared and published a simplified version of the 2010 approved budgets. Presentations of the document were held for stakeholders in Tbilisi, Lagodekhi (Kakheti) and Ozurgeti (Guria), and were attended by high local government officials, representatives of the local media and civil society organizations and the Network's experts.

Some of the problems identified by the residents were considered in the budgets. However many still remain unresolved. The Network's experts were regularly held informative meetings in the Community Youth Centres of the target municipalities, discussing news about the local budgeting processes. Through these meetings, publications on the budget analysis were disseminated. Results of the monitoring were extensively covered by the central and local media.

### *Developed and Considered Recommendations on Budgetary Issues*

During 2010, the Network's experts developed a package of recommendations and submitted them to the target municipalities. Work is underway in the respective municipal agencies to implement some of the recommendations, in particular:

- Work on the priority documents did not start on time in any of the municipalities. The Network's experts have taken active measures to draw the attention of the municipal officials to this problem. These processes only started to change after submitting detailed recommendations. It is worth noting that starting the work on the priority documents was delayed because of the total inactivity of the Ministry of Finance and the regional governors;
- Work to ensure the improvement of the

დარღვევაზე მუნიციპალიტეტების ოფიციალური პირების ყურადღების გამახვილებას. პროცესი მხოლოდ შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდების შედეგად დაიძრა. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყება გაჭიანურდა ფინანსთა სამინისტროსა და გუბერნატორის მხრიდან ამ საკითხზე ყოველგვარი აქტიურობის არარსებობის გამო;

- თელავის, ლაგოდეხის და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საბიუჯეტო განაცხადების ფორმების დახვეწის უზრუნველსაყოფად. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობის საფინანსო განყოფილებებსა და საკრებულოს კომისიებს შორის ფორმების დამტკიცებაზე;
- გურიის მუნიციპალიტეტებს მიეწოდა რეკომენდაცია „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდებსა და მუხლებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა რეკომენდაცია ამ ეტაპზე არ გაითვალისწინა, ხოლო ჩოხატაურმა კი, გუბერნატორის მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც გაითვალისწინა მიწოდებული რეკომენდაცია;
- რეკომენდაციის საფუძველზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მოსახლეობის პრიორიტეტული საკითხები და ასევე სათემო ახალგაზრდული ცენტრების პროექტებისთვის თანადაფინანსების თანხები;
- თელავის მუნიციპალიტეტმა ცვლილებები შეიტანა ქონების გადასახადის და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის კუთხით მისაღები თანხის მოცულობაში.

budget application forms was actively carried out in Telavi, Lagodekhi and Sighnaghi municipalities. At present their finance departments and Sakrebulo's commissions in the respective municipalities are working to to approve the forms;

- Guria municipalities were given a recommendation about "approving the rule of distributing assignations allocated by the municipal budget between the budget classification codes and articles". At this stage, Ozurgeti municipality has not considered the recommendation, while Chokhatauri municipality, despite a certain opposition from the regional governor, did take account of the recommendation
- Based on the recommendation, the priority issues for Lagodekhi municipality residents and funding for the co-finance of the Community Youth Centre were considered in the municipal budget;
- Telavi municipality introduced amendments to the amounts of duty payable in property and gambling taxes.

## Training Courses and Consultations Conducted

The Center for Strategic Research and Development of Georgia, with financial assistance from the EU mission in Georgia, implemented a project called "Strengthening Local Government - A Way to Decentralization". The project goal was capacity building for local public servants in such areas as: municipal property formation and management, local budgeting and municipal services. 27 training courses were held in 2010 in Tbilisi and some regions of

ქსელის ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მოსახლეობის პრიორიტეტული საკითხები და ასევე სათემო ახალგაზრდული ცენტრების პროექტებისთვის თანადაფინანსების თანხები.

Based on the network's exsperts recommendation, the priority issues for Lagodekhi municipality residents and funding for the co-finance of the Community Youth Centre were considered in the municipal budget.






### ჩატარებული ტრენინგები და კონსულტაციები

სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მიერ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა პროექტი ,,ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერება - გზა დეცენტრალიზაციისკენ“. პროექტის მიზანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეების შესაძლებლობების განვითარება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მუნიციპალური ქონების ფორმირება და განკარგვა, ადგილობრივი ბიუჯეტირება და მუნიციპალური მომსახურება. ამ მიზნით, 2010 წლის განმავლობაში თბილისსა და საქართველოს რეგიონებში გაიმართა 27 სასწავლო კურსი, სადაც საქართველოს 69 თვითმმართველი ერთეულის 427-მა საჯარო მოხელე მონაწილეობდა.

პროექტის ფარგლებში, მომზადდა ანგარიშები ზემოხსენებულ სფეროებში არსებული პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და აღმოფხვრის შესაძლო გზების შესახებ. 2011 წლისთვის დაგეგმილია კვლევის ჩატარება, საქართველოში თვითმმართველი ერთეულების ფისკალური ავტონომიის ხარისხის შეფასების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, „სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალის, თბილისის პროექტთა ბიუროს“ (DVV) დაკვეთით, პროგრამის ექსპერტებმა, იძულებით გადაადგილებული პირებით კომპაქტურად დასახლებულ თვითმმართველ ერთეულებში ადგილობრივი მოხელეების და თავად იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ჩაატარეს 30-ზე მეტი ტრეინინგი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მუნიციპალური მომსახურება; კანონმდებლობა იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ; თანამონაწილეობა ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღებაში და სხვ.

Georgia, attended by 428 public servants from 69 Georgian municipalities.

Within the terms of the project, reports were prepared about problems in the above mentioned areas, their causes and possible solutions. A survey to evaluate the level of fiscal autonomy in the Georgian municipal entities is planned for 2011.

During the reporting period, the Program experts held more than 30 training courses for self-governing entities with compact IDP settlements. Commissioned by the Bureau of Tbilisi Projects of the Georgian Branch of the German Public Universities' Association (DVV), the training was conducted for local public servants and internally displaced persons and covered such issues as municipal services, legislation regarding the IDPs, co-participation in making local decisions, etc.




## ქვეპროგრამა - კვლევები და რეფორმების ხელშეწყობა

***ქვეპროგრამის მიზანია ეროვნულ დონეზე ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და დეცენტრალიზაციის საკითხებზე დიალოგის წარმართვა.***

ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და მწვავე საკითხების კვლევა, ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ინტერესთა დაცვის კამპანიების წარმართვა ცენტრის მიდგომის ქვაკუთხედია, იგი ხორციელდება როგორც „ცენტრის" ბაზაზე არსებული ექსპერტების, ისე მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ. კვლევების და რეფორმების ხელშეწყობის პროგრამა გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული საკითხების ირგვლივ კვლევით საქმიანობას, არამედ მის საჯაროდ განხილვას „ცენტრის" რეგულარული გამოცემების და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების და სემინარების ორგანიზების გზით, ასევე, თითოეული თემის ირგვლივ ექსპერტული რეკომენდაციების შემუშავებას და შესაბამის ორგანოებთან მიწოდებას. გარდა ამისა, ხდება მათი გათვალისწინების მონიტორინგი და მიღებული შედეგის მასმედიის საშუალებებში გაშუქება.

## SUB-PROGRAM – RESEARCH AND PROMOTION OF REFORMS

***The Program's goal is to initiate and guide a dialogue at the national level on important issues in the country's development***

Conducting research and analysis of the important and acute issues facing Georgia, and carrying out advocacy campaigns based on the research findings is a cornerstone of CSRDG's activity. The activities are carried out by the Center's experts as well as by invited highly qualified experts. The Research and Reform Promotion Program implies not only carrying out research activity on specific issues, but also to conducting public discussions through the Centre's regular publications, meetings with stakeholders and the organization of seminars on those issues to elaborating expert recommendations on each topic and deliver them to the appropriate bodies. Their completion is also regularly monitored and the results covered in the media.









2010 წელს გარემოს ღრმა ანალიზის შედეგად პროგრამის ფარგლებში შეირჩა ოთხი პრიორიტეტული სფერო: ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება, გარემოს დაბინძურება და გარემოსდაცვითი უფლებები, ხელისუფლების დეცენტრალიზაციის რეფორმა და მომხმარებელთა უფლებები. ჩამოთვლილ სფეროებში საკითხების შერჩევა მოხდა მათი სიმწვავის, საზოგადოებისა და სფეროს ექსპერტთა მხრიდან ინტერესის არსებობის კრიტერიუმებით. საბოლოოდ გამოკვეთილ საკითხებზე ჩატარდა კვლევები და განხორციელდა ინტერესთა დაცვის კამპანიები.

***ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების სფეროში*** *აქცენტი შემდეგ საკითხებზე გაკეთდა:*

- საჯარო ფინანსების სტრუქტურა და მართვის პრინციპები საქართველოში - კვლევა მიეძღვნა ზოგადად საჯარო ფინანსების სისტემის აგებისა და ფუნქციონირების საბაზო პრინციპების, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მოწყობის, მისი პრინციპებისა და იერარქიული სტრუქტურის, ასევე შემოსავლების სახით მიღებული საჯარო ფინანსების ხარჯვის საოპერაციო სტრუქტურისა და სახელმწიფო და კონკრეტული დონის ბიუჯეტების ბოლო სამი წლის ძირითადი პარამეტრების შესწავლა-ანალიზს. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია ქვეყნის საფინანსო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები.
- საინვესტიციო სექტორის ანალიზი და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები საქართველოში - საქართველოს მთავრობა და „დიდი ბიზნესიც“ ჯერჯერობით სწორად ვერ აცნობიერებს ახალ რეალობას, რაც გულისხმობს საკუთარი საინვესტიციო პოლიტიკის მოდერნიზაციასა და კაპიტალის ბაზარზე შექმნილი სიტუაციის რეალისტურ აღქმას. სწორედ ეს პრობლემებია წამოწეული აღნიშნულ კვლევაში. „ცენტრის“ ექსპერტები შეეცადნენ დაესახათ ძირითადი მიმართულებები ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ანალიზისა და განვითარების, შიდა და უცხოური ინვესტიციების სტიმულირებისა და მოზიდვის სფეროში.

In 2010, after an in-depth analysis, the Program merged four priority areas: economic and social security, environment pollution and environmental rights, government decentralisation reform, and consumer rights. The criteria for selecting the issues for the listed areas were based on their importance and the interest expressed by the experts in the respective fields.

***For the country's economic and social security field*** attention was focused on the following issues:

- The structure of public finances and their management principles in Georgia - the research was dedicated to studying/analysing, over the last three years, the main parameters for building a general system of public finances and the basic functional principles of, and arrangement for, Georgia's budget system; its principles and hierarchical structure; the operational structure of spending public finances accumulated from revenues, and the State and specific local level budgets. The paper also discusses the amendments planned for the country's financial legislation.
- An analysis of the investment sector and the prospect of economic growth in Georgia - so far, the Georgian Government and "large businesses" have been unable to understand correctly the new reality that requires the modernization of their own investment policies and a realistic analysis of the capital market. The research emphasises these particular problems. CSRDG's experts tried to outline the future requirements in terms of the analysis, the development of the country's investment environment and the stimulation and attraction of domestic and foreign investments.
- Water and health problems in Georgia - water is one of the main national natural wealth

- წყალი და ჯანმრთელობის პრობლემები საქართველოში – საქართველოს მრავალრიცხოვანი ბუნებრივი რესურსებიდან წყლის რესურსები წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ ეროვნულ სიმდიდრეს. კვლევაში მოცემულია: საქართველოს წყლის რესურსების მოკლე აღწერა; წყალი, როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფაქტორი; წყლის სფეროს კრიზისის ზოგიერთი პრობლემა მსოფლიოში; მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობა საქართველოში; მიზნობრივი მაჩვენებლების, მათი შესრულების საკონტროლო ვადების დადგენა და პროგრესის შეფასება.
- სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები საქართველოში - 2010 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა სახელმწიფო შესყიდვების კანონში. აღნიშნული საკითხი საზოგადოებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი და საინტერესოა. სწორედ ამიტომ, ზემოხსენებულ სფეროში მიმდინარე სიახლეების ანალიზს მიეძღვნა ცალკე კვლევა.
- საქართველოს ეკონომიკური რეფორმების 2010 წლის კურსი - ნებისმიერი უკვე „გატარებული“ ეკონომიკური რეფორმის შეფასება ძალზე იოლია, რადგან მას გააჩნია რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგები, რაც ფორმალისტურ შეფასებას ექვემდებარება. ეს შედეგები არ წარმოადგენს არც მეცნიერულ ან პოლიტიკურ აბსტრაქციას, არამედ რეალურად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლებზე. კვლევაში მოცემულია: ქართული შრომის ბაზრის მიმოხილვა; საბიუჯეტო-საგადასახადო ცვლილებები; სახელმწიფო ვალის სტრუქტურული ანალიზი; ფულად-საკრედიტო გარემო; ეკონომიკური თავისუფლებისა და ღირსების აქტი.

დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს კვლევების სრულ ვერსიას „ცენტრის“ ვებგვერდზე www.csrdg.ge.

## მიგრაციის პროცესები საქართველოში

„ცენტრის“ ექსპერტები ჩართულები იყვნენ „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (ILO) მიერ დაფინანსებული პროექ-

resources of Georgia. The study provides: a brief description of Georgia's water resources; water, as a factor of life and health; some of the problems of water crises in various parts of the world; the situation regarding the water supply to the population of Georgia; the identification of target indicators, and the control timeline for their completion and progress evaluation.

- State procurement procedures in Georgia - important changes were introduced in 2010 to the law on State procurement. The issue is very important and a matter of great interest to the public. That was why a special research project was set up to examine the implications of the chamges.
- The 2010 course of Georgia's economic reforms - it is very easy to evaluate any "completed" reform, because it has quantitative and qualitative results that can be subject to a formal evaluation. The results do not represent any scientific or political abstraction. Rather, they make a real impact on the indicators of the quality of life in the country. The study provides: a review of the Georgian labor market and budgetary/taxation changes; a structural analysis of the State debt; the monetary/credit environment and economic freedom and dignity.

Interested persons can access a full version of the study on CSRDG website: www.csrdg.ge

## Migration Processes in Georgia

CSRDG's experts were involved in the implementation of a project funded by the International Labor Organization (ILO) - "Protection of Migrant Workers in the Russian Federation and Addressing the Effects of Migration in Armenia, Azerbaijan and Georgia". Within this project a comprehensive study was conducted on the ongoing migration processes in Georgia focused mainly on important migration issues

ტის - „მიგრანტი მუშაკების დაცვა რუსეთის ფედერაციაში და მიგრაციის თანამდევი განვითარების ეფექტის გაძლიერება სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში“ - განხორციელებაში. პროექტის ფარგლებში ჩატარდა მრავლისმომცველი კვლევა საქართველოში მიმდინარე მიგრაციის პროცესზე. კვლევის ძირითადი მიზანი იყო ზემოხსენებული მიმართულებით იმ აქტუალური საკითხების შესწავლა, რომელიც აქამდე არ იყო შესწავლილი. მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება ხელს შეუწყობს სოციალური გარემოს გაუმჯობესებას, რაც, თავის მხრივ, გაზრდის სახელმწიფო მოხელეების მიმართ ნდობის ხარისხს.

კვლევის პირველი ნაწილი ეძღვნება მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებს და ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას. ასევე განხილულია მიგრაციის პოზიტიური მხარეები, როგორიცაა სამშობლოში მიგრანტების ეტაპობრივი დაბრუნება და მიგრანტების მზარდი როლი მათი საცხოვრებელი ადგილების მდგრად განვითარებაში.

კვლევაში გაანალიზებულია მიგრაციის მონაცემები და აქედან გამომდინარე, საქართველოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მიგრაციის ტენდენციები. ასევე, საუბარია იმ ძირითად საქმიანობებზე, რომლითაც საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის ფარგლებს გარეთ არიან დაკავებულები. აქვე შეჯამებულია ეკონომიკური პარამეტრები, რომლებმაც იქონია დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა მიგრაციის პროცესზე. კვლევა ასახავს მიგრაციის სოციალურ პარამეტრებსაც, როგორიცაა: სოციალური პარტნიორების როლი, რომლებიც იცავენ მიგრანტების უფლებებს და უზრუნველყოფენ მათ საჭირო ინფორმაციით; დიასპორების და მათი გაერთიანებების როლი საქართველოსთვის; შრომითი ბაზარი და პროფესიული განათლება.

კვლევის შედეგად შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან, რასაც მოყვა მრავალრიცხოვანი გამოხმაურება საზოგადოების სხვადასხვა სექტორიდან.

ალსანიშნავია, რომ 2010 წელს ჩატარებული ყველა კვლევა მოიცავს კონკრეტულ დასკვნებსა და წინადადებებს. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების აქტუალ-

that had not been studied previously. The development of a State policy on migration will help to improve the social environment which, in its turn, will raise the level of trust towards State servants.

The first part of the study was devoted to issues of State policy on migration and international experience in this area. Positive aspects of migration, such as the stage-by-stage return of migrants to their home country, and their increasing role in the sustainable development of their places of residence, were also discussed.

The study analysed migration data and, based on that, migration trends on the various stages of the development of Georgia. It also addresses the main activities that Georgian citizens are engaged in outside their country. Economic factors that had positive or negative effect on the migration process are summarized. The study also addresses social factors of migration, such as: the role of social partners that protect migrants' rights and provide them with essential information; the role of the diaspora and their unions for Georgia; the labor market and professional/vocational education.

The study's conclusions and recommendations were discussed with our Stakeholders and were followed by numerous comments from various sectors of the public.

It should be noted that all research projects carried out in 2010 provide specific conclusions and suggestions/recommendations. Special campaigns were launched on the above mentioned issues, and involved the organization of public discussions and seminars about an issue, the development of specific recommendations and delivering them to the respective State agencies and stimulating broad coverage of the issues in the media.

Over the past several years, one of the important themes of CSRDG activities has been pro-

იზაცია კამპანიურ ხასიათს ატარებდა, რაც გულისხმობდა საკითხის ირგვლივ საჯარო განხილვების და სემინარების მოწყობას, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას და მიწოდებას, ასევე მასმედიის საშუალებებში საკითხების ფართოდ გაშუქების სტიმულირებას.

ბოლო წლებში ორგანიზაციის კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა და „ანტიმონოპოლიური“ რეგულირების გამკაცრება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით ხელისუფლებისათვის და ევროკავშირის სტრუქტურებისთვის (ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ეროვნული ინდიკატური პროგრამა (NIP) 2011-2013 და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში შემუშავებული საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) 2010 წლის შესრულების შესახებ ალტერნატიული ანგარიში) წლების განმავლობაში მიწოდებული რეკომენდაციების ნაწილი 2010 წლის დეკემბერში გაითვალისწინეს (მიღებულია სტრატეგია). თუმცა, სტრატეგია საჭიროებს კანონმდებლობაში ასახვას, რაც ჭიანურდება.

2010 წელს მიწოდებული საჯარო დაწესებულებებისთვის 14 რეკომენდაციიდან 6

motion of free trade and competition in Georgia, and making "anti-monopoly" regulations stricter. A part of the recommendations submitted over the years to the Government and the respective EU agencies have been; (2011-2013) National Indicative Program - (NIP) and an alternative report on the completion of Georgia's 2010 Action Plan (ENP AP) developed under the European Neighbourhood Policy (ENP)). These were taken into the account in 2010 (a strategy was adopted). However, the strategy needs to be reflected in the legislation, which has been delayed so far.

Out of 14 recommendations delivered to public agencies in 2010, six were taken into consideration and the remaining 8 were partly considered. It is difficult for the Program to achieve tangible results over a short period of time. However, the results of activities carried out in the previous year became visible in 2010. For example, some of the recommendations made on the local property issue were considered in the law on the local self-governments.

ბოლო წლებში ორგანიზაციის კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა და „ანტიმონოპოლიური“ რეგულირების გამკაცრება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით ხელისუფლებისათვის და ევროკავშირის სტრუქტურებისთვის (ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ეროვნული ინდიკატური პროგრამა (NIP) 2011-2013 და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში შემუშავებული საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) 2010 წლის შესრულების შესახებ ალტერნატიული ანგარიში) წლების განმავლობაში მიწოდებული რეკომენდაციების ნაწილი 2010 წლის დეკემბერში გაითვალისწინეს (მიღებულია სტრატეგია).

Over the past several years, one of the important themes of CSRDG activities has been promotion of free trade and competition in Georgia, and making "anti-monopoly" regulations stricter. A part of the recommendations submitted over the years to the Government and the respective EU agencies have been; (2011-2013) National Indicative Program - (NIP) and an alternative report on the completion of Georgia's 2010 Action Plan (ENP AP) developed under the European Neighbourhood Policy (ENP)). These were taken into the account in 2010 (a strategy was adopted).

გათვალისწინებულია, ხოლო დანარჩენი 8 ნაწილობრივ იქნა გაზიარებული. პროგრამის საქმიანობიდან გამომდინარე, მოკლე დროში ხელშესახები ცვლილების მიღწევა რთულია, თუმცა წინა წელს განხორციელებული საქმიანობების შედეგები 2010 წლის პერიოდში გამოვლინდა. მაგალითად, ადგილობრივ ქონებასთან დაკავშირებით მიწოდებული რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანულ კანონში. აგრეთვე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საბიუჯეტო კანონმდებლობასთან დაკავშირებით, იგულისხმება საბიუჯეტო კოდექსის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა.

### გარემოს დაბინძურების და გარემოსდაცვითი უფლებების სფერო

2010 წელს „ცენტრის“ ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომლის მიზანი გახლდათ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დახმარება გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიშის მომზადებაში. პროექტს ხელმძღვანელობდა ირლანდიიდან მოწვეული ექსპერტი.

პროექტის ფარგლებში „ცენტრის“ ექსპერტი რეგულარულად უწევდა კონსულტირებას და დახმარებას სამინისტროს თანამშრომ-

Important changes were also made in the tax legislation, e.g. the adoption of, and amendments to, the Budget Code.

### The Area of Environment Pollution and Environmental Rights

In 2010, CSRDG's expert was actively involved in a EU funded project aimed at assisting the Ministry of Environment Protection and Natural Resources in the preparation of the State of Environment Report of Georgia. The project was lead by an expert invited from Ireland.

Within the project, CSRDG's expert provided regular consultations and assistance to the Ministry's employees in the preparation of the report's structure and content, as well as the selection and improvement of the report's publication format. Furthermore, for the first time in Georgia, a special blog http://soegeorgia.blogspot.com/ was created to ensure the effective inclusion of the public in the report's preparation, with every interested person able to familiarize themselves with respective materials, including

2010 წელს „ცენტრის“ ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომლის მიზანი გახლდათ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დახმარება გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიშის მომზადებაში.

შედეგად მომზადდა საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება.

In 2010, CSRDG's expert was actively involved in a EU funded project aimed at assisting the Ministry of Environment Protection and Natural Resources in the preparation of the State of Environment Report of Georgia.

The State of Environment Report of Georgia was prepared.

„ცენტრი“ აგრეთვე ჩართული იყო ქვეყანაში ქიმიკატების მართვისათვის საჭირო მნიშვნელოვანი დოკუმენტების მომზადებაში. კერძოდ, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში ცენტრის ექსპერტმა განაახლა „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის“ ეროვნული განხორციელების გეგმა (რომელიც საქართველოს მთავრობამ უკვე დაამტკიცა).

CSRDG was also involved in the preparation of an urgent document on the management of chemicals in the country. In particular, within a UNDP project, our expert updated the National Plan for Implementation of the Stockholm Convention on Persistent Organic Pollutants in Georgia (already approved by the Georgian Government).

ლებს ანგარიშის სტრუქტურის და შინაარსის მომზადებაში, ასევე ანგარიშის პუბლიკაციის ფორმატის შერჩევასა და დახვეწაში. გარდა ამისა, საქართველოს რეალობაში პირველად, ანგარიშის მომზადების პროცესში საზოგადოების ეფექტური ჩართვის მიზნით, შეიქმნა სპეციალური ბლოგი: http://soegeorgia.blogspot.com/, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა შესაბამის მასალებს, მ.შ. ანგარიშის ცალკეული თავების პროექტებს და ოპერატიულად გამოეგზავნა თავიანთი შენიშვნები და კომენტარები. ასევე ჩატარდა ექსპერტთა შეხვედრები, სადაც გამოითქვა კონსტრუქციული შენიშვნები და წინადადებები, რომელთა უმეტესობა გათვალისწინებული იქნა. ზემოხსენებული საქმიანობის განხორციელების შედეგად მომზადდა საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება. ამჟამად იგი მთავრობაში საბოლოო განხილვის პროცესშია.

2010 წელს „ცენტრი“ ჩართული იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი დოკუმენტის, კერძოდ, გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის, შემუშავებაში. ცენტრის ექსპერტმა მოამზადა აღნიშნული დოკუმენტის ორი ნაწილი, რომლებიც ეხებოდა: ნარჩენების მართვის და ჰაერის დაბინძურების საკითხებს.

„ცენტრი“ აგრეთვე ჩართული იყო ქვეყანაში ქიმიკატების მართვისათვის საჭირო მნიშვნელოვანი დოკუმენტების მომზადებაში. კერძოდ, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში ცენტრის ექსპერტმა განაახლა „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის“ ეროვნული განხორციელების გეგმა (რომელიც საქართველოს მთავრობამ უკვე დაამტკიცა) და აგრეთვე დაეხმარა

drafts of separate chapters of the report, and provide timely feedback and comments. Meetings of experts were also held, where constructive suggestions and comments were made, the majority of which have been considered in the report. Based on the implementation of the above mentioned activities, the State of Environment Report of Georgia was prepared. At this stage, the Report is in the process of a final review by the Government.

In 2010, CSRDG was also involved in the preparation of one more important environmental document - The National Environmental Action Plan. Our expert wrote the document's two chapters relating to waste management and air protection issues.

CSRDG was also involved in the preparation of an urgent document on the management of chemicals in the country. In particular, within a UNDP project, our expert updated the National Plan for Implementation of the Stockholm Convention on Persistent Organic Pollutants in Georgia (already approved by the Georgian Government) and assisted in the development of a Global Environmental Facility (GEF) project to implement a number of the activities envisaged in the Plan. The project is already approved by GEF Council and will start soon.

საერთაშორისო ექსპერტს აღნიშნულ გეგმაში გათვალისწინებული რიგი საქმიანობებისთვის დამატებითი დაფინანსების მოსაპოვებლად „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისთვის“ პროექტის ჩამოყალიბებაში. ეს პროექტი გლობალურმა გარემოსდაცვითმა ფონდმა უკვე დაამტკიცა და ქვეყანაში მისი განხორციელება მალე დაიწყება.

### ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის პროგრამა

2010 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრთან და ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“-სთან ერთად, APRODEV-ის მხარდაჭერით კოალიციურად განახორციელა პროექტი „საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში შემუშავებული საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) 2010 წლის შესრულების შესახებ ალტერნატიული ანგარიშის მომზადებაში“. დოკუმენტის მომზადებაში ასევე, ჩართული იყო საქართველოს 40-მდე საზოგადოებრივი ორგანიზაცია (აქედან უმეტესობა საქართველოს რეგიონებში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები). ანგარიშში განხილულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ზოგიერთ სფეროში რეფორმების მიმდინარეობა.

ეს სფეროებია:

1. ადგილობრივი თვითმმართველობა;
2. სურსათის უვნებლობა, სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები;
3. სამეწარმეო გარემო;
4. კონფლიქტების მოგვარება;
5. გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება;
6. ენერგეტიკა;
7. განათლება;
8. სოფლის მეურნეობა.

ანგარიში მიეწოდა: ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებს და ევროპულ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, სხვადასხვა სამინისტროებს.

### EU Neighborhood Initiative Program

In 2010, Center for Strategic Research and Development of Georgia, in cooperation with the Caucasus Environmental NGO Network (CENN), the International Center for Conflict and Negotiation (ICCN), and the Association of Biological Sciences "Elkana" (with financial support from EPRODEV) implemented a joint project - Inclusion of Georgian Non-Governmental Organizations in the Preparation of an Alternative Report on the Completion of 2010 the Georgian Action Plan (ENP AP) of the European Neighbourhood Policy (ENP). About 40 civil society organization operating in Georgia (most of them working in the regions) were also involved in the preparation of the document. The report discusses the implementation of the following reforms stipulated by the Action Plan:

1. Local self-governance;
2. Food safety, standards and technical regulations;
3. The enterprise environment;
4. Conflict resolution;
5. Environment protection and sustainable development;
6. The energy sector;
7. Education;
8. Agriculture.

The report was submitted to representatives from various EU agencies, the Officeof the Georgian State Minister on the Issues of Integration into European and Euro-Atlantic Structures; and various other Ministries.

## პროგრამა - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა

***პროგრამის მიზანია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა.***

პროგრამის მიზნის მისაღწევად შემუშავებული სტრატეგია, ერთის მხრივ, ითვალისწინებს სამთავრობო სტრუქტურებთან მუშაობას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით, ხოლო, მეორეს მხრივ, უშუალოდ მსხვილ ბიზნეს კომპანიებთან მუშაობას სოციალური პასუხისმგებლობის არსის, განხორციელების ფორმებისა და ინსტრუმენტების შესახებ მათი ცნობიერების ამაღლების, ამ საკითხებზე კონკრეტული ექსპერტიზის ხელმისაწვდომობის გაადვილებისა და სოციალური პასუხისმგებლობის იდეის პოპულარიზაციის მიზნით.

### კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკა

პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა.

## PROGRAM - PROMOTION OF THE DEVELOPMENT OF CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY

***The goal of the Program is to promote the introduction and development of corporate social responsibility in Georgia***

The strategy adopted to achieve the Program's goal involves, on the one hand, work with Government agencies in order to develop a State policy for promoting corporate social responsibility, and, on the other hand, working directly with large business companies to raise their awareness of the concept of corporate social responsibility, its implementation and instruments, making specific expertise on this issue more easily accessible, and the popularization of the idea of corporate social responsibility.

### State Policy Promoting Corporate Social Responsibility

One of the most important Program activities is the promotion of a State policy directed to the development of corporate social responsibility (CSR).







როგორც ცნობილია, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის ნებაყოფლობით არჩევანს წარმოადგენს. ეს არის ბიზნესის კეთილი ნება, აიღოს თავის თავზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას კანონით ეკისრება, შეგნებულად გასცდეს მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და ნებაყოფლობით იზრუნოს აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობაზე, დადებითი წვლილი შეიტანოს სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

სამოქალაქო და საჯარო სექტორებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის სტიმულირებისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით. სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში დღესდღეობით საყოველთაოდ აღიარებულია. ამ საკითხზე შექმნილია მრავალი თეორიული ნაშრომი და ჩატარებულია პრაქტიკული კვლევები. დასავლეთის განვითარებულ ქვეყანათა უმრავლესობაში შემუშავებულია სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტკები და ა.შ.

სწორედ ამიტომ, „ცენტრს“ მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ საქართველოშიც გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით.

„ცენტრმა“ სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწმყობი პოლიტიკის კონცეფციაზე მუშაობა ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო. ამ მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი „ცენტრის“ ექსპერტებისა და მოწვეული სპეციალისტებისაგან. მოწვეული იყო აგრეთვე სოციალური პასუხისმგებლობის ექსპერტი ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ქალბატონი ინეკე ლემენი, რომელიც კონსულტირებას უწევდა ქართველ ექსპერტებს.

2009-2010 წლებში პროგრამამ გააგრძელა საქმიანობა აღნიშნული მიმართულებით. ერთის მხრივ, მიმდინარეობდა მუშაობა საკმაოდ ვრცელ და ფუნდამენტურ გამოკვლევაზე, რომელშიც განხილულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვაში მთავრობის როლისა და შესაძლო ფუნქციების შესახებ; გაანალიზებულია როგორც დასავლეთის განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების, ისე განვითარებადი ქვეყნების მთავრობათა გამოცდილება სოციალური პასუხისმგე-

As is known, corporate social responsibility is a business's voluntary choice. It is a business's good will commitment to assume more responsibility than obliged by the law, intentionally going beyond its primary function of profit-making, voluntarily caring about the well-being of the public, and making a positive contribution to solving social and ecological problems.

The civil and public sectors have an important role in stimulating and promoting responsible business activity. The State's decisive role in the development of corporate social responsibility is commonly recognized nowadays. Much theoretical work and numerous practical research projects have been undertaken on this issue. State policies promoting social responsibility have been developed in a majority of Western countries.

That is why CSRDG considers it important to take certain steps Georgia as well.

CSRDG started promoting the CSR concept back in 2008. For this purpose, a working group composed of our experts and invited specialists was set up. Ms. Ineke Lemmen, an expert in corporate social responsibility from the Ministry of Foreign Affairs of the Netherlands was also invited to consult with the Georgian experts.

In 2009-2010, the Program continued work in this direction. On the one hand, work was carried out on extensive and fundamental research that reviewed the existing literature on the Government's role and its possible functions in implementing social responsibility. The study analyses the experience of the Western developed countries, as well as some of the developing nations, in promoting social responsibility; presents an overview of the main international instruments (conventions, memorandums, declarations, etc.) regulating social responsibility; and addresses other relevant issues.

On the other hand, work was carried out to develop recommendations for the Government

ცენტრის ექსპერტებმა მოამზადეს ფუნდამენტური გამოკვლევა „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სახელმწიფო სექტორის როლი (ანალიტიკური მიმოხილვა და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას)“.

CSRDG's experts prepared a detailed research paper on Corporate Social Responsibility and the Role of the State Sector (An Analytical Review and Recommendations to the Government of Georgia).

ბლობის ხელშეწყობის თვალსაზრისით; წარმოდგენილია სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტების (კონვენციები, მემორანდუმები, დეკლარაციები და ა.შ.) მიმოხილვა და ა.შ.

მეორეს მხრივ, მიმდინარეობდა მუშაობა რეკომენდაციებზე საქართველოს მთავრობისათვის იმ კონკრეტული ინიციატივების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემდგომ დანერგვასა და განვითარებას. რეკომენდაციები ითვალისწინებს როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ასევე საქართველოს კონტექსტს და ჩვენი ქვეყნის განვითარების მიზნებს.

აღნიშნული საქმიანობის შედეგად მომზადდა ვრცელი ანალიტიკური ნაშრომი და რეკომენდაციები.

მომზადებული ანალიტიკური კვლევისა და რეკომენდაციების გამოქვეყნება და საჯარო განხილვები დაგეგმილია 2011 წლისათვის.

## საქართველოში სოციალური ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა

სოციალური ანგარიშგება, რაც გულისხმობს ანგარიშის გამოქვეყნებას ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებში კომპანიის არამომგებიანი, პასუხისმგებელი საქმიანობის შესახებ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამდენად, ის ყოველი პასუხისმგებელი კომპანიის

of Georgia about those specific initiatives that will promote the further introduction and development of corporate social responsibility in Georgia. The recommendations take into account international experience, as well as the Georgian context and the goals of our country's development.

A comprehensive analytical work was conducted and recommendations were designed as a result of the mentioned activity.

Publication of the analytical research paper and its recommendations, as well as public hearings on these, are planned for 2011.

## Introduction of Social Reporting Practices in Georgia

Social reporting involves the publication of a report on a company's non-commercial, responsible activities in economic, environmental and social areas and is an important and inseparable part of corporate social responsibility. Thus, in the modern world it is considered to be a voluntary obligation for every responsible company.

This is why one of the main directions of the Program activity is promoting the introduction of social reporting (sustainable development reporting) practices in Georgia. A number of interesting initiatives were implemented in this regard in 2010.

ნებაყოფლობით ვალდებულებად მიიჩნევა თანამედროვე მსოფლიოში.

სწორედ ამიტომ, პროგრამის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საქართველოში სოციალური ანგარიშგების (მდგრადი განვითარების ანგარიშგების) დანერგვის ხელშეწყობა წარმოადგენს. 2010 წელს ამ მიმართულებით არაერთი საინტერესო ინიციატივა განხორციელდა.

მიმდინარე წელს პროგრამის ექსპერტის მიერ მომზადდა საკონსულტაციო პაკეტი, რომელიც დაეხმარება ბიზნეს კომპანიებსა და სხვა ორგანიზაციებს მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადებაში. აღნიშნული კონსულტაციები მიზნად ისახავს ბიზნეს კომპანიების დახმარებას სრულყოფილად გაიარონ ანგარიშის მომზადების პროცესის ყველა ეტაპი და შედეგად მოამზადონ მდგრადი განვითარების ანგარიშის დოკუმენტი „გლობალური ანგარიშგების ინიციატივის" (GRI) საერთაშორისო ფორმატის მიხედვით. საკონსულტაციო პაკეტი მომზადებულია „გლობალური ანგარიშგების ინიციატივის" (GRI) მიერ გაწერილი პროცედურების შესაბამისად, რომელთა დაცვა მაქსიმალურად წარმოაჩენს კომპანიის წარმატებებს და მის მნიშვნელობას ქვეყნისა და საზოგადოებისათვის.

2010 წელს „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის ექსპერტები, „ცენტრის" სხვა პროგრამებთან ერთობლივად, ჩართული იყვნენ „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის" (GRI) ფორმატით ორგანიზაციის მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადებაში. შედეგად მომზადდა ანგარიში, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ ამ ფორმატით მომზადებულ პირველ მდგრადი განვითარების ანგარიშს საქართველოს მასშტაბით (და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამიერკავკასიის რეგიონშიც). ამგვარი ანგარიშის გამოქვეყნებით ჩვენი ორგან-

During the current year, the Program's experts developed a package of consultations that will assist business companies and other organizations in the preparation of a sustainability report. The consultations are aimed at helping business companies to fully complete all stages of the preparation and, as a result, develop their sustainability report in accordance with the Global Reporting Initiative (GRI) international format and procedures. Compliance with these procedures enable the company to fully present its success and importance for the country and the public.

In 2010, expert from the Corporate Social Responsibility Promotion Program, together with other CSRDG Programs, were jointly involved in the preparation of the organization's sustainability report in the GRI format. As a result, the first sustainability report in Georgia was written (and, to the best of our knowledge, it was also the first one for the whole Caucasus region). By publishing such a report our organization tried to prove that it follows the same standards and principles it advocates. In addition, we are trying to become a role model for other organizations and, in this way, promote the introduction of sustainability reporting practices in Georgia.

2010 წელს „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის ექსპერტები, „ცენტრის" სხვა პროგრამებთან ერთობლივად, ჩართული იყვნენ „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის" (GRI) ფორმატით ორგანიზაციის მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადებაში. შედეგად მომზადდა ანგარიში, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ ამ ფორმატით მომზადებულ პირველ მდგრადი განვითარების ანგარიშს საქართველოს მასშტაბით.

In 2010, expert from the Corporate Social Responsibility Promotion Program, together with other CSRDG Programs, were jointly involved in the preparation of the organization's sustainability report in the GRI format. As a result, the first sustainability report in Georgia was written.

იზაცია ცდილობდა წარმოეჩინა, რომ საკუთარ საქმიანობაშიც იმ სტანდარტებითა და პრინციპებით ხელმძღვანელობს, რომელთა დანერგვას უწყობს ხელს ქვეყანაში. გარდა ამისა, ვცდილობთ მაგალითი მივცეთ სხვა ორგანიზაციებს და ამგვარად ხელი შევუწყოთ საქართველოში მდგრადი განვითარების ანგარიშგების პრაქტიკის დამკვიდრებას.

### სოციალური პასუხისმგებლობის მართვის და ადმინისტრირების უნარების განვითარების ხელშეწყობა

2010 წელს „ცენტრის" ექსპერტი მონაწილეობდა ქართული ბიზნეს კომპანიებისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელოს შემუშავებაში. სახელმძღვანელოზე მუშაობდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთაგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის „გლობალური შეთანხმების" პროექტის ფარგლებში თანამშრომლობდა შესაბამის ადგილობრივ ორგანიზაციებთან და ბიზნეს კომპანიებთან. სახელმძღვანელო ეფუძნება დიდი ბრიტანეთის ორგანიზაციის - „ბიზნესი საზოგადოებაში" - მიერ მომზადებულ პუბლიკაციას „სამართლიანად გამარჯვება" და წარმოადგენს მრავალმხრივი საკონსულტაციო პროცესის შედეგად ქართულ რეალობასთან მისადაგებულ დოკუმენტს.

სახელმძღვანელოს მიზანი გახლდათ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით ქართულ ბიზნეს კომპანიებში არსებული გამოცდილების წარმოჩენა, დაინტერესებული მხარეების გააქტიურება სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის მიმართულებით, ბიზნეს კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკის დანერგვისთვის საჭირო ინსტრუმენტების განმარტება.

ცენტრის ექსპერტი ჩართული იყო აღნიშნული სახელმძღვანელოს ადაპტირებისა და ქართულ კონტექსტთან მისადაგების საკონსულტაციო პროცესში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სწავლების დანერგვის ხელშეწყობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში

### Promoting the Development of Social Responsibility Management and Administrative Skills

In 2010, CSRDG's expert was involved in preparing a handbook on corporate social responsibility for Georgian business companies. Under the UN Global Compact Program, a group of various stakeholders was involved in the handbook preparation process and cooperated with respective local organizations and business companies. The handbook is based on the Business in the Community (UK) publication "Winning with Integrity", and, as a result of a long-term consultation process, is fully adapted to the Georgian reality.

The handbook's aim is to present the experience of Georgian business companies with regard to social responsibility, stimulate the stakeholders to become more active in introducing SCR practices, and provide explanations of the instruments necessary to introduce corporate social responsibility practices.

CSRDG's expert was involved in the consultative process for the adaptation of the guidelines in accordance with the Georgian context.

Promoting of Introduction of Corporate Social Responsibility Courses in Georgian Universities

Research on corporate social responsibility carried out by Program experts, and opinions expressed during various discussion meetings, revealed that one of the impeding factors for CSR development in Georgia is the lack of knowledge of, and competence in, the methods and approaches for implementing corporate social responsibility. An effective way of solving the problem is the inclusion of a corporate social responsibility course in the curriculum of business schools. In this way, a new generation of managers will gain basic skills and knowledge in the area of corporate social responsibil-

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით პროგრამის ექსპერტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა და სადისკუსიო შეხვედრებზე გამოთქმულმა მოსაზრებებმა აჩვენა, რომ საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია სოციალური პროექტების განხორციელების მეთოდებისა და მიდგომების შესახებ ცოდნის და კომპეტენციის ნაკლებობა. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ეფექტური საშუალებაა ბიზნეს სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საგნის ჩართვა. ამ გზით ახალი თაობის მენეჯერები დაეუფლებიან საბაზისო უნარ-ჩვევებს და მიიღებენ ცოდნას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. შედეგად, საკითხში გარკვეული ადამიანები მზად იქნებიან დანერგონ სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომები და ფასეულობები იმ ბიზნეს კომპანიებში, სადაც დაიწყებენ მუშაობას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცენტრს მნიშვნელოვნად მიაჩნია საქართველოს ბიზნეს უნივერსიტეტების პროგრამებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საგნის ჩართვა და გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა ამ მიმართულებით. 2010 წლის დეკემბერში კავკასიის ბიზნეს სკოლამ გამოთქვა ინტერესი ახალი სალექციო კურსის დანერგვაზე. ამის საფუძველზე ცენტრის ექსპერტმა მოამზადა სალექციო კურსი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე, რომელიც 2011 წელს ჩაუტარდებათ კავკასიის ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების და მართვის კურსის სტუდენტებს.

ity and be ready to introduce CSR approaches and values in their future jobs in business companies.Taking all of this into consideration, CSRDG believes it is important that a course on corporate social responsibility should be included in the curriculum of Georgian business schools, and has already takes certain steps in this direction. In 2010, the Caucasus Business School expressed interest in introducing a course on CSR. Based on this, our expert prepared a cycle of lectures on corporate social responsibility which, in 2011, will be offered to business administration and management students of the Caucasian Business School.

2010 წლის დეკემბერში კავკასიის ბიზნეს სკოლამ გამოთქვა ინტერესი ახალი სალექციო კურსის დანერგვაზე. ამის საფუძველზე ცენტრის ექსპერტმა მოამზადა სალექციო კურსი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე, რომელიც 2011 წელს ჩაუტარდებათ კავკასიის ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების და მართვის კურსის სტუდენტებს.

In 2010, the Caucasus Business School expressed interest in introducing a course on CSR. Based on this, our expert prepared a cycle of lectures on corporate social responsibility which, in 2011, will be offered to business administration and management students of the Caucasian Business School.

# 5 საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები

# OUR ECONOMIC PERFORMANCE

EC 1 - შექმნილი და განაწილებული ეკონომიკური ღირებულება - შემოსავლების, მიმდინარე საწარმოო ხარჯების, თანამშრომელთა ანაზღაურების, გაცემული შემოწირულობებისა და საზოგადოებისათვის გაღებული სხვა ინვესტიციების, გაუნაწილებელი მოგების, ასევე კაპიტალის მიმწოდებლებისა და სახელმწიფოსათვის გადახდილი თანხების ჩათვლით.

2010 წელს „ცენტრის" მიერ საერთაშორისო ფონდებიდან, გრანტების სახით, მოზიდული თანხა შეადგენდა 1 244 405 ლარს, რაც ქვეყნის ეკონომიკაში ჩადებული არცთუ მცირე ინვესტიციაა ჩვენი ზომის ორგანიზაციისათვის.

ჩვენ მიერ გაწეული სერვისებიდან (ტრენინგები და კონსულტაციები) მიღებული შემოსავლები შეადგენდა 128 864 ლარს.

პროგრამულ საქმიანობაზე გაწეული საოპერაციო ხარჯების ოდენობა კი — 833 361 ლარს; ამ თანხიდან, მიკროგრანტების სახით ადგილობრივი თემების განვითარებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში ჩადებული იყო 307 996 ლარი.

თანამშრომლებისათვის გადახდილი ხელფასების ოდენობა შეადგენდა 463 685 ლარს;

ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადის სახით შეტანილი თანხა - 89 985 ლარს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში დათიშულად არის წარმოდგენილი 2010 წელს ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც ფულადი სახსრების მოძრაობით, ანუ შემოსავლებითა და ხარჯებით აისახება. (ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება აუდიტის მიერ შემოწმებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშს იხ. დანართი 6).

EC 1 – Direct economic value generated and distributed - including income, current direct expenses, staff remunerations, donations and other investments made for the public, undistributed profit, as well as the amounts paid to providers of the capital and to the State.

In 2010 grants attracted by our organization from international funds amounted to GEL 1 244 405 – no small investment in the Georgian economy by an organization of our size.

Income earned by our service provision (trainings and consultations) was GEL 128 864.

Operational expenses on program activities amounted to GEL 833 361 – out of this, the amount invested as micro-grants in local community and infrastructure development was GEL 307 996;

Staff salaries equaled GEL 463 685;

89 985 GEL was paid in various taxes to the state budget.

The table below presents a breakdown of our economic performance indicators for 2010, expressed by cash flow, i.e. by income and expenses. (The financial data presented in the table are derived from the audited annual accounts - see the Annex 6 in the end).

| შემოსავლები / INCOME | |
|---|---|
| დონორებისგან მიღებული თანხები<br>Funding from donors | 1 244 405 |
| გაწეული სერვისები (ტრენინგები და კონსულტაციები)<br>Income from services provided (trainings and consultations) | 128 864 |
| ინდივიდუალური შემომწირველებისგან მიღებული თანხები<br>From individual contributions | 13 316 |
| სულ შემოსავლები<br>Total Income | 1 386 585 |
| **ხარჯები / EXPENCES** | |
| თანამშრომელთა ხელფასები და დახმარებები<br>Employee wages and benefits | 463 685 |
| საოპერაციო ხარჯები<br>Operating expenses | 833 361 |
| სახელმწიფოსათვის გადახდილი თანხები (გადასახადები, ჯარიმები და ა.შ.) / Payments to government (taxes etc.) | 89 985 |
| სულ ხარჯები<br>Total Expences | 1 387 031 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს<br>Excess of revenue over expences | 252 541 |

* თანხები მითითებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში). 2010 წელს ლარის საშუალო კურსი ევროსთან მიმართებით შეადგენდა: 1 ევრო - 2,3621 ლარი.

* The sums are given in GEL, the Georgian national currency. In 2010, the average exchange rate was 2.3621 GEL to 1 Euro.

EC 8 – კომერციული, ნატურით ან საზოგადოებისათვის სასიკეთო/საქველმოქმედო საქმიანობის[5] ფორმით ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები და საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების განვითარება, ასევე ამ გზით მოხდენილი ზეგავლენა.

EC 8 – Development and impact of infrastructure investments and services provided primarily for public benefit through commercial, in-kind, or pro bono engagement.

2010 წელს თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში თემში ჩადებული ინვესტიციები შეადგენდა 131 166 ლარს. აღნიშნული ინვესტიციები მოიცავს როგორც მიკროგრანტებს, რომლებსაც ჩვენი ორგანიზაცია გასცემს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული მიკროპროექტების განსახორციელებლად, ასევე ამ პროექტების განმახორციელებელი სოფლის სათემო ჯგუფების შესაძლებლობათა გაძლიერებისა და საოპერაციო ხარჯების ასანაზღაურე-

In 2010, community investments made under the Community Development Program equaled to GEL 131 166. The investments include the micro-grants issued by our organization for micro-projects to solve local problems, as well as funds to cover the capacity building and operational costs of the rural community

[5] Commercial, in-kind or pro bono.

ბლად გაცემულ თანხას (იხ. პროგრამული ანგარიში, გვ. 31).

2010 წელს თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 54 მიკროპროექტი საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში.

groups implementing the projects (see Program report on our activity, p 31).

54 projects were accomplished in six Georgian municipalities in 2010 under the Community Development Program.

**მიკროპროექტების გეოგრაფიული გადანაწილება**
**Geographical distribution of the micro-projects**

| მუნიციპალიტეტი<br>Municipalities | სოფელი<br>Villages | მიკროპროექტი<br>Micro-projects |
|---|---|---|
| თელავისა და ყვარლის<br>Telavi and Kvareli | 6 | 17 |
| სიღნაღისა და ლაგოდეხის<br>Sighnaghi and Lagodekhi | 6 | 18 |
| ოზურგეთისა და ჩოხატაურის<br>Ozurgeti and Chokhatauri | 7 | 19 |
| სულ/Total | 19 | 54 |

2010 წელს განხორციელებულ მიკროპროექტთა თემატური განაწილება ამგვარია (მითითებულია თითოეულ სფეროში განხორციელებულ მიკროპროექტთა რაოდენობა):

The areas of the micro-projects implemented in 2010 (The number of micro-projects in each area are indicated):




2010 წელს განხორციელებულ მიკროპროექტთა 58% ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეაბილიტაციას ისახავდა მიზნად.

As can be seen from the chart, 58% of the micro-projects funded in 2010 were aimed at infrastructure rehabilitation and development. The total amount of micro-grants made by

მათ განსახორციელებლად ჩვენი ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროგრანტების ოდენობა (ანუ ჩვენი ორგანიზაციის მიერ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა) 2010 წელს შეადგენდა 34 547 ლარს, რაც, არსებითად, ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში ორგანიზაციის პირდაპირ შენატანს წარმოადგენს.

CSRDG in 2010 for implementing the projects (ie, the amount of our investments in the infrastructure) amounted to 34 547 GEL, which, in essence, is CSRDG's direct contribution into Georgia's economic sustainability.

| | |
|---|---|
| "ცენტრის" მიერ სოფლის განვითარებისათვის გაკეთებული ინვესტიციები სულ:<br>CSRDG's total investments in the communities | 1 31 166 ლარი/GEL |
| მიკროგრანტები ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცისთვის<br>Micro-grants for infrastructure rehabilitation | 34 547 ლარი/GEL |
| მიკროგრანტები სხვა პრობლემების გადასაჭრელად<br>Micro-grants for solving other types of problems | 24 741 ლარი /GEL |
| სოფლის სათემო ჯგუფების გაძლიერება/მხარდაჭერა<br>Strengthening of / support to the rural community centers | 75 077 ლარი/GEL |

### EC 9 – მნიშვნელოვანი ირიბი ეკონომიკური ზემოქმედებისა და მისი მასშტაბის ანალიზი და აღწერა

ყველაზე მნიშვნელოვანი ირიბი ეკონომიკური ზეგავლენა ახლავს თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩვენი ორგანიზაცია მიკროგრანტების ფორმით ახორციელებს პირდაპირ სათემო ინვესტიციებს (რაც ჩვენი საქმიანობის პირდაპირ ეკონომიკურ ზეგავლენას წარმოადგენს). გარდა ამისა, ჩვენ მიერ დაფინანსებული პროექტები ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად სხვა წყაროებიდან დამატებითი თანხების მოძიების საფუძველს ქმნის.

2010 წელს ცენტრის მიერ დაფინანსებული მიკროპროექტების ფარგლებში ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად მოსახლეობის მიერ ჩადებული ინვესტიციის ჯამური

### EC 9 – Understanding and describing significant indirect economic impacts, including theextent of impacts

The most important economic impacts are made by our activities under the Community Development Program. Within this program, CSRDG makes direct community investments by means of the issued micro-grants (a direct economic impact of our activity). The projects financed by us to solve local problems also create a basis for attracting additional funds from other sources.

The total amount of the investments made by local populations in 2010 under the micro-

ღირებულება შეადგენდა 23 926 ლარს (საიდანაც ნაწილი მოსახლეობის ფულად შენატანს წარმოადგენს, ხოლო ნაწილი – ნატურით გაკეთებულ შენატანს).

projects financed by CSRDG amounted to 23 926 GEL (some of this was made as a monetary contribution, and the rest was “in-kind”).

ხოლო სხვა წყაროებიდან მოძიებული დამატებითი თანხების ოდენობა შეადგენდა 31 350ლარს, რაც ერთობლიობაში 55 276 ლარს შეადგენს. მოზიდული თანხის განაწილება (ლარებში) წყაროების მიხედვით ამგვარია:

In 2010 the amount of additional funds received from other sources was 31 350 GEL, making the cumulative amount 55 276 GEL. The following table presents the breakdown of the additional funds attracted by community groups (in GEL) by the sources:




ამგვარად, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2010 წელს ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში ინვესტირებული თანხა ჯამურად შეადგენდა 114 564 ლარს (საიდანაც 59 288 ლარი ჩვენს მიერ გაცემულ მიკროგრანტებს წარმოადგენდა, ხოლო 55 276 ლარს შეადგენდა სოფლის მოსახლეობის წვლილი და დაფინანსების სხვა წყაროებიდან მოზიდული თანხა):

Thus, total funds invested for solving local problems under Community Development Program in 2010 amounted to 114 564 GEL (of which, 59 288 GEL was the micro-grants issued by us, and 55 276 GEL the contribution made by local residents and funds attracted from other sources):



შესაბამისად, ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროგრანტების მეშვეობით სოფლის სათემო ჯგუფებმა მოახერხეს სხვა წყაროებიდან 55 276 ლარის ოდენობის ინვესტიციის მოზიდვა ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად, რაც ცალსახად პროგრამის ირიბ ეკონომიკურ ზეგავლენას წარმოადგენს.

***2010 წელს ჩვენი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სოფლის მიკროპროექტების შედეგებით მოსარგებლე ადამიანების ჯამური ოდენობა შეადგენდა 15 000-მდე ადამიანს.***

Accordingly, due to the micro-grants issued by CSRDG, rural community groups were able to attract 55 276 GEL of investments from other sources in order to solve local problems – a clear indication of the program's indirect economic impact.

***The total number of beneficiaries of the rural micro-projects implemented by CSRDG in 2010 was 15 000.***

**2010 წლის მიკროგრანტების ბენეფიციარების გეოგრაფიული განაწილება**

**Breakdown of the number of beneficiaries by distrcts (2010)**

| | |
|---|---|
| თელავი-ყვარლის რაიონი<br>Telavi-Kvareli district | — 6462 |
| სიღნაღი-ლაგოდეხის რაიონი<br>Sighnaghi-Lagodekhi district | — 5480 |
| ოზურგეთი-ჩოხატაურის რაიონი<br>Ozurgeti-Chokhatauri district | —3020 |

თემის განვითარების პროგრამის ირიბი ეკონომიკური ზეგავლენა, ზემოთ აღწერილი ვითარების გარდა, გამოიხატება სამიზნე თემებში ადამიანების დასაქმებით ან ცოდნის მიწოდებითა და უნარების გაძლიერებით, რის შედეგადაც იზრდება მათი საქმიანობის ეფექტურობა და მომავალი დასაქმების შესაძლებლობები, სამიზნე სოფლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახის სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდით და სხვ.; მაგალითად:

- პროგრამის ფარგლებში შექმნილ სათემო ცენტრებში ამ ეტაპზე დასაქმებულია 39 ადამიანი. გარდა ამისა, ზოგიერთი სათემო ცენტრის ბაზაზე ხდება მოსახლეობისათვის საჭირო ფასიანი მომსახურების გაწევა, რისი დახმარებითაც დამატებით დასაქმებულია გარკვეული რაოდენობის მოსახლეობა. მაგალითად, გულგულის სათემო ცენტრის ბაზაზე მოქმედ სამკერვალოში 3 ქალბატონი მუშაობს, ხოლო სოფელ ჰერეთისკარში სათემო ცენტრი სასოფლო-სამეურნეო მომსახურებას უწევს მოსახლეობას, კერძოდ, ეხმარება მოხვნა-თესვის სამუშაოებში საკუთარი მინი ტრაქტორით. ამგვარი მომსახურების

In addition to the above, the Community development program's indirect economic impact in the target communities is also expressed in the improved employment opportunities and/or increased knowledge and skills of the beneficiaries, which, in turn, helped raise the accessibility of various services for the local population, etc. For example:

- Currently, 39 people are employed in the community centres established under the program. Besides, some of the community centres provide charged services to the population, giving additional employment to a certain number of people. For example, three females work in a sewing workshop that operates on the basis of Gulgula community centre; the centre from Heretiskari provides agricultural services to local residents helping them with cultivating the land with the small mini tractor owned by the centre. This service provided jobs to two more people;

ხარჯზე სათემო ცენტრში დამატებით 2 ადამიანი დასაქმდა;

- სათემო ცენტრების კოორდინატორებს ჩაუტარდათ ტრენინგები და კონსულტაციები (შემდეგ საკითხებზე: მართვის ზოგადი უნარები, სოციალური მეწარმეობა და ბიზნეს გეგმების მომზადება, თვითშეფასების მეთოდები). ტრენინგები და კონსულტაციები და საქმიანობით დაგროვილი გამოცდილება სათემო ცენტრის წარმომადგენლებს ეხმარება ცოდნისა და უნარების გაღრმავებაში, ასევე შემდგომში მათი დასაქმების ან სხვა სამუშაოზე ეფექტური მუშაობის წინა პირობა ხდება. არის შემთხვევები, როდესაც სათემო ცენტრის ყოფილი ლიდერი ამა თუ იმ პასუხისმგებლურ პოსტზე დასაქმდა;
- სათემო ცენტრების ბაზაზე დაარსებულია სხვადასხვა წრეები და კურსები, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერული კურსები. 2010 წელს ასეთი კომპიუტერული კურსები უფასოდ გაიარა სოფლის 400-მდე მცხოვრებმა, რის შედეგადაც მათ შეიძინეს ცოდნა და უნარები, რითაც გაიზრდება მათი საქმიანობის ეფექტურობა და დასაქმების შანსები. აღსანიშნავია, რომ სოფლების უმეტესობაში კომპიუტერულ კურსებზე მზარდი მოთხოვნილებაა;
- ხშირ შემთხვევაში, სათემო ცენტრი მოსახლეობას და სოფელში არსებულ დაწესებულებებს სთავაზობს ისეთ მომსახურებას, რომ მათ და ადგილობრივმა მოსახლეობამ დროის და დანახარჯების დაზოგვა მოახერხონ. მაგალითად, ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებს, მასწავლებლებს და ექიმებს დახმარებას უწევენ სხვადასხვა დოკუმენტაციის მომზადებაში, ასლების გადაღებასა და დანიშნულების ადგილზე ინტერნეტის საშუალებით გადაგზავნაში. ისედაც გაჭირვებულ ადამიანებს აღარ უხდებათ ადმინისტრაციულ ცენტრებში ჩასვლა, შესაბამისად, დროის და თანხების დახარჯვა.

ყოველივე ზემოთ წარმოდგენილი თემის განვითარების პროგრამის ირიბ ეკონომიკურ ზეგავლენას წარმოადგენს.

უკვე აღნიშნულის გარდა, სხვადასხვა სახ-

- Coordinators from the community centres were given training and consultations on such issues as, for example, general management skills, social enterprising and preparation of business plans, self-evaluation methods, etc. All these, as well as their past activities and experience, help them to extend their knowledge and skills, and become a pre-condition for their further employment or effective work performance on other jobs. Cases were when a community centre's former leader was appointed to a certain responsible position;
- Various types of courses are provided on the bases of community centres, and computer courses are the most important among them. In 2010, up to 400 village residents underwent such courses free of charge. As a result, they acquired knowledge and skills that increase their work effectiveness and employment opportunities. It should be noted that there is an increasing demand on computer courses in many villages;
- In many cases, community centres offer village residents and organisations such services that help them save time and costs. For example, assistance to representatives of local governments, teachers and doctors in the preparation of various documentations, making photo copies and sending the documents by the Internet. In such cases, people that already experience financial difficulties no longer have to travel to administrative centres that saves them time and money.

All the above has an indirect economic impact of the Community development program.

Other programs initiated by our organization also have various types of indirect economic impacts. For example:

- CSRDG supports the development of social

ის ირიბი ეკონომიკური ზეგავლენები ახლავს ჩვენი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ სხვა პროგრამებსაც, მაგალითად:

- საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში ორგანიზაცია მხარს უჭერს სოციალური მეწარმეობის განვითარებას, ხოლო სოციალური საწარმოები, თავის მხრივ, საგრძნობ ეკონომიკურ ზეგავლენას ახდენენ საკუთარი რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე, კერძოდ:

- პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შედეგად შექმნილ სოციალურ საწარმოებში დასაქმებულია 13 ადამიანი, რომელთა დიდი ნაწილი ე.წ. „მარგინალურ ჯგუფებს" მიეკუთვნებიან, ანუ მათ, ძირითადად, ჩვეულებრივ პირობებში დასაქმება უჭირთ.
- გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, პროგრამის ფარგლებში დაარსებულ სოციალურ საწარმოებს უტარდებათ ტრენინგები და კონსულტაციები საწარმოს ეკონომიკურ, ფინანსურ, მარკეტინგულ, ორგანიზაციულ და საკანონმდებლო საკითხებზე, რაც ხელს უწყობს მათი მდგრადობის გაუმჯობესებას და ეხმარება უფრო ეფექტურად განახორციელონ საკუთარი ეკონომიკური საქმიანობა. შედეგად ამ სახის ორგანიზაციებს საკუთარი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი პროდუქტების სახით, ასევე საწარმოს და იქ დასაქმებული ადამიანების გადასახადებით. აღსანიშნავია, რომ ეს საწარმოები ეწევიან ისეთ საქმიანობას, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო სხვა სექტორების (კერძო და საჯარო) არეალში არ ხვდება.

(უფრო დაწვრილებით იხ. პროგრამული ანგარიში, გვ. 44).

- თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში თელავის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული მონიტორინგისა და მიწოდებული რეკომენდაციების შედეგად გაუმჯობესდა საბიუჯეტო პროცესი, დაიხვეწა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები (იხ. პროგრამული ანგარიში, გვ. 60), რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საბიუჯეტო სახსრების სამართლიან გადანაწილებასა და ეფექტიან გამოყ-

enterprising within the program Development of CIvil Society Organisations. In their turn, social enterprises have a considerable impact on economic development of those regions where they operate. Namely:

- In the social enterprises created as a result of grant competitions announced within the program, 13 people got jobs and a big majority of them were from so called "marginalised groups" - in other words, such people that in regular conditions have less employment opportunities.
- Beside providing financial assistance, trainings and consultations on economic, financial, marketing, organisational and legislative issues are held for the social enterprises created under the program, promoting their sustainability and helping them to carry out their economic activity in a more effective way. As a results, these enterprise make their contribution in the country's economy with their production, as well as with the taxes paid by the enterprises and their employees. Noteworthingly, these enterprises carry out the types of activities that, due to certain reasons, do not fall under the scope of other sectors (private and public).

(See program report, pp 44).

- As a result of the implemented monitoring and the developed recommendations within the frameworks of the program on the Development of Local Government in Telavi, Lagodekhi, Sighnaghi, Ozurgeti and Chokhatauri municipalities, the budgetary process and the transparency and accountability mechanisms have improved (see Program Report, pp 60), that, in their turn, have helped fair distribution and effective application of the budgetary funds, having an undoubtedly positive impact on the economic systems of these regions. In addition, keeping in mind that public offices are one of the largest procurers in Georgia, development of the municipal budgetary systems

ენებას, რასაც ცალსახად დადებითი ზეგავლენა აქვს ამ რეგიონების ეკონომიკურ სისტემებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში საჯარო დაწესებულებები ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი შემსყიდველები არიან, მუნიციპალური საბიუჯეტო სისტემების დახვეწა და გამჭვირვალობის ზრდა, მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ რეგიონებში კონკურენტული და თავისუფალი ბაზრის განვითარებას.

ირიბი ეკონომიკური ზეგავლენა ხშირად თან სდევს „ცენტრის" მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემის ან ცალკეული სტრუქტურების უფრო ეფექტურ ფუნქციონირებას, მაგალითად:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაცია, რამდენიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთობლივად, ჩართულია კამპანიაში, რომლის მიზანია საქართველოს მთავრობისათვის ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობის დასაბუთება. რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებისა და ევროკომისიის წარმომადგენლობისათვის, სადაც დასაბუთებული იყო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ახალ ეროვნულ ინდიკატურ პროგრამაში (NIP) ამ საკითხების ასახვის აუცილებლობა (უფრო დაწვრილებით იხ. პროგრამული ანგარიში, გვ. 70). 2010 წლის დეკემბერში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სტრატეგია, რომელიც მოიცავს საქართველოში ანტიკორუფციული კონტროლის სრულად აღდგენას, თუმცა მხოლოდ სტრატეგიის მიღება საკმარისი არ არის. 2011 წელს იგეგმება კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. მსგავსი სამსახურის ფუნქციური გაძლიერება ხელს შეუშლის კარტელური შეთანხმებების დადებას და ხელს შეუწყობს თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას, რასაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაზე.

and increased transparency become a considerable pre-requisite for the development of a competitive and free market in these regions.

Legislative changes, initiated by CSRDG, that help to ensure more effective functioning of the economic system or separate structures, also result in indirect economic impacts. For example:

- During the last three years, in cooperation with several other non-governmental organisations, CSRDG has been involved in a campaign aimed at proving the necessity of anti-monopoly regulations to the Georgian government. In cooperation with regional non-governmental organisations, a set of recommendations has been developed for the Georgian government and representatives of the European Commission, presenting arguments for the necessity of including these issues in the new National Indicative Program (NIP) of the European Neighbourhood Policy. (In more details see the Program Report, pp. 70). In December 2010, the Georgian government adopted a strategy on competition and free trade, that envisages a full restoration of anti-corruption control in Georgia. However, only adopting the strategy is insufficient. Making respective amendments in the legislation is planned for 2011. Functional strengthening of this type of service will help prevent making cartel deals and promote development of a free market, that will have a considerable impact on the sustainability of the country's economy.

# 6 საქმიანობის გარემოსდაცვითი მაჩვენებლები

# OUR ENVIRONMENTAL PERFORMANCE

EN 1 – მოხმარებული ნედლეული/მასალა წონის ან მოცულობის მითითებით

საქმიანობის პროცესში ჩვენს მიერ მოხმარებულ მასალას, ძირითადად, წარმოადგენს ქაღალდი და ქსეროასლების აპარატისა და პრინტერების კარტრიჯი.

2010 წელს მოხმარებული ქაღალდის რაოდენობა კგ-ში - 3302 კგ 940 გრ (ქაღალდი და ქაღალდისგან წარმოებულ საკანცელარიო პროდუქცია (კონვერტები, ბლოკნოტები და ა.შ.), ჩვენი პუბლიკაციებისთვის დახარჯული ქაღალდი 1357 კგ (აღნიშნული მონაცემები ეხება თბილისის ოფისს, თელავის ოფისისთვის წელს მონაცემების დათვლა ვერ მოხერხდა).

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია მოიხმარს მხოლოდ იმ ქაღალდს, რომელიც გარემოს დამზოგი ტექნოლოგიებით არის წარმოებული, კერძოდ, სერტიფიცირებულ ქაღალდს, რასაც აქვს ლოგო Paper From Farmed Trees Double A.

2010 წელს მოხმარებული კარტრიჯის რაოდენობა კგ-ში 8 კგ 400 გრ - შავთეთრი კარტრიჯი; 75 გრ - ფერადი კარტრიჯი (ქსეროასლების აპარატისა და პრინტერებისათვის) (თბილისის და თელავის ოფისები).

EN3 - ენერგიის პირდაპირი მოხმარება, დათიშული პირველადი ენერგორესურსების (ენერგიის პირველადი წყაროების) მიხედვით.

EN4 - ენერგიის არაპირდაპირი მოხმარება, დათიშული პირველადი ენერგორესურსების (ენერგიის პირველადი წყაროების) მიხედვით.

ჩვენი ორგანიზაციისათვის ენერგიის პირდაპირი მოხმარება მოიცავს ბუნებრივი აირისა და ბენზინის მოხმარებას, ხოლო არაპირდაპირი მოხმარება - ელექტროენერგიის

EN 1 – Materials used by weight or volume

Materials used during our activity are mainly paper and cartridges for printing and copying machines.

In 2010, we used 3302 kilograms and 940 grams of paper (including printing paper and paper materials like stationary, envelopes, notebooks, etc.). 1357 kilograms of paper was used for our publications (the data is for Tbilisi office only, and this year, no data could be collected on the issue for Telavi branch).

It should be noted that CSRDG uses only the type of paper produced by environmental friendly technologies. This is certified paper with a 'Paper From Farmed Trees Double A' logo on.

The amount of cartridges used in 2010 for copying machines and printers (in both Tbilisi and Telavi offices) was: black and white cartridge - 8.4 kgs; colored cartridge - 0.75 kgs.

EN3 – Direct energy consumption by primary energy source

EN4 – Indirect energy consumption by primary source

Our organization's direct energy consumption is natural gas and gasoline, and our indirect energy consumption is primarily electricity.

მოხმარებას.

ბუნებრივ აირს მოვიხმართ თბილისის ოფისში დამონტაჟებული გათბობის სისტემისათვის (ბუნებრივ აირს ორგანიზაცია შეისყიდის კომპანიისაგან შპს „ყაზტრანსგაზ - თბილისი“, რომელიც ქალაქ თბილისს გაზით ამარაგებს. იხ. http://www.tbilgazi.ge/).

ბენზინი ძირითადად მოიხმარება ორგანიზაციის კუთვნილი ავტომანქანებისათვის. ჩვენი ორგანიზაცია ფლობს სამ მსუბუქ ავტომანქანას ჩვენი მოხმარებული ბენზინის მცირე წილს შეადგენს თბილისის ოფისში გენერატორის საწვავად მოხმარებული ბენზინი, რომელიც ფუნქციონირებს სინათლის შეწყვეტის დროს ოფისის ელექტროენერგიით მოსამარაგებლად. ხოლო ელექტროენერგია თბილისისა და თელავის ოფისების აღჭურვილობის ფუნქციონირებას ხმარდება (კომპიუტერები, პრინტერები, ქსეროქსი, განათება და ა.შ.).

თბილისის ოფისში მოხმარებული ელექტროენერგიის 100%-ს ორგანიზაცია შეისყიდის ს/ს „თელასისგან“, რომელიც თბილისისთვის ელექტროენერგიის ერთადერთ დისტრიბუტორს წარმოადგენს (http://www.telasi.ge). არ არსებობს მონაცემები, რათა ზუსტად დაიყოს ჩვენ მიერ შესყიდული ელექტროენერგიის წყაროები განახლებად და არაგანახლებად ენერგორესურსებად. ზოგადად, წლის განმავლობაში საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის საშუალოდ 88% ჰიდროენერგიას წარმოადგენს (ანუ ენერგიის განახლებად წყაროებს იყენებს), ხოლო დანარჩენი - ბუნებრივი აირის წვის შედეგად მიიღება (ეს მონაცემი ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მოგვაწოდა საქართველო ენერგეტიკის სამინისტრომ). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესყიდული და მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალოდ 88% განახლებადი ენერგორესურსებისგან მიღებული ენერგიაა, ხოლო 12% - არაგანახლებადი რესურსებისგან (ბუნებრივი აირი).

2010 წელს ჩვენი ორგანიზაციის თბილისის ოფისის მიერ ***ენერგიის პირდაპირი და არაპირდაპირი მოხმარების ჯამური მაჩვენებლები*** წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

We consume natural gas for the heating system in our Tbilisi office (natural gas is purchased from KazTransGaz-Tbilisi which is the city supplier. See http://www.tbilgazi.ge/).

Gasoline is primarily consumed by vehicles owned by the organization. We own three sedan type vehicles. In addition, a small amount of gasoline is used to operate an electric generator in our Tbilisi office, which provides power to the office in cases of electricity power cuts.

Electricity is consumed in the Tbilisi and Telavi offices by various appliances – e.g. computers, printers, copiers, lighting, etc.

All electricity (100%) consumed in Tbilisi office is purchased from Telasi Ltd – the sole distributor of electricity in Tbilisi (http://www.telasi.ge). Unfortunately, due to the inaccessibility of information, it is impossible to accurately divide the sources of electric supply into renewable and non-renewable resources. About 88% of the energy generated annually in Georgia is produced by hydro-power (i.e. by a renewable energy source) and the remaining 12% from the combustion of natural gas (at our request, this data was provided to us by the Ministry of Energy of Georgia). Consequently, about 88% of energy purchased by us is from renewable sources and the remaining 12% comes from non-renewable sources (natural gas).

The table below presents cumulative ***data of direct and indirect energy consumption by*** Tbilisi office of our organization in 2010:

| ენერგიის პირდაპირი მოხმარება<br>**Direct energy consumption** | | გიგა-ჯოულებში<br>in giga-joules |
|---|---|---|
| ბუნებრივი აირი<br>Natural gas | 6533.98 მ³/ m³ | 254.891 |
| ბენზინი<br>Gasoline | 7390 ლიტრი/ L | 331.072 |
| **ენერგიის არაპირდაპირი მოხმარება**<br>**Indirect energy consumption** | | |
| ელექტროენერგია (სულ)<br>Electricity (total) | 12 961.56 კვტ.სთ/ kwt.hr | 46.6616 |
| განახლებადი წყაროებიდან - 88%<br>From renewable sources -88% | 11406.17 კვტ.სთ/ kwt.hr. | |
| არაგანახლებადი წყარებიდან - 12%<br>From not renewable sources – 12% | 1555.387 კვტ.სთ/ kwt.hr. | |
| ენერგიის მოხმარების ჯამური მაჩვენებელი<br>Total energy consumption | | 632. 624 |

* მოხმარებული ბუნებრივი აირის, ბენზინისა და ელექტროენერგიის ოდენობის ჯოულებში გადასაყვანად კოეფიციენტები მითითებულია GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებებში", გვ. 8, კერძოდ: 1000 მ3 ბუნებრივი აირი - 39,01 გჯ; 1 ტონა ბენზინი - 44,80 გჯ(1 ლიტრი ბენზინის საშუალო სიმკვრივე - 0,75 კგ); 1 კვტ/სთ ელექტროენერგია - 0,0036 გჯ.

რაც შეეხება მოხმარებული ელექტროენერგიის საწარმოებლად დახარჯული საწვავის რაოდენობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ თბილისის ოფისში მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალოდ 12%, ანუ 1555.387 კვტ/სთ იწარმოება არაგანახლებადი რესურსებისგან, კერძოდ კი, ბუნებრივი აირის წვის შედეგად. ამ ოდენობის ელექტროენერგიის საწარმოებლად დახარჯული ბუნებრივი აირის რაოდენობა შეადგენს 466.6161 მ3 ანუ 18,2027 გჯ.

* დაანგარიშებისათვის გამოვიყენეთ შემდეგი კოეფიციენტები: 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის საწარმოებლად საშუალოდ მოიხმარება 0.3 მ3 ბუნებრივი აირი (ეს კოეფიციენტი ეფუძნება ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას); 1000 მ3 ბუნებრივი აირი - 39,01 გჯ;

* Coefficients for transforming the volumes of consumed natural gas, gasoline and electricity into the Joules are given in the GRI Reporting Guidelines, p. 8. In particular, 1000 m3 natural gas - 39,01 gj; 1 ton gasoline - 44,80 gj (average density of 1 Liter of gasoline - 0,75 kg); 1 kwt.hr. electricity - 0,0036 gj.

As for the amount of fuel burnt in generating the electricity consumed by our Tbilisi office, as already mentioned, about 12%, or 1555.387 kwt/hr, is produced from not-renewable sources, in particular, as a result of natural gas combustion. The amount of natural gas burnt to generate this much electricity equals 466.6161 cubic meters, or 18,2027 gj.

* For the calculations, the following coefficients were used: approximately 0.3 cubic meters of natural gas is needed to generate 1 kwt/hr electricity. (The coefficient is provided by the Ministry of Energy of Georgia); 1000 cubic meters of natural gas = 39.01 gj.

### EN8 - წყლის მთლიანი ამოღება, დათიშული წყლის წყაროების მიხედვით

ჩვენი ორგანიზაციის მიერ წყლის მოხმარება საყოფაცხოვრებო მიზნებით მოხმარებული წყლით (სასმელი წყლით) შემოიფარგლება.

***2010 წელს ორგანიზაციის თბილისის ოფისში მოხმარებული წყლის მოცულობა შეადგენდა 457.94 მ3-ს.***

მონაცემები დავიანგარიშეთ წყლის მოხმარების ინდივიდუალური მრიცხველის მაჩვენებლების მიხედვით.

მოხმარებულ წყალს ორგანიზაცია მთლიანად იღებს თბილისის წყალმომარაგების სისტემიდან (თბილისსა და მის შემოგარენს სასმელ წყალს აწვდის კომპანია ჯორჯიან უოტერ ანდ პაუერ. იხ. http://www.georgianwater.com).

რაც შეეხება მოხმარებული წყლის წყაროებს, როგორც ცნობილია, თბილისი სასმელი წყლით მარაგდება მდინარეებიდან - იორი (თბილისის ზღვის საშუალებით) და არაგვი (ჟინვალის წყალსაცავის საშუალებით).

ჩვენს მიერ მოხმარებული წყალი მუნიციპალური საკანალიზაციო სისტემით გადის ორგანიზაციიდან.

### EN16 – სათბურის აირების პირდაპირი და არაპირდაპირი გაფრქვევის მთლიანი ოდენობა, მასის მითითებით

ორგანიზაციის საქმიანობის შედეგად სათბურის აირების (ნახშირორჟანგის) პირდაპირი გაფრქვევის წყაროს წარმოადგენს ბუნებრივი აირის წვა თბილისის ოფისის გათბობის სისტემისათვის წყლის გაცხელების მიზნით, აგრეთვე ორგანიზაციის მიერ მოხმარებული ბენზინის წვის შედეგად წარმოქმნილი სათბურის აირების გაფრქვევა.

* ოფისის გათბობის სისტემა ავტონომიურია, ცხელი წყლის ბოილერი ორგანიზაციის ტერიტორიაზეა დამონტაჟებული და მისთვის ბუნებრივი აირის წვა ორგანიზაციის ფარგლებში ხდება. ხოლო ბენზინს მოვიხმართ ორგანიზაციის კუთვნილი ავტომანქანებისა და ორგანიზაციაში მოთავსებული ელექტროგენერატორისათვის. ამდენად, წვის ამ პროცესების შედეგად

### EN8 – Total water withdrawal by source

Water consumption in our organization is limited to drinking water.

***457.94 cubic meters of water was consumed in our Tbilisi office in 2010.***

The data has been calculated from the individual water meter reading.

All water consumed by the Center is supplied from Tbilisi's water supply system (Georgian Water and Powers provides water to Tbilisi and its suburbs. See http://www.georgianwater.com ).

As for the source of the water, it is supplied to Tbilisi from the rivers Lori (through the so called Tbilisi Sea) and Aragvi (through the Zhinvali reservoir).

Water consumed by us is discharged through the municipal sewage system.

### EN16 – Total direct and indirect greenhouse gas emissions by weight

Direct greenhouse gas emissions related to the activity of our organization are created from burning natural gas to operate the Tbilisi office's heating system, and burning gasoline to power our vehicles and the electric generator in the office. Greenhouse gas emissions created from these processes are direct emissions.

* The office heating system is autonomous. The hot water boiler is installed on the organisation's premises and natural gas supplying the boiler is being burnt on our territory. Petrol is used for the vehicles owned by CSRDG and the power generator installed on our territory. Hence, greenhouse gasses resulted from these burning are direct emissions.

წარმოქმნილი სათბურის აირები პირდაპირ გაფრქვევას წარმოადგენს.

ჩვენს მიერ 2010 წელს გათბობის სისტემის ფუნქციონირებისათვის მოხმარებული ბუნებრივი აირის მოცულობა წარმოადგენდა 6533.98 მ$^3$ (იხ. ზემოთ EN3; EN 4). ბუნებრივი აირის აღნიშნული მოცულობის წვის შედეგად 2010 წელს წარმოქმნილი სათბურის აირის პირდაპირი გაფრქვევები შეადგენდა 8.96 ტონა $CO_2$.

* სათბურის აირების ოდენობის დაანგარიშებისას ვეყრდნობოდით შემდეგ მეთოდს: მოხმარებული აირის მოცულობის კუბური მეტრებიდან კილოგრამებში გადაყვანის კოეფიციენტია 0,7 (ანუ 1000 მ$^3$ ბუნებრივი აირი = 0,7 ტონას); 1 ტონა ბუნებრივი აირის დაწვით, სტანდარტული კოეფიციენტის თანახმად, წარმოიქმნება 1,96 ტონა $CO_2$.

რაც შეეხება ბენზინის წვის შედეგად წარმოქმნილ სათბურის აირების გაფრქვევას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში თბილისის ოფისის მიერ მოხმარებული ბენზინის ოდენობა 2010 წელს წარმოადგენდა 7390 ლირტს, ანუ 5542,5 კგ-ს. აღნიშნული რაოდენობის ბენზინის წვის შედეგად წარმოქმნილი სათბურის აირების ($CO_2$) გაფრქვევის მოცულობა 2010 წელს შეადგენდა 17,73 ტონას.

* დაანგარიშებისას გამოვიყენეთ შემდეგი სტანდარტული კოეფიციენტები: 1 ლიტრი ბენზინი - 0,75 კგ; 1 ტონა ბენზინის დაწვისას წარმოიქმნება 3,2 ტონა $CO_2$.

ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობით წარმოქმნილი არაპირდაპირი გაფრქვევა კი მოიცავს ჩვენ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის წარმოებისას წარმოქმნილ გაფრქვევის.

ჩვენი ორგანიზაციის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის წარმოების პროცესში წარმოქმნილი სათბურის აირის გაფრქვევის დაანგარიშება მხოლოდ დაახლოებით ხერხდება, სტანდარტულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ორგანიზაციის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალოდ 12% მომდინარეობს ენ-

The amount of natural gas used by CSRDG in 2010 for heating purposes was equal to 6533.98 cubic meters (see above - EN3; EN 4). The amount of greenhouse gas emitted was equal to 8.96 tons of $CO_2$.

* The following conversion factors have been used in calculating the $CO_2$ emissions: the coefficient for converting one cubic meter of consumed natural gas into kilograms equals 0.7 (or, 1000 m3 of natural gas = 0.7 tons). According to the standard coefficient, 1.96 tons of $CO^2$ is produced by burning 1 ton of natural gas.

As for greenhouse gas emissions from gasoline, as already mentioned above, 7390 liters, or 5542,5 kgs of gasoline were consumed by the organization for its operational purposes in 2010. The amount of greenhouse gas emitted ($CO_2$) equaled 17,73 tons.

* The following standard coefficient was used for the calculations: 1 liter gasoline = 0.75 kgs; CO2 produced as a result of burning 1 ton of gasoline = 3.2 tons.

In addition to direct $CO_2$ emissions, CSRDG operations generate indirect $CO_2$ emissions produced from purchased electricity.

The amount of greenhouse gas emission produced as a result of generating electricity used by our organization can only be calculated approximately, by applying standard coefficients. As mentioned above, about 12% of our electricity comes from non-renewable energy sources, e.g. generated using natural gas. In 2010, the amount of electricity used in our Tbilisi office equaled 15555,387kwt/hr, and 466,6161 m3 of natural gas was needed to generate it (see EN3; EN 4). The amount of greenhouse gas produced as a result of burning 466,6161 m3 of natural

ერგიის არაგანახლებადი წყაროებიდან, ანუ ბუნებრივი აირის ტრანსფორმირების გზით მიიღება, რაც 2010 წელს თბილისის ოფისისათვის შეადგენდა 15555,387 კვტ/სთ, ხოლო ამ ოდენობის ელექტროენერგიის წარმოებისათვის დახარჯული ბუნებრივი აირის ოდენობა 466,6161 მ$^3$ (იხ. EN3; EN 4). 466,6161 მ3 ბუნებრივი აირის წვის შედეგად წარმოქმნილი სათბურის აირების ოდენობა დაახლოებით შეადგენს 0.64 ტონა $CO^2$.

* დაანგარიშებისას გამოვიყენეთ შემდეგი სტანდარტული კოეფიციენტები: 1000 მ3 ბუნებრივი აირი = 0,7 ტონას; 1 ტონა ბუნებრივი აირის დაწვით წარმოიქმნება - 1,96 ტონა $CO^2$.

*შესაბამისად, ჩვენი ორგანიზაციის თბილისის ოფისის საქმიანობის შედეგად 2010 წელს წარმოქმნილი სათბურის აირების პირდაპირი და არაპირდაპირი გაფრქვევის ჯამური ოდენობა ცხრილურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:*

gas equals 0.64 tons of $CO_2$.

* The following standard coefficient has been used for the calculations: 1000 m3 of natural gas = 0.7 tons; the amount of greenhouse gas produced by burning 1 ton of natural gas = 1.96 $CO_2$.

*Accordingly, cumulative amount of direct and indirect greenhouse gas emissions produced as a result of our organization's activity in 2010 can be summarized in the following table:*

| **პირდაპირი გაფრქვევა**<br>**Direct GHG emissions** | $CO_2$ ოდენობა ტონებში<br>$CO_2$ amount in tones |
|---|---|
| ბუნებრივი აირის წვა გათბობის სისტემისათვის<br>Burning of natural gas for the heating system | 8,96 |
| ბენზინის წვა ორგანიზაციების ავტომანქანებისა და ელექტროგენერატორის ფუნქციონირებისთვის<br>Burning of gasoline for the company's vehicles and electricity generator | 17,73 |
| **არაპირდაპირი გაფრქვევა**<br>**Indirect GHG emissions** | |
| ელექტროენერგიის წარმოებისას წარმოქმნილი გაფრქვევა<br>Emissions produced during electricity generation | 0.64 |
| **პირდაპირი და არაპირდაპირი გაფრქვევის მთლიანი ოდენობა**<br>**Total amount of direct and indirect emissions** | 27,33 |

EN22 – ნარჩენების მთლიანი მასა, დათიშული ნარჩენების ტიპისა და გაუვნებელყოფის მეთოდების მიხედვით

ჩვენი ორგანიზაციის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მნიშვნელოვან წილს ქაღალდის ნარჩენები წარმოადგენს. ჩვენ თითქმის სრუ-

EN22 – Total weight of waste by type and disposal method

A major part of the waste produced by our organization is waste paper. We recycle almost all of the paper material used in our Tbilisi office. For this purpose, special bins have been

ლად ვახდენთ ჩვენს მიერ თბილისის ოფისში მოხმარებული ქაღალდის რეციკლირებას. ამ მიზნით ყველა სართულზე დგას სპეციალური ყუთები, სადაც გროვდება ოფისში მოხმარებული ქაღალდი. გარკვეული პერიოდულობით ამ ქაღალდს ვაბარებთ „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს“ (CENN), რომელიც მის მიერ განხორციელებული „მწვანე ოფისის“ პროგრამის ფარგლებში აგროვებს გამოყენებულ ქაღალდს და აბარებს ქაღალდის ქარხანას რეციკლირების მიზნით (იხ. http://greenoffice.cenn.org/). 2010 წელს ჩვენმა ორგანიზაციამ რეციკლირების მიზნით „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს“ ჩააბარა 210 კგ მოხმარებული ქაღალდის ნარჩენი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ხერხდება თელავის ოფისში მოხმარებული ქაღალდის რეციკლირება.

2010 წელს თბილისის ოფისში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მთლიანი მოცულობა საშუალოდ წარმოადგენდა 12 მ³ (მონაცემი დაანგარიშდა ოფისში განთავსებული სანაგვე კონტეინერების რაოდენობის, მოცულობისა და ნარჩენების გატანის სიხშირის მიხედვით). სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეგრეგაციის ან რეციკლირების პრაქტიკა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაუვნებელყოფის ერთადერთ მეთოდს წარმოადგენს დასუფთავების მუნიციპალური სისტემის მიერ მათი ნაგავსაყრელზე გან-

put on every floor in our office to collect waste paper, which is then regularly delivered to the Caucasus Environmental NGO Network (CENN). Within its Green Office program, CENN collects used paper and delivers it to a paper factory for recycling (see http://greenoffice.cenn.org/). In 2010 our organization delivered 210 kgs of used paper to the Caucasus Environmental NGO Network for recycling.

Unfortunately, we do not have a system in place for recycling paper used in our Telavi office.

As for household waste from the office operation, the total volume of such waste produced in our Tbilisi office in 2010 was equal to approximately 12 cubic meters. (This was calculated by the volume of material in the office bins and the frequency of waste discharge). Unfortunately, there is no system of household waste segregation or recycling in Georgia. The only method of disposing household waste is for the municipal cleaning service to take it to landfills.

7

# საქმიანობის სოციალური მაჩვენებლები

# OUR SOCIAL PERFORMANCE

თავსება.

## შრომითი საქმიანობა და ღირსეული შრომა

LA1 - ორგანიზაციის მთლიანი შრომითი რესურსები, დათიშული დასაქმების ტიპების, შრომითი ხელშეკრულების ტიპებისა და კომპანიის საქმიანობის რეგიონების მიხედვით

2010 წელს ორგანიზაციაში 28 თანამშრომელი ირიცხებოდა. ამათგან 25 თბილისის ოფისის თანამშრომელია და 3 - თელავის ოფისისა.

ორგანიზაციის თანამშრომელთაგან 22 ადამიანი (78.5%) სრულ განაკვეთზეა დასაქმებული, ხოლო 6 ადამიანი (21.4%) - ნახევარ განაკვეთზე. ამათგან თელავის ოფისის სამივე თანამშრომელი მუშაობს სრულ შტატზე.

როგორც თბილისის, ისე თელავის ოფისის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია წერილობითი ხელშეკრულება ფიქსირებული ვადით.

## LABOUR PRACTICES AND DECENT WORK

LA1 – Total workforce by employment type, employment contract, and region

The number of full-time employees at the end of 2010 was 28. Out of these, 25 are employed in the Tbilisi office and 3 in the Telavi office.

22 of the staff (78.5%) are full-time employees, and 6 (21.4%) are part-time. All three employees in the Telavi office work full-time.

Fixed term written contracts are signed with the employees in both the Tbilisi and Telavi offices.

**ორგანიზაციის თანამშრომელთა განაწილება კატეგორიების მიხედვით (მითითებულია თანამშრომელთა რაოდენობა)**

**The below chart presents the employee breakdown by the categories (Number of employees is indicated)**



LA2 - თანამშრომელთა დენადობის აბსოლუტური და პროცენტული მაჩვენებელი, დათიშული სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით.

*2010 წლისათვის, ამ წელს არ შემოგვმატებია და არ დაგვკლებია არც ერთი თანამშრომელი.*

LA2 – Total number and rate of employee turnover by age group, gender, and region

*There was no employee turnover recorded for 2010.*

**ორგანიზაციაში მუშაობის ხანგრძლივობა**

Period of employment in CSRDG




LA3 - სრულ შტატზე მომუშავე თანამშრომლებისათვის დაწესებული ფინანსური დახმარება და შეღავათები, რაც არ ვრცელდება დროებით ან ნახევარ შტატზე მომუშავე თანამშრომლებზე, დათიშული საქმიანობის ძირითადი ტიპების მიხედვით

ჩვენი სახელფასო პოლიტიკის მიზანია, შესთავაზოს თანამშრომლებს საკუთარი შრომის ღირსეული და სამართლიანი ანაზღაურება.

ფიქსირებული ხელფასების გარდა, ორგანიზაცია თანამშრომლებს სთავაზობს გარკვეულ შეღავათებს, რაც აგრეთვე მიზნად ისახავს თანამშრომელთა სტიმულირებას და ჯანსაღი, ღირსეული სამუშაო პირობების უზრუნველყოფას, მაგალითად:

- ჯანმრთელობის დაზღვევის ღირებულების გარკვეული ნაწილის ანაზღაურება (რაც ფიქსირებულ თანხას წარმოადგენს და

LA3 – Benefits provided to full-time employees that are not provided to temporary or part-time employees, by major operations

The goal of our wage policy is to offer the employees dignified and fair compensation of their work.

As well as fixed salaries, CSRDG also provides its employees with certain additional benefits aimed at maintaining motivated staff and offering them healthy and pleasant working conditions. For example:

- Partial coverage of health insurance (which is a fixed amount and equal for all employees);

თანაბარია ყველა თანამშრომლისათვის);

- დეკრეტული შვებულების ანაზღაურება ხელფასის სრული ოდენობით 4 თვის განმავლობაში (რაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადას წარმოადგენს, თუმცა შვებულების ანაზღაურება ორგანიზაციის მხრიდან კანონმდებლობით არ მოითხოვება);
- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში გადახდილი დამატებითი ანაზღაურება (აღნიშნული დახმარება გათვალისწინებულია ორგანიზაციის პოლიტიკით, საბედნიეროდ, ჩვენი არსებობის მანძილზე არ გვქონია მსგავსი შემთხვევა);
- ოჯახის წევრის დაკარგვის შემთხვევაში გაწეული ფინანსური დახმარება, ასევე დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება და დასვენების დღეები;
- ფულადი დახმარება დადგენილი ლიმიტის ფარგლებში შვილის შეძენის, ქორწინების, ახალ ბინაში გადასვლისა და ა.შ. შემთხვევაში;
- საახალწლო პრემია ნახევარი ან ერთი თვის ხელფასის ოდენობით;
- წამახალისებელი პრემიები გამორჩეულად კარგი მუშაობისათვის (რაც ინდივიდუალურად განიხილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში).

აღნიშნული შეღავათები ვრცელდება ორგანიზაციის სრულ შტატზე დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე. რაც შეეხება ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომლებს (რომელთა რაოდენობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 6 ადამიანს, ანუ ორგანიზაციის მთლიანი შრომითი რესურსის 21.4%-ია), ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათებიდან ორგანიზაცია მათ მხოლოდ ზოგიერთ თანამშრომელს სთავაზობს, რაც განსხვავდება ცალკეული თანამშრომლისათვის და პერსონალური კონტრაქტით რეგულირება (ასე მაგალითად, საახალწლო პრემია ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე ვრცელდება).

LA10 – წელიწადში საშუალოდ რამდენი საათი იხარჯება ერთი თანამშრომლის სწავლებაზე/ტრენინგებზე, თანამშრომელთა კატეგორიების მიხედვით

- Four months paid maternity leave (the term's duration is set by the Georgian legislation. However, it does not require employers to compensate the leave);
- Additional compensation is paid to employees if injured when performing their work duties (this benefit is outlined by our policy). However, luckily, we have never had any such accident;
- Financial assistance in case of a family member's death. Also, additional paid leave and vacation days;
- Monetary assistance within defined limits in cases of child birth, marriage, moving to a new apartment etc;
- New Year bonus equal to half or one month's salary;
- Incentive bonuses for good work performance (subject to individual consideration of every specific case).

The above mentioned benefits apply to all full-time employees. Part-time workers (6 people, or 21.4% of the staff) have only some of these benefits, different for each worker and regulated by individual work contracts. (e.g., all part-time employees receive New Year bonuses).

LA10 – Average hours of training per year per employee by employee category

In 2010, a total of 704 work-hours (i.e. an average of 25,1 hours per employee) were spent on training purposes.

2010 წელს ორგანიზაციის თანამშრომელთათვის ჩატარებული ტრენინგებისა და სწავლების ჯამური ხანგრძლივობა შეადგენდა 704 საათს, რაც თითო თანამშრომლისათვის საშუალოდ 25,1 საათს შეადგენს.

თანამშრომელთა კატეგორიების მიხედვით სწავლებისა და ტრენინგების ხანგრძლივობა 2010 წელს ასე გადანაწილდა:

Below is a breakdown by the raining types and the trainings' duration of the various categories of employees during 2010:

| თანამშრომელთა კატეგორიები Employee categories | თანამშრომელთა რაოდენობა აღნიშნულ კატეგორიაში Number of employees in the category | სწავლების ჯამური ხანგრძლივობა საათებში Total duration of training in hrs. | სწავლების საშუალო ხანგრძლივობა ერთი თანამშრომლისთვის (საათებში) Average training hours per employee in hrs. |
|---|---|---|---|
| მართვის ზედა რგოლი Top management | 2 | 32 | 16 |
| მართვის შუა რგოლი Mid-level management | 6 | 360 | 60 |
| პროგრამის უფროსი სპეციალისტი Senior program officer | 6 | 128 | 21.3 |
| პროგრამის ასისტენტი Junior program officer | 7 | 184 | 26.3 |
| ტექნიკური პერსონალი Support staff | 7 | - | - |
| სულ თანამშრომელთა რაოდენობა Total number of employees | 28 | 704 | 25,1 |

LA12 – იმ თანამშრომლების პროცენტული წილი, რომლებიც რეგულარულად იღებენ შეფასებას საკუთარი მუშაობის ეფექტურობისა და პროფესიული განვითარების შესახებ

ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს ყოველ 6 თვეში ერთხელ უტარდება განხორციელებული სამუშაოს, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შუალედური შეფასება, ხოლო ყოველი წლის ბოლოს - შემაჯამებელი შეფასება. თითოეული თანამშრომლის საქმიანობის შეფასებას ატარებს მისი უშუალო ხელმძღვანელი, წინასწარ შედგენილი კითხ-

LA12 – Percentage of employees receiving regular performance and career development reviews

Every six months all employees undergo mid-term reviews of their performed work, qualification and capacity, and, at the end of the year, they have a final evaluation. Each employee is evaluated by her/his immediate supervisor based on a pre-designed questionnaire and a face-to-face meeting (the questionnaire is

ვარისა და პირადი შეხვედრის საფუძველზე (კითხვარი დგება ცალკეული თანამდებობისათვის შრომის აღწერილობაში დაფიქსირებული პასუხისმგებლობა-მოვალეობების მიხედვით). შეფასების შეხვედრის შემდეგ იწერება შეხვედრის მოკლე შემაჯამებელი ანგარიში, რასაც ხელმძღვანელი აცნობს თანამშრომელს.

2010 წელს ჩვენი ორგანიზაციის ყველა თანამშრომელმა (ანუ მთლიანი შრომითი რესურსების 100%-მა) მიიღო საკუთარი საქმიანობის ოფიციალური შეფასება.

LA13 – მმართველობითი ორგანოების შემადგენლობისა და სხვადასხვა კატეგორიების თანამშრომელთა დათიშვა გენდერული, ასაკობრივი, უმცირესობის ჯგუფებისადმი მიკუთვნების და მრავალფეროვნების სხვა მაჩვენებლების მიხედვით

„ცენტრი" დასაქმების, პროფესიული განვითარებისა და წინსვლის თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს ყველა თანამშრომელს, განურჩევლად სქესის, ასაკის, ეროვნების, აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულებების თუ სხვა პიროვნული მახასიათებლებისა.

designed for the various positions, in line with the duties and obligations outlined in their job descriptions). Following the evaluation meeting, a brief summary report is written and is afterwards presented to the employee by her/his supervisor.

In 2010, all our employees (100% of all human resources) received their official work performance evaluation report

LA13 – Composition of governance bodies and breakdown of employees per category according to gender, age group, minority group membership, and other indicators of diversity.

CSRDG gives equal employment, professional development and advancement opportunities to all its employees, regardless of their gender, age, ethnicity, religion, political views, or other personal features.

**თანამშრომელთა გენდერული დათიშვა**
**Breackdown of employees by gender**



## თანამშრომელთა ასაკობრივი დათიშვა
## Breakdown of the employees by age




## თანამშრომელთა გენდერული დათიშვა კატეგორიების მიხედვით
## Employee gender breakdown, by categories

| თანამშრომელთა კატეგორიები Category | ქალი/ Female | | კაცი/Male | |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა/ №of empl. | % | რაოდენობა №of empl. | % |
| მართვის ზედა რგოლი Top management | 2 | 100 | 0 | 0 |
| მართვის შუა რგოლი Middle level management | 4 | 67 | 2 | 33 |
| პროგრამის უფროსი სპეციალისტი Senior program officer | 3 | 50 | 3 | 50 |
| პროგრამის ასისტენტი Junior program officer | 5 | 71 | 2 | 29 |
| ტექნიკური პერსონალი Support staff | 2 | 29 | 5 | 71 |







## თანამშრომლები

ეკა ურუშაძე, ეკა დათუაშვილი, ნინო ვასაძე, ნანა ქარსელაძე, ქეთი კაკაბაძე, ზვიად მოდებაძე, დათო ჩიკვაიძე, მაკა ასამბაძე, შოთა მურღულია, ელისო ღარიბაშვილი, ირინა ბრეგვაძე, ანა ნადირაშვილი, ლელა ხოფერია, გიგა გველესიანი, თამუნა ტატიშვილი, გია ტოკლიკიშვილი, ლიკა თოდუა, ზურა ტატანაშვილი, მიშა გოგიჩაიშვილი, თამარ გობეჯიშვილი, კახა ჯამბურია, ლევან როსტომაშვილი, ნონა ალადაშვილი, ელენე ჩხეიძე, ზურა კორაშვილი.



















# PERSONNEL

Eka Urushadze, Eka Datuashvili, Nino Vasadze, Keti Kakabadze, Nana Karseladze, Zviad Modebadze, Dato Chikvaidze, Maka Asambadze, Shota Murghulia, Eliso Gharibashvili, Irina Bregvadze, Ana Nadirashvili, Lela Khoperia, Giga Gvelesiani, Tamuna Tatishvili, Gia Toklikishvili; Lia Todua; Zura Tatanashvili; Misha Gogichaishvili; Tamar Gobejishvili, Kakha Jamburia, Levan Rostomashvili, Nona Aladashvili, Elene Chkheidze, Zura Korasvhili.













## თანამშრომელთა ასაკობრივი დათიშვა კატეგორიების მიხედვით
## Employee age breakdown, by categories

| თანამშრომელთა კატეგორიები Category | სულ რაოდე-ნობა Total number | 25-35 წ. / yr. | 35-45 წ. / yr. | 45-55 წ. / yr. | 55-65 წ. / yr. | 65-70 წ. / yr. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მართვის ზედა რგოლი Top management | 2 | | 1 | | | 1 |
| მართვის შუა რგოლი Middle level management | 6 | 2 | 4 | | | |
| პროგრამის უფროსი სპეციალისტი Senior program officer | 6 | 4 | 1 | 1 | | |
| პროგრამის ასისტენტი Junior program officer | 7 | 5 | 1 | | 1 | |
| ტექნიკური პერსონალი Support staff | 7 | 2 | 3 | 2 | | |

რაც შეეხება ორგანიზაციის გამგეობას, რომელიც მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს, იგი შედგება 5 წევრისაგან, მის 40%-ს ქალები შეადგენენ, 60%-ს - მამაკაცები, ასაკობრივ ჯგუფში 30-დან 45 წლამდე.

### LA14 - მამაკაცთა და ქალთა ძირითადი (საბაზო) ხელფასების შეფარდება, თანამშრომელთა კატეგორიების მიხედვით

გენდერული თანასწორობის მიდგომა ჩვენს სახელფასო პოლიტიკაზეც აისახება. ჩვენ არ განვასხვავებთ თანამშრომლებისათვის გადახდილ ხელფასებს სქესის მიხედვით. ორგანიზაციას დადგენილი აქვს თითოეული კატეგორიისათვის ძირითადი საბაზისო ხელფასის მინიმუმი და მაქსიმუმი, რაც ერთნაირია ქალი და მამაკაცი თანამშრომლებისათვის. თითოეული კატეგორიის შიგნით შესაბამისი ხელფასის განაკვეთი დგინდება სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელფასო ბაზრის შესწავლის შემდეგ. კატეგორიის შიგნით ხელფასებს შორის დიფერენცირების კრიტერიუმი გახლავთ: თანამდებობის შესაბამისი პასუხისმგებლობის დონე; კვალიფიკაცია, სტაჟი.

CSRDG Board, the supreme managing body of the organization, has five members out of which, 40% are females and 60% - males. Board members' ages range from 30 to 45.

### LA14 – Ratio of basic salary of men to women by employee category

The gender equality issue is also reflected on our remuneration policy. We do not discriminate between genders with respect to basic salary. For each category, the organization has minimum and maximum limits for basic salaries, without differentiating between female and male employees. Salary ranges in each category are determined on the basis of the Compensation Market Survey in various civil organizations. Salary differentiation criteria between the categories are: level of responsibility for the position; qualification; work experience.

2010 წელს მამაკაცთა და ქალთა ძირითადი საბაზო ხელფასები თანამშრომელთა კატ-ეგორიების მიხედვით

**Basic salaries for males and females, by employee categories 2010**

| თანამშრომელთა კატ-ეგორიები Category | თანამშრ. რაოდენობა Number of employees | | საშუალო წლიური საბაზო ხელფასი (ლარებში) Average annual basic salary (in-GEL) | 2010 წელს გაცემული საშუალო წლიური ხელ-ფასი (ლარებში) Average annual salary in 2010 (in GEL) | |
|---|---|---|---|---|---|
| | ქალი Female | კაცი Male | | ქალი Female | კაცი Male |
| მართვის ზედა რგოლი Top management | 2 | 0 | 18 480 | 28 825 | |
| მართვის შუა რგოლი Middle level management | 4 | 2 | 17 160 | 25 580 | 26 022 |
| პროგრამის უფროსი სპეციალისტი Senior program officer | 3 | 3 | 13 200 | 16 632 | 17 801 |
| პროგრამის ასისტენტი Junior program officer | 5 | 2 | 7 392 | 10 840 | 9 700 |
| ტექნიკური პერსონალი Support staff | 2 | 5 | 5 280 | 8 350 | 8 470 |

## საზოგადოება

SO1 - ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებები და პროგრამები, რომელთა მიზანია საზოგადოებაზე/თემზე ორგანიზაციის საქმიანობით მოხდენილი ზეგავლენის შეფასება და მართვა, ამ ქმედებებისა და პროგრამების ხასიათი, მოქმედების სფერო და ეფექტიანობა მათი დაწყების, მიმდინარეობისა და დასრულების ეტაპებზე

პროგრამული საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად შემუშავებული პროგრამული შეფასების ინდიკატორული სისტემის მიხედვით 2010 წელს მოხდა ინფორმაციის შეგროვება. აღნიშნული ინფორმაციის დაჯამების და ანალიზის შედეგები გათვალისწინებულია 2011 წლის ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვისას.

## SOCIAL IMPACTS

SO1 – Nature, scope, and effectiveness of any programs and practices that assess and manage the impacts of operations on communities, including entering, operating, and exiting.

In 2010, information was collected in accordance with the system of programme evaluation indicators developed for evaluating the programme effectiveness. Results of aggregating and analysing the collected information will be considered in planning the organisation's work for 2011.

Besides, within the Community Development Programme, public opinion survey was conducted in villages of the 19 target municipalities, aimed at measuring the level of sat-

ასევე, თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში 19 სამიზნე სოფელში ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა სათემო ცენტრების მიერ განხორციელებული საქმიანობების (მ.შ. განხორციელებული პროექტების) შედეგებით კმაყოფილების დონის დასადგენად. (იხილეთ პროგრამული ანგარიში, გვ. 41) მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდა პროგრამით მოხდენილი ზეგავლენის შეფასება. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა პროგრამის 2011 წლის საქმიანობა.

გარდა ამისა ორგანიზაცია პერიოდულად გარე ექსპერტების დახმარებით ატარებს ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების რეგიონულ და ეროვნულ დონეზე მოხდენილი ზეგავლენის შეფასებას. ასე მაგალითად, 2010 წელს მოწვეულმა ექსპერტებმა, დუშან ონდრუშეკმა („პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისათვის – სლოვაკეთი") და ნინო ჯავახიშვილმა (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ჩაატარეს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ 2008-2010 წლებში განხორციელებული საქმიანობის ეფექტურობის და ქმედითობის შეფასება. ამ პროცესში ექსპერტებმა შეისწავლეს ორგანიზაციის სტრატეგიული დოკუმენტი (ცენტრის სამწლიანი 2008-2010 წ.წ. პროგრამა) და მასში მოცემული მიზნები და ამოცანები. რის საფუძველზეც ჩაატარეს ჩაღრმავებული ინტერვიუები და ორი ფოკუს ჯგუფი ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებით მოსარგებლე პრაქტიკულად ყველა ჯგუფთან, ესენია: ექსპერტები, ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციები, ცენტრის ბენეფიციარები და სერვისის მიმღები ორგანიზაციები, დონორები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მედიისა და საჯარო უწყებების წარმომადგენლები, ცენტრის თანამშრომლები, გამგეობის წევრები.

შედეგად მოწვეულმა ექსპერტებმა ცენტრის მიერ 2008-2010 წლებში განხორციელებული საქმიანობის ეფექტურობა დადებითად შეაფასეს (იხ. პროგრამული ანგარიში, გვ. 29).

SO5 - ორგანიზაციის პოზიცია სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებზე, აგრეთვე მონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და ლობირების პროცესში

isfaction with the activities implemented by the community centres (including the implemented projects). (See Program Report, pp 41). Program impact evaluation was prepared based on the obtained results. Activities to be implemented in 2011 were prepared based on the evaluation results.

Besides, with the assistance from external experts, the organisation occasionally carries out regional and national impact evaluations of the implemented programmes. For example, in 2010, invited experts - Dusan Ondrusek (Partners for Democracy Changes - Slovakia)and Nino Javakhishvili (Faculty of Social and Political Sciences, Tbilisi State University) conducted the evaluation of effectiveness of activities implemented by Centre for Strategic Research and Development of Georgia in the period of 2008-2010. During the evaluation process the experts studied the organisation's strategy paper (CSRDG's Tree Year 2008-2010 Programme) and its goals and objectives. Based on the study, in-depth interviews and two focus group discussions were held with almost all groups of our beneficiaries, such as: experts, our partner organisations, beneficiaries and service recipient organisations, donors, international organisations, representatives of the Media and public agencies, CSRDG's employees, and members of the Board. As a result, the invited experts gave a positive evaluation to the activities carried out by the organisation (see Program Report, pp. 29).

SO5 – Public policy positions and participation in public policy development and lobbying

Our activities also impact on the public through our involvement in public policy formation processes.

Under the current three year program (and thus, in 2010 also) CSRDG focused on the following issues of state policies:

- Economic and social security;

საზოგადოებაზე ჩვენი საქმიანობის ზეგავლენა გამოიხატება აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე ჩვენი საქმიანობით მოხდენილი ზეგავლენით.

მიმდინარე სამწლიანი პროგრამის ფარგლებში (შესაბამისად, 2010 წელსაც) ორგანიზაციამ სახელმწიფო პოლიტიკის შემდეგ სფეროებზე გაამახვილა ყურადღება:

– ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება;
– გარემოს დაბინძურება და მოქალაქეთა გარემოსდაცვითი უფლებები;
– მომხმარებელთა უფლებები;
– ხელისუფლების დეცენტრალიზაციის რეფორმა.

